74S-A16442

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

საქართველო

125

საქართველოს სახალხო ფრონტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
შუალედებში გამოდის მხოლოდ სპეციალური (თემატური) ნომრები. • №1 (2037) 27.12.2010 • ფასი 30 თეთრი

საქართველოში შექმნილი კონფლიქტის გარემოებათა გამორკვევის დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის თავმჯდომარეს ელჩს ჰ. ტალიავინის

ქართველი საზოგადოებისთვის დიდი ხანია, ცნობილია დასავლეთის გარკვეული წრეებისა (ყველაზე მეტად, გერმანულის) უარყოფითი დამოკიდებულება საქართველოს ეროვნული ინტერესებისადმი მათს მრავალ განზომილებაში. ცნობილია აგრეთვე, როგორ წარიმართა 2008 წლის აგვისტოს ომი: იგი დაიწყო და მოიგო (მანევრით ანუ ჯარების გადაადგილებით) რუსეთმა 2008 წლის 6 და 7 აგვისტოს: დაიკავა პოზიციები საქართველოში და მოახდინა ამ პოზიციებზე ძალების კონცენტრაცია. შემდეგ უბრძანა სააკაშვილს ომის დაწყების სიმულაცია. ბრძანება შესრულდა: სააკაშვილმა გაისროლა მაშინ, როცა რუსმა უბრძანა, ის ჭურვი, რაც რუსმა უბრძანა, და იქით, საითაც რუსმა უბრძანა. ცნობილია ქალბატონ ჰაიდი ტალიავინის მოღვაწეობაც გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენლის თანამდებობაზე. ამიტომ საზოგადოება მოელოდა მიკერძოებულ ანტიქართულ დასკვნას საერთაშორისო ფაქტების გამომრკვევი კომისიისგან, რომელიც შეიქმნა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის შტაინმაიერის ინიციატივით ქ-ნ ტალიავინის მეთაურობით. წინამდებარე წერილი მისიის მისამართზე გაიგზავნა დასკვნის გამოქვეყნებამდე. სამწუხაროდ, მოლოდინი გამართლდა: დასკვნა ტენდენციურია საქართველოს საზარალოდ, მაგრამ მასში მოყვანილი ფაქტები მაინც აჩენენ რუსეთს, როგორც აგრესორს.

ვაქვეყნებთ ქართულ თარგმანს.

თქვენო აღმატებულებავ

თავის ანგარიშში „რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სრულმასშტაბიან აგრესიასთან დაკავშირებით“ საქართველოს მთავრობამ გამოტოვა რამდენიმე არსებითი მნიშვნელობის გარემოება, რომელთა გათვალისწინება მიუცილებელია 2008 წლის ომის მიზეზთა და ფაქტორთა გაგებისათვისაც და მონაწილეთა მოქმედების შეფასებისათვისაც სამართლებრივი, პოლიტიკური და მორალური თვალსაზრისით. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ გარემოებებს უყურადღებოდ დატოვებს ქართველი ერი, საქართველოს საოგადოებრიობა და საქართველოს ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც რეალურად ასახავენ საზოგადოებრივ აზრს და რომელთაც თავის მოვალეობად და უფლებად მიაჩნიათ, განსაზღვრონ თავისი დამოკიდებულება მისიის მუშაობისადმი, როცა მისი შედეგი წარმოდგენილი იქნება მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე. გარემოებები, რომლებიც მხედველობაში გვაქვს, შემდეგია:

I. „სამხრეთ ოსეთი“ წმინდად რუსული კრეატურაა და არა ბუნებრივი მოვლენა

რუსეთის აგრესია საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ ოსი ეროვნების პირთა მასობრივი გამოყენებით არ დაწყებულა არც 2008 წლის აგვისტოში, არც 1989 წლის 31 დეკემბერს, როცა მოხდა პირველი გასროლა და მოიკლა 17 წლის ვეფხია თუთარაშვილი: იგი დაიწყო 1802 წელს, რუსეთის მიერ საქართველოს პირველი ანექსიიდან (1801) 10 თვის შემდეგ, როცა რუსული ადმინისტრაციის მეთაურმა საქართველოში, გენერალმა კნორინგმა შეთხზა გამოთქმა „სამხრეთ ოსეთი“, თუმცა მთლიანად საქართველოში ამ დროს ცხოვრობდა (სხვადასხვა ხეობებში მიმოფანტულად) სულ რამოდენიმე ასეული ოსი და არ არსებობდა არც ერთი დასახლებული პუნქტი (სოფელი, დაბა, თემი ან ქალაქი), რომელშიც ოსები უმრავლესობა იქნებოდნენ. კნორინგის ამ ნაბიჯის მიზეზი იყო ის, რომ ოსები იყვნენ ჩრდილო კავკასიის ერთადერთი ეთნოსი, რომელიც მხარს უჭერდა რუსებს ჩრდილო კავკასიის დაპყრობის პროცესში, ხოლო მიზანი იყო საქართველოს მიწაწყალზე, მაშასადამე, – კავკასიონის სამხრეთით რუსეთისადმი ლოიალურად განწყობილი ოსური მოსახლეობისათვის მყარი პოზიციის, სახელდობრ, ოსური ანკლავის (ანკლავების) შექმნა მომავალში. ამის შემდეგ რუსულმა ადმინისტრაციამ პრაქტიკაში შემოიღო სახელის „ოსური“ (ზედასართავის სახით) გამოყენება საქართველოს მცირე ადმინისტრაციული ერთეულების დასახელებებში, თუმცა არც ერთ მათგანში ოსები უმრავლესობას არ წარმოადგენდნენ (осетинский округ, осетинский участок და ა.შ. იხ. В. Итонишвили, Южная Осетия в Грузии Сб. Осетинский вопрос , თბილისი, 1994, გვ. 22). ზედასართავს осетинский საქართველოს ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილების მიმართ ხშირად ხმარობენ რუსეთის საეკლესიო წრეებიც, მათ შორის „კავკასიაში მართლმადიდებლობის გავრცელების საზოგადოებაც“. ცნობილია, რომ საქართველოს პოლიტიკური, დემოგრაფიული და კულტურული დექართველიზაცია ამ საზოგადოების მთავარ მიზანსაც წარმოადგენდა, ისევე როგორც რუსული სამოქალაქო და სამხედრო ადმინისტრაციისას (იხ. С. Лекишвили, Когда возник термин Южная Осетия? კრ. Осетинский вопрос, თბ. 1994, გვ. 229-248).

რუსული საბჭოთა ოკუპაციის დროს შექმნილ „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს“ (ცხინვალის, ჯავის, ზნაურისა და ახალგორის რაიონები) არა აქვს ისტორიული სახელწოდება, რადგან იგი არ არის და არც ოდესმე ყოფილა არც გეოგრაფიული, არც ეკონომიკური, არც სხვა რამ სახის ერთეული, არამედ ეს არის ზემოწელები რამდენიმე პარალელური მდინარის, კავკასიონიდან სამხრეთით მტკვრისკენ ჩამდინარს, ხეობებისა. ამ ხეობებს ერთმანეთისაგან ყოფს მაღალი ქედები, რომლებიც დღემდე დაბრკოლებას წარმოადგენენ მიმოსვლისათვის, რის გამოც მიმოსვლა ხეობებს შორის მუდამ წარმოებდა და დღესაც ძირითადად, წარმოებს ბარში ჩამოსვლით და შემდეგ მეორე ხეობის აყოლით.

მთელი ოსური მოსახლეობა საქართველოში არის დიასპორა. ოსები ჯავაში მოვიდნენ XVII საუკუნეში, რომელიც საქართველოსთვის ერთერთი ყველაზე დიდი ძნელბედობის საუკუნეა ინტენსიური თურქული და ირანული შემოსევების გამო. ოსების შემოსვლა საქართველოში ძირითადად მშვიდობიანი იყო, მაგრამ ზოგჯერ მას უსწრებდა ან ახლდა ქართველი მოსახლეობის ამოჟლეტა, რასაც ადგილი ჰქონდა, მაგალითად, ჯავასა და თიღვში (იხ. Дж. Гвасалиа, Шида Картли и осетинская проблема, კრ. Осетинский вопрос, თბ. 1994, გვ. 80-81)

XIX ს-ის შუამდე ოსური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ზრდა საქართველოში არ მომხდარა.

საქართველოს ოსი მოსახლეობის სწრაფი ზრდის პროცესი დაიწყო 1864 წლიდან, როცა საქართველოში მოხდა ყმა გლეხების გათავისუფლება. მემამულეებმა (რომელთა 100% ქართველი იყო) შეინარჩუნეს მიწები, მაგრამ მათ აღარ ჰყავდათ ამ მიწების დასამუშავებლად მუშა ძალა. ამიტომ მათ იწყეს კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებიდან ოსი ოჯახების შემოყვანა ხიზნებად და თავის მამულებში დასახლება. ამ გზით შეიქმნა მნიშვნელოვანი ოსური მოსახლეობა მთელ აღმოსავლეთ საქართველოში, თუმცა უმრავლესობას იგი ვერსად ვერ მიუახლოვდა გარდა ჯავისა და მისი ვიწრო მიდამოებისა დიდი ლიახვის ხეობაში. მეორე დიდი ტალღა ოსური იმიგრაციისა, მაგრამ ამჯერად ხელოვნური, იწყება საბჭოთა პერიოდთან ერთად. იგი ერთერთი ნაწილია საქართველოს დექართველიზაციის პოლიტიკისა. 1989 წლის აღწერით საქართველოში იყო 164 ათასი ოსი. მათი ინტეგრირებულობის ხარისხი საქართველოს საზოგადოებაში ძალიან მაღალი იყო (რაც განიზომება, მაგალითად, შერეული ქართულ-ოსური ოჯახების პროცენტით). მხოლოდ 65 ათასი სული ამ რიცხვიდან ცხოვრობდა ყოფილი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ საზღვრებში, 30 ათას ავტოხთონურ ქართველ მოსახლეობასთან ერთად. ოსები არ არიან ავტოხთონურნი საქართველოს ტერიტორიის არც ერთ ნაწილში.

ოსური მოსახლეობა მთლიანად აგრარული იყო და მთლიანად მიწის საკუთრების არმქონე, რაც ქმნიდა აგრარულ მოტივზე დამყარებული დაპირისპირების ძლიერ მუხტს (XIX საუკუნის დამლევის რუსული აღწერებით საქართველოში არ ჩანს მიწის საკუთრების მქონე არც ერთი ოსი).

როცა რუსეთში და მის იმპერიაში დაიწყო რევოლუციებისა და სამოქალაქო ომების ხანა, რუსეთის ბოლშევიკებმა ქართველ ბოლშევიკებთან ერთად გამოიყენეს აგრარული დაპირისპირების ეს ფსიქოლოგიური მუხტი იმ პოლიტიკური ძალის საწინააღმდეგოდ, რომელიც მათთვის საქართველოში ყველაზე საძულველი იყო – ქართული ეროვნული სულისკვეთების (მათი ტერმინოლოგიით – ნაციონალიზმის) საწინააღმდეგოდ. 1919 წელს მათ მოაწყეს ცხინვალში და მის მიმდებარე ზონაში ოსების რამდენიმე აჯანყება იმ დროს უკვე დამოუკიდებელი საქართველოს („საქართველოს დემოკატიული რესპუბლიკის“) წინააღმდეგ. ამ დროს ამ ზონაში ოსური მოსახლეობა კვლავ უმცირესობაში იყო. ქ. ცხინვალში სულ რამდენიმე ოსი ოჯახი ცხოვრობდა. აჯანყებას, რომელიც თავისი შინაარსით და ემოციური მუხტით აგრარული იყო (მისი მიზანი იყო მიწის მოპოვება საკუთრებაში), ორგანიზატორები პროპაგანდას უწევდნენ როგორც „ოსების ბრძოლას ქათველი მჩაგვრელების წინააღმდეგ“. აჯანყება დაიწყო ოსური ბოლშევიკური რაზმის თავდასხმით ქ. ცხინვალზე, მისი გაძარცვით და მისი მოსახლეობის მასობრივი ხოცვით. აჯანყება ჩაქრობილ იქნა ხელისუფლების მიერ.

რეალური ლოზუნგები („მიწა იმას, ვინც მას ამუშავებს!“ და ა.შ.). ამ გამოსვლებში მიჩქმალული იყო თითქოსდა ეროვნული მოტივების მაჩვენებელი ლოზუნგების სასარგებლოდ. ამ ბოლშევიკურმა აჯანყებებმა მოიცვა 1918-1920 წლები. ამ აჯანყებების დროს აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტერიტორიის ერთადერთი ნაწილი, რომელშიც ოსურმა იმიგრაციამ შექმნა ოსური უმრავლესობა (დვალეთი), მდებარეობს მამისონის უღელტეხილის ჩრდილოეთით. იგი რუსულმა ადმინისტრაციამ საქართველოს („თბილისის გუბერნიას“) ჩამოაშორა და ჩრდილო კავკასიას დაუქვემდებარა ჯერ კიდევ XIX ს-ში, რის გამოც ეს მხარე ამის შემდეგ ჩვენს მიერ განსახილველ პროცესებში აღარ მონაწილეობს. იგი საქართველოს ნაწილი მას შემდეგ აღარ არის. აღსანიშნავია ისიც, რომ გამოთქმაში „სამხრეთ ოსეთი“ რუსული ადმინისტრაციის მიერ ნაგულისხმევი ტერიტორია არასოდეს არ კონკრეტდებოდა. იგულისხმებოდა საქართველოს ყველა ის ნაწილი, სადაც ოსები იყვნენ (რაგინდარა უმცირესობის სახით). იგივე განმეორდა 1919-1920 წლებში, როცა საქართველოში ბოლშევიკების მიერ „ოსეთის“ შექმნის ოპერაცია ტარდებოდა. იმ ოსური „რაიონული“ რევოლუციური კომიტეტების სია, რომლებიც ამ რაიონებში „ოსეთის“ შექმნას ცდილობდნენ, ანუ მათგან „სამხრეთ ოსეთის“ შექმნას, იყვნენ კობი-თრუსოს, კახეთის, გუჯარეთის და ქარელის რაიონებიც (იხ. А. Ментешашвили Осетинский сепаратизм в 1918-1920 годах, კრ. Осетинский вопрос,თბ. 1994, გვ. 282-283).

გაგრძელება მე-2 გვერდზე

1-ლი გვერდიდან

1920 წელს, დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პირობებში, საბჭოთა რუსეთის მმართველი პარტიის — „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის („ბოლშევიკების“) კავკასიის ბიურომ, რომელიც ქ. როსტოვში მდებარეობდა, მიიღო დადგენილება საქართველოში „სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის“ შექმნის შესახებ. იმავე წელს იგივე დადგენილება გაიმეორა იმავე პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოსკოვში, ანუ რუსეთმა განახორციელა ტოპონიმური და პოლიტიკური დივერსია (აგრესია) სუვერენული მეზობელი სახელმწიფოს მიმართ.

1921 წელს მოხდა საქართველოს ანექსია (დაპყრობის გზით) რუსეთის მიერ. ამ ანექსიიდან 14 თვის შემდეგ საქართველოს მარიონეტულმა საბჭოთა ხელისუფლებამ („ცაკ“-მა) თავისი დადგენილებით ოფიციალურად შექმნა საქართველოში „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“, რომელშიც შევიდა დაახლოებით 4,5 ათასი კვ.კმ. ტერიტორია. მოსახლეობა ამ ახალ ტერიტორიულ-პოლიტიკურ ერთეულში ისევ ძირითადად ქართული იყო, ქართული სოფლების რაოდენობაც აღემატებოდა ოსურისას. ქ. ცხინვალში, ძველებურადვე, ოსური ოჯახები თითქმის არ იყო. ხსენებული აქტით, ანუ საქართველოს ნაწილისათვის სახელის „ოსეთი“ შეთხზვით და მისთვის ზედსართავის „სამხრეთი“ დარქმევით (არავითარი „ჩრდილო“ ოსეთი ამ დროს არ არსებობდა იურიდიულად) რუსეთმა შექმნა ილუზია, თითქოს ეს ტერიტორია მეზობელი ქვეყნის, რეალური ოსეთის, ამ დროს რუსეთში შემავალის, სამხრეთი ნაწილია, მაშასადამე, — ოსი მოსახლეობის და კაცობრიობის წინაშე დააყენა ორი „ოსეთის“ — ერთი ნამდვილის (კავკაიონის ჩრდილოეთით) და მეორე ყალბის (კავკასიის სამხრეთით) — გაერთიანების ამოცანა. თქმულიდან ჩანს „სამხრეთ ოსეთის“ იურიდიული ხარისხი: იგი სავსებით უკანონო წარმონაქმნია.

„სამხრეთ ოსეთის აო“-ს შექმნის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკამ ამ ტერიტორიაზე კურსი აიღო მისი ყოველმხრივი, პირველ ყოვლისა — დემოგრაფიული ოსიზაციისაკენ და დექართველიზაციისაკენ. ამ ტერიტორიაზე 1989 წლის აღწერით ოსებმა (ცოტა გაბერილი მონაცემებით) მოსახლეობის ორი მესამედი შეადგინეს (დანარჩენი ქართველია).

რუსეთის მიერ ორგანიზებული და შეიარაღებული სეპარატისტული ოსური მოძრაობა ცხინვალის რეგიონში შეიქმნა და ფართოდ გაიშალა 1987-1989 წლებიდან, როგორც პასუხი ქართულ ეროვნულ მოძრაობაზე სსრკ შემადგენლობიდან საქართველოს გამოსვლისათვის. ამ მოძრაობის პროცესში მოხდა (მანამდე განადგურებული და დღეს აღარ არსებული სხვა სოფლების გარდა) კიდევ ორი ქართული სოფლის — ცხინვალის ქალაქში ინკორპორირებული მამისაანთუბნისა და გუჯაბაურის — მოსპობა. დღეს მოსპობილია (ეთნიკურად ქართველებისაგან „გაწმენდილია“) ყველა ქართული სოფელი ამ ტერიტორიაზე. 1988 წლიდან საქართველოს ჩრდილო-ცენტრალურ ნაწილში, ანუ მდინარეების ქსნის, ლეხურას, დიდი ლიახვის, პატარა ლიახვის, ფრონეს, ფცისა, ფაწასა და ჯეჯორის ზემოწელებში ოსური შეიარაღებული რაზმები, რუსების მიერ შეიარაღებულნი და რუსების მიერ გაწვრთნილნი, ანხორციელებდნენ და ანხორციელებენ ჟლეტას, ფაქტობრივად — გენოციდს ქართველების მიმართ (ისეთი განსაკუთრებულად სასტიკი მკვლელობების ჩათვლით, როგორიცაა ვ.დათაშვილის გადახერხვა „დრუჟბით“ და ასაკოვანი ბუზალაძის ქალის ცოცხლად დაწვა, აგრეთვე რვა ქართველი ახალგაზრდის ცოცხლად დაწვა ს. ოს-ფრისის ზემოთ). ეს მოხდა რუსეთის შეიარაღებული ძალების, სახელდობრ — შვეულმფრენთა პოლკის და საინჟინრო პოლკის მფარველობის ქვეშ. ანტიქართული ეთნიკური წმენდის შედეგად, რომელიც განხორციელდა 90-იან წლებში, მოისპო ზნაურის რაიონის ყველა ქართული სოფელი და ქართველი მოსახლეობა ქ. ცხინვალში. ის ფაქტი, რომ კონფლიქტი პოლიტიკურია და არა ეთნიკური, დაადასტურა სამმხრივმა სპარლამენტთაშორისო კომისიამ (საქართველო, რსფსრ, სსრკ), რომლის დასკვნაში წერია: „Настоящий конфликт препятствует нормальному процессу восстановления государственной независимости Грузии согласно волеизъявлению ее граждан на референдуме 31.III 1991 года, связан с папиткой определенных сил нарушить территориальную целостность Грузии и имеет политическую основу“ (31.V.1991).

„ქართველთა ჟლეტა ეთნიკურობის ნიშნით, ანუ გენოციდი და ეთნიკური წმენდა, კიდევ უფრო ფართო მასშტაბით ჩატარდა 2008 წლის აგვისტოში.

აღსანიშნავია, რომ მოვლენათა ამგვარი სამწუხარო განვითარება ნათლად არის ნაწინასწარმეტყველები პოლიტიკურ განცხადებაში, რომელიც გაკეთებულია საქართველოს რამდენიმე პოლიტიკური პარტიის მიერ 2008 წლამდე რამდენიმე წლით ადრე (2006). აქ ვკითხულობთ:

ცხინვალის რეგიონში მიმდინარე კონფლიქტს აქვს ორი ასპექტი. ერთი (და გადამწყვეტი) არის ის, რომ რუსეთი იბრძვის ამიერკავკასიისათვის, კავკასიონის სამხრეთით საიმედო პლაცდარმის შექმნის მცდელობის სახით. მეორეა ის, რომ ოსი ეთნოსი იბრძვის მიწისათვის და დამატებითი ტერიტორიისათვის საქართველოს ხარჯზე.

სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში მაცხოვრებელ ოსებში არიან ადამიანები, რომელთა ცნობიერებაში ქართველი ერის გენოციდის დიდი ისტორიული მეხსიერება ცოცხლობს. ოსური ლაშქრობის მიერ ჯავის გაუკაცრიელების ფაქტი (XVII ს.) ზემოთ უკვე ვახსენეთ. უახლესი ისტორიის ფაქტია ქართული სოფლების დარბევა, ჟლეტა, განადგურება და აყრა 1921 წლის თებერვლის შემდეგ, როცა საქართველო რუსეთის მიერ მეორედ იქნა ანექსირებული და მის ყველა მტერს, რუსეთის წინაშე უკვე დიდი დამსახურების მქონე ოსური რაზმების ჩათვლით, სამოქმედოდ ხელი გაეხსნა. არსებობს ამ დროს ცხინვალის მიმდებარე რამდენიმე ქართული სოფლის მაცხოვრებელთა კოლექტიური განცხადება გასაბჭოებული საქართველოს მთავრობის სახელზე, სადაც აღწერილია გენოციდის ეს პროცესი[1] (ის სოფლები — მონასტერი და კიდევ რამდენიმე სხვა - მას შემდეგ მართლაც აღარ არსებობენ, როგორც ქართული სოფლები. იქ ახლა მხოლოდ ოსები ცხოვრობენ). იგივე გენოციდი გრძელდება ახლაც... 40 ქართული სოფლიდან, რომელიც ძალადობით შეიყვანეს „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ შემადგენლობაში 1922 წლის 20 აპრილის №2 დეკრეტით, დღეს თითქმის ნახევარი უკვე აღარ არსებობს. ეს გაბედა ოსურმა კომუნისტურმა ხელისუფლებამ ავტონომიურ ოლქში, რომელიც პირწმინდად უკანონო იყო და რომელსაც არც ერთი საათი არ უარსებია დღემდე რუსეთის რეგულარული შეიარაღებული ძალის მასში დგომის გარეშე. ადვილი წარმოსადგენია, რას გაბედავს იმავე ოსების ხელისუფლება იმ შემთხვევაში, თუ მას ექნება მსოფლიოში დღეს ტრიუმფალური სვლით მავალი დასავლური დემოკრატიის სანქცია ტერიტორიის სამართავად! ჩვენ არ ვართ ისეთი პესიმისტები, რომ ქართველთა გენოციდის ზემოხსენებული ისტორიული ტენდენცია ყველა ოსს მივაწეროთ. ეს სულისკვეთება, მით უმეტეს — მისი ქმედებაში რეალიზაციისათვის მზაობა ამ შემთხვევაშიც, ისევე როგორც ყველგან და ყოველთვის, რა თქმა უნდა, ადამიანთა მხოლოდ მცირე პროცენტშია მოცემული მკაფიო სახით. მაგრამ ამ მცირე პროცენტში იგი **არის**. საკმარისია, მას შესაბამისი სოციალური და პოლიტიკური პირობები შეექმნას (მაგალითად, ოსების სასარგებლოდ ქართული ტერიტორიის მიტაცების „კეთილშობილური პატრიოტული ამოცანის“ კონტექსტში), რათა ამ ინსტიქტმა სტიქიური ძალით იფეთქოს და უხვი ახალი მოსავალი მოიტანოს.

თქმულიდან ნათელია, რომ თვით ფაქტი საქართველოს მიწაწყალზე „სამხრეთ ოსეთად“ წოდებული ტერიტორიულ-პოლიტიკური (მანამდე კი — ტერიტორიულ-ადმინისტრაციული) ერთეულის არსებობისა არის ძალადობა საქართველოს სახელმწიფოსა და ერზე, რომელიც უშუალო ხიფათს უქმნის მის სახელმწიფოებრივ მთლიანობას, მის მოქალაქეთა ნორმალურ თანაცხოვრებას და საზოგადოების მშვიდობიან განვითარებას და რომელსაც არანაირი საფუძველი არა აქვს არც დემოგრაფიული თვალსაზრისით, არც ისტორიული და არც მორალური თვალსაზრისით. ქართველების რაოდენობა „ოსეთად“ გამოცხადებულ ქართულ ტერიტორიაზე იყო 20 ათასი, ოსებისა — 11 ათასი. აღსანიშნავია, რომ არც ჰუმანიტარული სამართალი, ანუ არც ეროვნული უმცირესობების დაცვის პრინციპი, რომელიც ამ სამართლის ნაწილია, არ ცნობს დიასპორის უფლებას, რომ მოითხოვოს მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე ტერიტორიული თვითგანსაზღვრა, ე.წ. „თვითგამორკვევა“, ანუ არ ცნობს ერთი ეთნოსის უფლებას, რომ საკუთარი ტერიტორიულ-პოლიტიკური თვითგანსაზღვრისათვის განკუთვნილი უპირატესი უფლებამოსილების სივრცე ჰქონდეს ორგან, ორ სახელმწიფოში. ასეთ უფლებას იგი ცნობს მხოლოდ ადგილობრივი უმცირესობისათვის, ანუ ისეთისათვის, რომელიც აქაურია და სხვაგან დედამიწაზე თავისი ეთნიკური ტერიტორია არ გააჩნია. ოსებს აქვთ თავისი სამშობლო — ესაა ვრცელი გეოგრაფიული არეალი ვლადიკავკასის გარშემო, სადაც დღევანდელი ოსი ერი ჩამოყალიბდა შუა საუკუნეებში ადგილობრივი ოსებისა და ალანების შერწყმით. საქართველოს ოსურ დიასპორას აქვს სრული უფლება, რომ იცხოვროს, მოახდინოს თვითდამკვიდრება და განვითარდეს, როგორც ინდივიდთა და ოჯახთა სიმრავლე, იმ უფლების ჩათვლით, რომ არ განიცადოს რაიმე დისკრიმინაცია და სამარადისოდ შეინახოს თავისი ეთნიკური ვინაობა. მაგრამ მას არა აქვს უფლება, რომ შექმნას საკუთარი პოლიტიკური ტერიტორიული ერთეული და, კერძოდ, მას თავისი ეთნიკური ჯგუფის სახელი უწოდოს.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ როცა რუსეთის კომპარტიამ მიიღო თავისი გადაწყვეტილება „სამხრეთ ოსეთის“ შექმნის შესახებ (1920) და მონურად მორჩილმა საქართველოს ხელისუფლებამ აღასრულა ეს გადაწყვეტილება თავისი დეკრეტით (1922), „ჩრდილოეთი ოსეთი“ არ არსებობდა, ანუ მათ შექმნეს „სამხრეთ ოსეთი“ მაშინ, როცა ნამდვილ ოსეთში სიტყვა „ოსეთი“ არ იხმარებოდა! აღსანიშნავის, რომ 14 თვე საქართველოს ანექსიის დღიდან (25 II 1921) მასში „სამხრეთ ოსეთის“ შექმნის დღემდე მოჰხმარდა დაჟინებულ „მუშაობას“, რათა შეძლებისდაგვარად დათრგუნულიყო ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგობა ამ გეგმისადმი (იხ. А. Ментешашвили , ციტ. შრომა, გვ. 249-296). ამ აქტს წინ არ უსწრებდა არავითარი რეფერენდუმი და მის დროს არ არსებობდა არავითარი არჩეული ხელისუფლება, ანუ არ იყო დემოკრატიის არავითარი ნიშანი. საქართველოს სახელმწიფოს, რომელიც ცნობილი იყო მსოფლიოს მიერ ჯერ დე ფაქტო, ხოლო შემდეგ დე იურე, არავითარი „ოსეთის“ არსებობა თავის მიწაწყალზე არ უცვნია. პირიქით, საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი ხაზს უსვამდა, რომ „არავითარი სამხრეთ ოსეთი საქართველოს საზღვრებში არ არსებობს“ (იხ. მისი 1920 წლის 20 მაისის ნოტა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრისადმი (А. Ментешашвили, ციტ. შრომა, გვ. 289). საქართველოში „სამხრეთ-ოსეთად“ წოდებული ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეულის შექმნა და დაცვა თავისთავად არის ამ ერთეულის ძალით შემქმნელის — რუსეთის — საქართველოს წინააღმდეგ აგრესიული ომის ელემენტი, რომლის გაუქმებისათვის ბრძოლაც, ძალის გამოყენების ჩათვლით, საქართველოს სახელმწიფოს უფლებაცაა თავისი მოსახლეობისა და მსოფლიოს წინაშე და მოვალეობაცაა თავისი ქვეყნის მომავალი თაობების წინაშე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სავსებით ბუნებრივია, რომ საქართველოს პირველმავე დემოკრატიულად არჩეულმა საკანონმდებლო ხელისუფლებამ — საქართველოს უზენაესმა საბჭომ — 1990 წლის 11 დეკემბრის კანონით გააუქმა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“, რაც მის პირდაპირ მოვალეობას შეადგენდა. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა გორბაჩოვმა 1991 წლის 3 მარტის ბრძანებულებით მოინდომა საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ამ კანონის გაუქმება, მაგრამ მას ამის უფლებამოსილება უკვე აღარ ჰქონდა, რადგან საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტის დადგენილებით საქართველო აღიარებული იყო საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წელს დაპყრობილ და ფაქტობრივად ანექსირებულ ქვეყნად, ხოლო ამავე დადგენილების ამავე წლის 29 ივნისის დამატებებით ამ დადგენილებისათვის გაუქმებული იქნა ხსენებული დაპყრობისა და ფაქტობრივი ანექსიის შედეგად საბჭოთა კავშირის ხელისუფლების ორგანოთათვის მინიჭებული უფლებამოსილებები საქართველოს შინაგანი ვითარების რეგულირების სფეროში, რომელთა შორის იყო, ბუნებრივია, საქართველოს უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს აქტების გაუქმების უფლებაც. ოსური აქტი (20 IX 1990) „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ გარდაქმნისა „რესპუბლიკად“, ისევე როგორც ამ აქტის მომყოლი „არჩევნები“ ამ „რესპუბლიკის“ „პარტლამენტისა“ (9 XII 1990) და 1991 წლის იანვრის „რეფერენდუმი“ ამ „რესპუბლიკის“ დამოუკიდებლობაზე და რუსეთისადმი მის მიერთებაზე, უკანონოა, რამდენადაც ეწინააღმდეგება იმ დროს მოქმედ კონსტიტუციას, და ბათილია, რამდენადაც „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ მოსახლეობას, როგორც ასეთს, არ ჰქონდა საგარეო თვითგამორკვევის, ანუ სახელმწიფოსგან გამოყოფის უფლება (იხ. Л. Матарадзе, Юридические аспекты грузинско-осетинского конфликта, კრ. Осетинский вопрос,თბ, 1994 გვ. 322-338). ამგვარად, „სამხრეთ ოსეთი“ დღეს იურიდიულად არ არსებობს. არც ქართველს, არც უცხოელს არა აქვს უფლება ოფიციალურ სიტყვახმარებაში გამოიყენოს გამოთქმა „სამხრეთ ოსეთი“.

რუსეთმა საქართველოს კანონით არსებული ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეულის დამოუკიდებლობა ცნო.

II. სამწუხაროდ, ევროპული დიპლომატიის მოქმედება ეხ-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

მე-2 გვერდიდან

ვალის რეგიონის პრობლემებთან დაკავშირებით მოიცავს არაადექვატური მიდგომის შემთხვევებს. მხედველობაში გვაქვს პირველ ყოვლისა ეუთოს საქართველოს მისიის მიერ (თავმჯდომარეები ჯარმატი, უნგრეთი, შემდეგ ცვეტკოვი, უკრაინა, აიფი, გერმანია, ბოდენი, გერმანია) შემუშავებული „რეკომენდაციები" კონფლიქტის მოგვარების თაობაზე, რომლებიც გამართულია ოსებისადმი მიკერძოების და ქართული ინტერესებისადმი დაპირისპირების სულისკვეთებით. ეს რეკომენდაციები უხვად შეიცავენ ულოგიკობას, უპასუხისმგებლობას ფაქტების გადმოცემაში და პრინციპებისადმი შეუსაბამო პოლიტიკურ მიდგომებს, რის გამოც ეს ტექსტი ალბათ ერთერთი სამწუხაროა დიპლომატიური პრაქტიკისა და პოლიტიკური აზრის ისტორიაში მაგალითი მრავალია. დავიმოწმებთ ზოგს. ტექსტში ნათქვამია: „სიტუაციის შეფასებაში საყოველთაოდ გავრცელებული საერთაშორისო პრაქტიკისა და ეუთოს პრინციპების მოთხოვნაა, რომ მხედველობაში მიღებულ იქნას ფაქტები, არა მათი წარმოშობის ისტორია". ეს მანკიერი პრინციპია (რადგან იგი უგულებელყოფს ერისა, ქვეყნისა და ინდივიდის უფლებას, რომ ისტორიული მეხსიერება ჰქონდეს, და მათსავე უფლებასა და მოვალეობას, რომ არ დაუშვან კრიმინალური გზით მოპოვებულ უპირატესობათა გამოყენება) კერძოდ, „სამხრეთთ ოსეთად" წოდებული ერთეულის არსებობა უპირატესად ოსური მოსახლეობით (თუმცა ეს „ერთეული" შექმნილია უცხო ოკუპანტების მიერ და მხოლოდ 70 წლის ისტორია აქვს, რომლის არც ერთ საათს არ ჩაუვლია იქ უცხო, რუსული რეგულარული ჯარის დგომის გარეშე) მისიას საფუძველს აძლევს, ერთის მხრივ, დასკვნისთვის, რომ სიტუაცია არ უნდა შეიცვალოს ოსების საზარალოდ, მეორე მხრივ დასკვნისათვის, რომ იგივე უნდა შეიცვალოს მათ სასარგებლოდ. კიდევ მაგალითი. ტექსტშია: „კოლექტიურ დონეზე შეიარაღებულ კონფლიქტს სხვადასხვა შედეგები ჰქონდა ოსებისათვის და ქართველებისათვის. მეტისმეტად მრავალ ქართველ მონაწილეს ჰქონდა გრძნობა, რომ დრო მოვიდა, შეიცვალოს სამხრეთ ოსეთის დემოგრაფიული სტრუქტურა და „შესწორდეს ისტორია". ცხინვალის საარტილერიო დაბომბვა იყო უკანასკნელი და ყველაზე მხეცური შედეგი ოსების განდევნისა და განადგურებისა... ოსები ცხინვალში და მის გარშემო თავისი არსებობის გამო შიშში იყვნენ თვეების მანძილზე. ამიტომ ქართველებს ჰმართებთ დამარწმუნებლად იმოქმედონ, რათა დაჯერონ ოსები, რომ მათ საქართველოში მომავალი აქვთ". ეს სიტყვები ცილისწამებაა ქართული მხარის მიმართ. ჯერ ერთი, ცხინვალი მთელი კონფლიქტის მანძილზე ღია იყო მოძრაობისათვის წუნარის („ხეთაგუროვო") და ჯავის მიმართულებით. მეორეც, არავის ქართველს არ გამოუთქვამს დემოგრაფიის შეცვლის სურვილი. ერთადერთი სურვილი, რომელიც ქართველებს ჰქონდათ და აქვთ, არის ის, რომ ვერ აღდგეს ყალბი სახელი „სამხრეთ ოსეთი", რომელიც რუსებმა ამ ტერიტორიას მისცეს. ბრალდებებს, რომლებსაც რუსეთი აყენებს, დასაბუთება სჭირდება, რომელიც მისიას ვერ ექნება მათი სიყალბის გამო. ცხინვალის საარტილერიო დაშენა რუსული ფაბრიკაციაა. მიკერძოება ვლინდება მისიის მიერ ქართველთა გენოციდისა და ეთნიკური წმენდის ფაქტის უგულებელყოფაშიც (რუსული ხიშტების საფარ ქვეშ), ისევე, როგორც ქართული სოფლების – ყველასი ზნაურის რაიონში და ორისა – ცხინვალში) მოსპობის ფაქტისაში, ისევე როგორც ცხინვალელი ქართველი მოსახლეობის თითქმის სრული განადგურებისაში). ეს სამწუხარო შეცდომები მისიის მუშაობაში აღძრავს ეჭვს, ხომ არ თამაშობს ევროპელ დიპლომატთა პოზიციის განსაზღვრაში (იმ დროს მისიას მეთაურობდნენ ჯერ ელჩი აიფი, მერე ელჩი ბოდენი) ევროპელთა პოლიტიკურ აზროვნებაში არსებული რაიმე სპეციფიკური მომენტი, სახელდობრ, ის, რომ რუსეთის იმპერიის მშენებლობაში XVIII საუკუნიდან 1917 წლამდე არსებითი როლი ეკუთვნოდა ევროპელ, პირველ ყოვლისა – გერმანულენოვან ბიუროკრატიას რუსეთში, რამაც მისიის პრორუსული პოზიცია განსაზღვრა.

III. სამწუხაროდ, საკმარისზე მეტი საფუძველი არსებობს ეჭვისათვის, რომ სააკაშვილი და მისი გუნდი ქართველი საზოგადოების მიერ მიჩნეულ იქნენ რუსეთის მიერ მართულ მარიონეტებად, რომლებიც თავის პოლიტიკურ საქმიანობაში საქართველოს სათავეში ყოფნისას ხელმძღვანელობენ რუსეთის ნებით და არა საქართველოს ინტერესებით – რომ, ფიგურალურად რომ ვთქვათ (რაც ქართულ პრესაში არაერთხელ დაბეჭდილა), სააკაშვილმა „გაისროლა მაშინ, როცა რუსმა უბრძანა, გაისროლა ის ჭურვი, რომელიც რუსმა უბრძანა, და იმ მიმართულებით, რომელიც რუსმა უბრძანა". ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ აღმოჩნდება, რომ სააკაშვილმა და მისმა გუნდმა შელახეს ჰუმანიტარული სამართლის, ან ომის წარმოების, ან სხვა რამ საყოველთაოდ მიღებული ნორმები, რითაც რუსეთმა მოინდომა საბაბის პოვნა შეტევისათვის, მეთოდოლოგიურად გონივრული იქნება, რომ ყველა ცალკეულ შემთხვევაში გამოძიებულ იქნას, ისინი თავის მოქმედებაში საქართველოს წინაშე პასუხისმგებლობით ხელმძღვანელობდნენ თუ რუსეთის ნებას ასრულებდნენ.

IV. გვინდა, მისიამ იცოდეს, რომ მშვიდობიანი დარეგულირების პრობლემის დაძლევა საქართველოს და მის ხალხს თავისუფალად შეუძლია. აქვე გვინდა გაგიფანტოთ (თუ გაქვთ) ეჭვი იმის თაობაზე, არებობს თუ არა საქართველოს საზოგადოებაში და პოლიტიკურ წრეებში პოზიტიური გეგმა ცხინვალის კონფლიქტის დარეგულირებისა (რის წანამძღვარსაც და არსებით ნაწილსაც, ბუნებრივია, ქართველი და ოსი მოსახლეობის მშვიდობიანი და ორგანულად ინტეგრირებული თანაცხოვრების კვლავ აღდგენის ამოცანა წარმოადგენს). ასეთი გეგმა არსებობს და იგი საყოველთაოდ ცნობილია: არავითარი „ოსეთი", როგორც ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეული, საქართველოში არ არის და არ შეიძლება იყოს. შეიძლება იყოს რაღაცა სახის ტერიტორიული ავტონომია სხვა სახელით (იმის გამო, რომ აქ კონკრეტული პრობლემის დარეგულირების საჭიროება არსებობს, რისთვისაც ადგილობრივი ადმინისტრირება უფრო მოხერხებულია, ვიდრე ცენტრალური), მაგრამ ეს არ შეადგენს, არც ერთ დღეს ცივილიზებულ მსოფლიოში მოქმედი არც ერთი ნორმით, სახელმწიფოს მოვალეობას. ცხინვალის რეგიონის, ანუ ყოფილი ე.წ. „სოაო"-ის ტერიტორიის ოსური მოსახლეობის სპეციფიკურად ოსური, ისევე როგორც ყველა სხვა, ინტერესების სამსახურისათვის, ოსური მოსახლეობისათვის მთლიანობაში (ანუ დანარჩენ საქართველოში მაცხოვრებელი 100 000 სულისათვისაც (1989 წლის აღწერით) და ცხინვალის რეგიონში მოსახლე 60 ათასისათვისაც ერთობლივად), ამ ინტერესების დასაცავად ყველაზე მოხერხებული ფორმაა ე.წ. ფუნქციური ავტონომია, ანუ პრაქტიკა ოსების მიერ საკუთარი ოსური ორგანიზაციის (ორგანიზაციების) შექმნისა ოსური ინტერესების ლობირების მიზნით სახელმწიფოს მასშტაბით მთლიანად. ამ უკანასკნელ ფორმას, რომელიც სავსებით შეთავსებადია პირველთან (ანუ ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებასთან) და ავსებს მას, ის უპირატესობაც აქვს, რომ იგი მოიცავს არა მხოლოდ კომპაქტურად მოსახლე ოსებს, არამედ გაბნეულად მოსახლეებსაც (ზემოხსენებული 100 000 სული სწორედ ასეთია). ბუნებრივია, რომ თვითორგანიზაციის ეს უკანასკნელი ფორმა რეკომენდირებულად და ყურადღების ღირსად ჩვენ მიგვაჩნია არა მხოლოდ ოსებისათვის, არამედ საქართველოს მაცხოვრებელი ნებისმიერი ეთნიკურობის მქონე სხვა მოქალაქეებისთვისაც, ქართველების ჩათვლით.

VI. **თქმულის შუქში ჩვენ გულმოდგინედ ვადევნებთ თვალს ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული რუსული საპროპაგანდო ომის განვითარების პერიპეტიებს** (იგი წარმოებს 80-იანი წლების დამლევიდან, მას შემდეგ, რაც რუსეთმა საქართველოში „სეპარატიზმის" მის მიერვე ჩადებული ნელი მოქმედების ბომბები აამოქმედა, და იგი შეიცავს აუარებელ პირდაპირ სიყალბეს, როგორიცაა, მაგალითად, ეკრანზე ოსების მიერ დახოცილი ქართველების გამოჩენა, რომელთაც მოსახლეობა სახით ცნობს, და მათი გამოცხადება ქართველების მიერ დახოცილ ოსებად), შეუნელებელი ყურადღებით მოველით საერთაშორისო მისიის დასკვნას, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ, რათა, შეცდომის შემთხვევაში, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია ევროკავშირისა და მსოფლიოს ყურადღებას წარვუდგინოთ და ხელი შევუწყოთ ჩვენი ქვეყნის სამართლიანი ინტერესების დაცვას მძიმე საპროპაგანდოსა და იდეოლოგიურ ბრძოლაში, რომელიც რუსეთის იმპერიასთან გვაქვს.

სამწუხაროდ, კონკრეტულ შექმნილ ვითარებაში გაძლიერებული სიფხიზლისათვის საფუძველიც გვაქვს. ევროკავშირის შემადგენლობაში, სულ ცოტა, ერთი წევრია ბატონი ლუხთერჰანდტი, გერმანიის ერთერთი უნივერსიტეტის პროფესორი, რომელსაც ჩვენ მისი აქამომდელი ინტერნეტპუბლიკაციებით ვიცნობთ, როგორც საქართველოს სახელმწიფოს სამართლიანი საქმის თანმიმდევარსა და აქტიურ მოწინააღმდეგეს, საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ თავის პუბლიკაციებში (არ ვიცით, მიზანმიმართულად თუ უნებურად) ლოგიკური შეცდომების დამშვებს და, რაც მთავარია, არაკომპეტენტურს იმ ფაქტებზე მსჯელობაში (და ფაქტების კონსტატაციაში), რომელსაც თავისი რეკომენდაციებისა და შეფასებების წანამძღვრად იყენებს. მაგალითად, იგი მკითხველს სთავაზობს ასეთ სილოგიზმს: „სამხრეთ ოსეთს" დღეს საქართველო ვერ აკონტროლებს. მაგრამ იგი თავისთავს მართავს კოკოითის ხელით: ხალხი ცხოვრობს, წესრიგი დაცულია. მაშასადამე, მისი ცხოვრების მოშლა, მასზე თავდასხმა იგივეა, რაც ნებისმიერ სახელმწიფოზე თავდასხმა. ეს აგრესიაა, გაეროს და საერთაშორისო სამართლის წინაშე, და სასჯელს იმსახურებს". ამ სილოგიზმის სიცრუე იმაშია, რომ ცხინვალის რეგიონში გაბატონებული მკვლელების ბანდა თვითონ ვერ მართავს ვერაფერს. მისი აბრის უკან რეალური აგრესორი – რუსეთი მართავს. არ იცის ექსპერტად მიჩნეულმა ბ-ნმა ლუხტერჰანდტმა ისიც, რომ სვანეთში (მას მხედველობაში აქვს, ალბათ, დალის ხეობა, რომელიც სვანეთის მხოლოდ ერთი მესამედი ნაწილია, და არა სვანეთი მთლიანად) სააკაშვილის ხელისუფლების დროს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების პოზიციების შესუსტების არანაირი იურიდიული მცდელობა არ ყოფილა, მათ შორის არც დალის ხეობაში, წინააღმდეგ მისი სიტყვებისა საქართველოს ეთერში, არამედ იყო მხოლოდ ბ-ნ ემზარ კვიციანის და მისი რამდენიმე თანამოსაქმის იზოლაციის ოპერაცია, რომელთაც კანონსაწინააღმდეგო ქმედებები ჰბრალდებოდათ. სამწუხაროდ, იძულებულნი ვართ ჩვენი მსჯელობა ბ-ნ ლუხთერჰანდტის საქმიანობის შესახებ ერთგვარად გავაფართოვოთ თემატურად და განვაზოგადოთ. რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს ეს და რაც უნდ მოულოდნელი იყოს ჩვენთვის, საქართველოს საზოგადოებისათვის, ხდება, რომ ცენტრალურევროპული დიპლომატიის და მედიის გარკვეული ნაწილი საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ არაერთ ნაბიჯს დგამს. ეუთოს საქართველოს მისიის ზემოხსენებული მკვეთრად ანტიქართული და ლოგიკურად გაუმართავი პოზიცია ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის საკითხზე, ალბათ, ისტორიას შეჰრჩება, როგორც არაინფორმირებულობის, უსამართლო მიკერძოებისა და პრინციპთა უგულებელყოფის სამწუხარო მაგალითი. ამიტომ ვერ გავექცევით ვარაუდს, რომ, შესაძლებელია, დიპლომატებისა და მედიის ამ ნაწილის ხსენებული პოზიცია აიხსნება იმ მოტივით, რომ დღეს მეტ-ნაკლებად ფართო სპექტრი ცენტრალური ევროპის საზოგადოებრიობისა სასურველად თვლის მსოფლიოს ამ ნაწილის ინტელექტისა და რუსული რესურსების იმ ორასწლიანი მჭიდრო თანამშრომლობის აღდგენას, რომელიც რუსეთში პეტრე პირველის მეფობის დროიდან ნიკოლოზ მეორის დამხობამდე ნაყოფიერად იღწვოდა რუსული იმპერიის მშენებლობისათვის რუსეთის ევროპულენოვანი განშტოებული და კვალიფიციური ბიუროკრატიის სახით, რათა შეექმნას ახალი ეკონომიკური (და არა მხოლოდ ეკონომიკური) კომპლექსი ამ ქვეყნებისა რუსეთთან, რომელიც ჯანსაღი და თავისუფალი მეტოქეობისუნარიანი იქნება მსოფლიოს ნებისმიერ სხვა ძალასთან ან ძალთა კავშირთან. გვინდა შეგახსენოთ, რომ, რაც უნდ პერსპექტიული, ჰუმანური და მსოფლიო ეკონომიკის თვალსაზრისით მართებული იყოს ეს გეგმა, იგი პრაქტიკის დარეგულირების გეგმაა, რაც ურთიერთკომპრომისებსა და ტაქტიკურ სვლებს უშვებს, და პრინციპულად განსხვავებულია თქვენი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი კომისიის ამოცანა. იგი მდგომარეობს მხოლოდ ჭეშმარიტების დადგენაში, რაც არა პრაქტიკულსა და ბალანსის მაძიებელ, არამედ მხოლოდ აბსოლუტურად უკომპრომისოსა და პრინციპების რიგორისტულად დამცველ მიდგომას გულისხმობს. fiat justitia, pereat mundus.

თუ თქვენი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი მისიის მუშაობა მაინც ორიენტირებული იქნება რეალურ ძალთა ბალანსისა და სტაბილობის პრაგმატულ ინტერესებზე, მაშინ ჩვენი რჩევაა, მან გაითვალისწინოს შემდეგიც: იმ შემთხვევაში, თუ პრეცედენტად დაკანონდება, რომ ამა თუ იმ ტერიტორიაზე დემოგრაფიული პროცესების დინამიკა (ანუ რომელმა ეთნიკურმა ჯგუფმა მიაღწია უმრავლესობას და რომელი ჩამორჩა გამრავლებაში) განსაზღვრავდეს ამ ტერიტორიის იურიდიულსა და პოლიტიკურ სტატუსს, ამით შეიქმნება სტიმული ყველა ეთნიკური ჯგუფის პანიკური შიშისათვის ყველა სხვა ჯგუფის დემოგრაფიული კეთილდღეობის წინაშე, მაშასადამე – ცდუნებაც ეთნიკური წმენდისათვის და მისი მთავარი იარაღისათვის – გენოციდისათვის – მთელ მსოფლიოში (შეგახსენებთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე „ოსეთის" შექმნისათვის არანაირი საპატიო მოტივი გარდა იმისა, რომ ამ ტერიტორიაზე ოსი მოსახლეობის ხელოვნური უმრავლესობაა შექმნილი, არ არსებობს).

ვფიქრობთ, რომ დამოუკიდებელი საერთაშორისო ფაქტთა გამრკვევი მისია თავისი დასკვნის გამოტანის პროცესში ვერ ასცდება შემდეგი კითხვების ცალსახა, გარკვეულ და დასაბუთებულ პასუხს:

გაგრძელება მე-6 გვერდზე

პრორუსული ხელისუფლება ნილაბს იხსნის

ეროვნულ პარტიათა ალიანსის განცხადება

რუსეთის გეგმაზომიერი შემოტევა საქართველოზე, რომელშიც მას ეხმარება ჩვენი ქვეყნის ფარულად რუსეთის ინტერესების გამტარებელი ხელისუფლება, შეფერხებულია დასავლეთ სახელმწიფოთა წინააღმდეგობის გამო, მაგრამ გრძელდება. დღეს ამ შემოტევის ძირითადი მიზანია საქართველოსაგან მიიღოს აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ „დამოუკიდებლობის“ აღიარება შენიღბული სახით – შექმნას „სახელშეკრულებო სახელმწიფო“, ანუ კონფედერაცია საქართველოს, აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“, როგორც დამოუკიდებელი საერთაშორისო-სამართლებრივი სუბიექტების, მონაწილეობით, ანუ ისეთი სახელმწიფო, რომელიც ავტომატურად იშლება, როგორც კი ერთი მონაწილე სუბიექტი გამოთქვამს ასეთ სურვილს. საქართველოს უარყევ პოზიციას ამ გეგმის წინააღმდეგ არ გამოთქვამს არც ხელისუფლება (რომელიც რუსეთს ემსახურება), არც ოპოზიციის ის ნაწილი, რომელსაც დაფინანსება აქვს და ტელეეკრანზე ჩანს. მაგრამ საქართველოსა და მისი საზოგადოებრიობის პოზიციის გამოთქმა – რომ საქართველოსთვის ეს გეგმა მიუღებელია – აუცილებელია. საქართველოს ეროვნულ პარტიათა ალიანსი უმოკლეს ხანში განაცხადებს თავის პრინციპულ პოზიციას მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე, რათა ცნობილი იყოს ყველასთვის, რომ საქართველო ბრმა არ არის და ამ შეგნებულ თვითმკვლელობაზე არ წავა.

განცხადების საკარაუდო ტექსტს ვაქვეყნებთ წინდაწინ, რათა საზოგადოებას შეეძლოს თავისი მოსაზრებების გამოთქმა მასში გამოხატული პოზიციის ან ამ უკანასკნელის დასაბუთების სრულყოფის მიზნით.

თბილისის მერმა უგულავამ, რომელიც სააკაშვილის გუნდის წევრია, ჟურნალისტს განუცხადა, რომ საქართველო შესაძლებელია დასთანხმდეს ხელის აღებას სათავადაცვო ორიენტაციაზე დასავლეთისკენ, კერძოდ – უარი თქვას ნატოში გაწევრიანებისკენ მისწრაფებაზე, იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი გაიყვანს თავის შეიარაღებულ ძალებს საქართველოს ტერიტორიიდან, ანუ აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან. ეს განცხადება, რომელიც ვერ გაკეთდებოდა ამ გუნდის ლიდერის – სააკაშვილის ნების გარეშე, **ჩვენ მიგვაჩნია საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ სვლად, რაც, ჩვენის აზრით, მეტყველებს საქართველოს ხელისუფლების მხრიდან სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული მორიგი პოლიტიკური და იურიდიული ოპერაციის დაწყების მცდელობას, ჯერჯერობით – მისი დემაგოგიური იდეოლოგიური მომზადების სახით.**

აღნიშნული განცხადების საშუალებით მინიშნებული განზრახვა ჩვენთვის მიუღებელია შემდეგ გარემოებათა გამო.

1. არც უგულავა, არც სააკაშვილი არ არიან ის ადამიანები, რომელთა მხრიდანაც შესაძლებელია რაიმე დიპლომატიური ან სხვა სახის პოლიტიკური ოპერაციის წარმოება რუსეთის აგრესიისაგან საქართველოს დაცვის მიმართულებით. სააკაშვილი, პრაქტიკულად, მხილებულია რუსეთისადმი პირდაპირ აგენტურულ სამსახურში, რომლის ერთერთი უკანასკნელი და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ეპიზოდია 2008 წლის აგვისტოს რუსულ-ქართული ომი. ეს ომი დაიწყო რუსეთმა ჯერ საქართველოს მოსახლეობის სისტემატური საარტილერიო დაბომბვით, რომელზეც სააკაშვილს ოფიციალური პროტესტი არ გამოუთქვამს და რომლის ფაქტი მას ოფიციალურად არ დაუფიქსირებია მსოფლიოს საზოგადოებისა, საერთაშორისო სასამართლოსა და საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემათა დამრეგულირებელი კომპეტენტური ორგანიზაციების, პირველ ყოვლისა – გაეროს წინაშე, ისევე, როგორც არ გაუუქმებია რუსეთის „სამშვიდობო“ მანდატი ცხინვალის რეგიონში მიუხედავად იმისა, რომ რუსი „მემშვიდობეები“ აქტიურ დახმარებას უწევდნენ ოს სეპარატისტებს ქართული სოფლების დაბომბვაში და არანაირად არ ასრულებდნენ სამშვიდობო ამოცანებს. შემდეგ სააკაშვილმა ოფიციალური რეაგირების გარეშე დატოვა რუსული შეიარაღებული ძალების (58-ე არმიის) მანევრი, რომელმაც 6 და 7 აგვისტოს შემოიყვანა თავისი ნაწილები საქართველოს ტერიტორიაზე, დაიკავა საკვანძო პოზიციები და მათზე მოახდინა ძალების კონცენტრაცია, რითაც ომი მოიგო უკვე 7 აგვისტოს დღის ბოლოსათვის. სააკაშვილმა კი, – საქართველოს მოქმედმა, თუმცა ხელისუფლებაში ტოტალური გაყალბების გზით მყოფმა პრეზიდენტმა, – რუსეთის სასარგებლოდ **ისიმულანტა** ომის დაწყება: მან ღამით 23 საათსა და 35 წუთზე გაცემული ბრძანებით საომარი მდგომარეობა დააფიქსირა და ცეცხლის გახსნა ბრძანა ისეთი ობიექტისაკენ, რომელიც სამხედრო თვალსაზრისით ინტერესს არ წარმოადგენდა, საპროპაგანდო ომის თვალსაზრისით კი მნიშვნელოვანი იყო – მოსახელობისაგან დაცლილ ქალაქ ცხინვალისკენ. ანუ, როგორც არაერთხელ აღინიშნა ქართულ პრესაში, სააკაშვილმა გაისროლა მაშინ, როცა რუსმა უბრძანა, იმ მიმართულებით, რომლითაც რუსმა უბრძანა, და იმ ტიპის ჭურვით, რომლითაც რუსმა უბრძანა. რაც მთავარია, ეს ქმედებები მან მოახდინა მას შემდეგ, რაც რუსეთს უკვე მოგებული ჰქონდა ეს ომი ზემოხსენებული მანევრის საშუალებით. ხსენებული განცხადების ავტორი, სააკაშვილის გუნდის წევრი უგულავა მონაწილეობდა კიდეც ამ ომში კანონსაწინააღმდეგო წესით, სახელდობრ, იგი, თუმცა სამოქალაქო პირი იყო, ერეოდა სარდლობის მოქმედებაში, რისი ფაქტიც, სხვათა შორის, მოწმობს, რომ სააკაშვილისთვის ამ ომში მთავარი იყო შეიარაღებულ ძალთა მოქმედების არა საბრძოლო მხარე, არამედ პოლიტიკური, რის გამოც მას ომის თეატრზე სჭირდებოდა არა სამხედრო პირი, არამედ თავისი პოლიტიკური გუნდის წევრი და მისი ზემოხსენებული მოღალატური ოპერაციის შეგნებული მონაწილე.

სააკაშვილისა და მისი პოლიტიკური გუნდის თანმიმდევრული აგენტურული მოქმედება რუსეთის სასარგებლოდ დასტურდება მათი პოლიტიკის მთლიანი მიმართულებითაც, რომლის გამჭოლი მიზანი ხასიათდება შემდეგი ფორმულირებით (აგრეთვე არაერთხელ გამოქვეყნებულით ქართულ პრესაში): ამ გუნდის პოლიტიკა მდგომარეობს საქართველოს ყოველმხრივ ნგრევაში რუსეთის განკარგულებით, მაგრამ „დასავლური ღირებულებების“ სახელით, რასაც თავის ერთერთ, უდავოდ წინასწარ გათვლილ შედეგად უნდა მოჰყვეს დასავლეთის – უპირველეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების – თანდათანობითი დისკრედიტაცია მოსახლეობის ფართო მასის თვალში. ეს სახელმწიფოს მიმართ დივერსიული ქმედებებია წარმოების ხელოვნური მოშლა, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტების რუსებისათვის მიყიდვა (პირველ ყოვლისა – ენერგეტიკულის), ემიგრაციის სტიმულირება, იმიგრაციის ხელშეუშლელობა, განათლების სისტემისა და მეცნიერების დანგრევა (მოსწავლეთა კონტინგენტის და უმაღლეს სასწავლებლებში პროფილთა სპექტრის მკვეთრი შემცირება), კორუფციის ჩუმი სტიმულირება და მასში მონაწილეობა, სახელმწიფოს სამართლიანობის პრინციპთა მიზანმიმართული ხელყოფა და მრავალი სხვა (ამ პოლიტიკის ხსენებული ძირითადი პრინციპები – საქართველოს ნგრევა რუსეთის ბრძანებით, მაგრამ დასავლეთის სახელით, სამართლიანობის მიზანმიმართული საბოტირება და მოსახლეობის ემიგრაციის სტიმულირება – სააკაშვილის გუნდს მემკვიდრეობით აქვს მიღებული შევარდნაძის ადმინისტრაციისაგან).

თქმული, ჩვენის აზრით, საკმარისია იმ დასკვნისათვის, რომ ამავე შემადგენლობის ხელისუფლება თავის ყველა მკვეთრ პოლიტიკურ ნაბიჯში, მათ შორის იმაშიც, რომელსაც ახლა, როგორც ჩანს, გეგმავს (რის გამოც წინასწარ სინჯავს საზოგადოების რეაქციას), ორიენტირებული იქნება რუსეთის ინტერესებზე ქართულის წინააღმდგ

2. უგულავას განცხადებაში არაადექვატურად არის ჩამოყალიბებული ის საზღაური კრემლის მხრიდან, რომელიც, ავტორის აზრით, ამ უკანასკნელმა უნდა გადაუხადოს საქართველოს იმის სანაცვლოდ, რომ საქართველომ ხელი აიღოს დასავლურ ორიენტაციაზე. ეს საზღაური, უგულავას განცხადების თანახმად, ამოიწურება იმით, რომ რუსეთმა უნდა გაიყვანოს თავისი შეიარაღებუ;ლი ძალები საქართველოს ტერიტორიიდან, მაგრამ არ არის ნათქვამი, რომ რუსეთმა უნდა გააუქმოს თავის მიერ საქართველოს ნაწილების – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის, რუსების მიერ „სამხრეთ ოსეთად“ მონათლულის, – „დამოუკიდებლობის“ ცნობა. ეს გარემოება ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ უგულავას და მისი პირით მოლაპარაკე სააკაშვილს განზრახული აქვთ დათანხმება რუსეთის მიერ ჩუმად ლობირებულ გეგმაზე, რომ საქართველოსგან მის, მათი აზრით, უკვე შეკვეცილ საზღვრებში, „დამოუკიდებელი“ აფხაზეთისაგან და „დამოუკიდებელი“ „სამხრეთ ოსეთისაგან“ შეიქმნას ე.წ. სახელშეკრულებო სახელმწიფო, ანუ კონფედერაცია, რომელიც ავტომატურად დაიშლება მაშინათვე, როგორც კი ერთი მონაწილე უარს იტყვის მასში მონაწილეობაზე. ამ გეგმის მთავარი მახასიათებელი, არსებული კონტექსტის მიხედვით, არის ის, რომ

– იგი გულისხმობს თავის ლოგიკურ პირობად საქართველოს მიერ ხსენებული ორი ერთეულის „დამოუკიდებლობის“ ცნობას, რასაც რუსეთმა ვერ მიაღწია და, მსოფლიოს ფაქტობრივად ერთსულოვანი პოზიციის მიხედვით, რომელიც დღეს არსებობს, ვერც ოდესმე მიაღწევს

– იგი ნიშნავს რუსეთის გამოსვლას იმ ჩიხიდან, რომელიც მას შეექმნა, როგორც აგრესორს საქართველოს მიმართ.

– იგი ნიშნავს რუსეთისთვის „საიმედო პარტნერისა“ და „მფარველის“ სახელის აღდგენას მის მიერ ორგანიზებადი და მართვადი ნებისმიერი სხვა სეპარატისტული მოძრაობის თვალში, რომლის გამოყენებასაც იგი სამომავლოდ გეგმავს ან დაგეგმავს ამა თუ იმ სუვერენულ სახელმწიფოში შეჭრის ან მასზე კონტროლის მოპოვების მიზნით.

– იგი ნიშნავს რუსეთის რეალური სტრატეგიული და პოლიტიკური პოზიციების შენარჩუნებას კავკასიონიდან სამხრეთით მდებარე ტერიტორიებზე, რომელთა სეპარატისტ პოლიტიკოსებსაც მან დახმარება გაუწია მათი მიზნების განხორციელებაში.

საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება რომ ფარულად სწორედ ამგვარი „დარეგულირების“ მომხრეა და რუსეთის სწორედ ამგვარი დავალების შემსრულებელია, ამის მოწმობაა ის, რომ საქართველოს ხელისუფლებას არ განუცხადებია პროტესტი და, საერთოდ, არანაირი კრიტიკული დამოკიდებულება არ გამოუვლენია ბოდენის გეგმის მიმართ, რომელიც, ძირითად ხაზებში, აფხაზეთში მიმდინარე თითქოსდა ქართულ-აფხაზური, სინამდვილეში კი რუსულ-ქართული კონფლიქტის „დარეგულირებას“ ეხება, მიუხედავად იმისა, რომ მის ხელთ იყო და არის საკმარისი არგუმენტები ამ გეგმის სრული მიუღებლობისა (მთავარი არგუმენტია ის, რომ ბოდენის გეგმა უსამართლოა: აფხაზეთი არ არის საქართველოს მიერ ოდესმე დაკავებული ტერიტორია. მის შესვლას საქართველოს შემადგენლობაში ისტორიაში თარიღი არა აქვს, ხოლო დღეს აფხაზებად წოდებული მოსახლეობის შემოსვლას ამ ტერიტორიაზე ჩრდილოეთიდან, კავკასიონის გადაღმიდან, თარიღი აქვს. ესაა XVII საუკუნე, როცა აფსუა ხალხი დასახლდა „აფხაზეთად“ წოდებულ ქართულ პროვინციაში, რის გამოც მას ჯერ ქართულად, ხოლო შემდეგ, შესაბამისად, ყველა სხვა ენაზეც, გარდა საკუთარისა „აფხაზები“ დაერქვა. ამიტომაც არანაირი ანალოგია დღეს რუსულ-ჩეჩნურსა და ქართულ-აფხაზურ ურთიერთმიმართებებს შორის არ არსებობს: თარიღი, როცა ჩეჩნები დასახლდნენ თავის დღევანდელ ტერიტორიაზე, ისტორიაში არ არსებობს, ხოლო თარიღი, როცა ეს ტერიტორია შევიდა, დაპყრობის შედეგად, რუსეთის შემადგენლობაში, არსებობს: ესაა XVII-XVIII-XIX საუკუნეები). უტყუარი საბუთი ბოდენის გეგმის საწინააღმდეგოდ არის ის, რომ, თუ პრეცედენტად დაკანონდება, რომ დემოგრაფიული დინამიკა ნებისმიერი სახელმწიფოს ამა თუ იმ ტერიტორიაზე განსაზღვრავდეს მოცემული ტერიტორიის იურიდიულსა და პოლიტიკურ სტატუსს (როგორც „სამხრეთ ოსეთი“ რუსმა დამპყრობლებმა გამოიგონეს და შექმნეს მხოლოდ იმ მოტივით, რომ საქართველოს ოთხ პარალელურ ხეობაში ოსურმა მოსახლეობამ გადააჭარბა ქართულს რუსეთისავე აქტიური ხელოვნური შემოსახლებების შედეგად), ეს იქნება რეალური სტიმულირება ყველა ეთნიკური ჯგუფის პანიკური შიშისა ყველა სხვა ჯგუფის დემოგრაფიული კეთილდღეობის წინაშე. მაშასადამე, ეთნიკური წმენდისა და მისი ძირითადი იარაღის, გენოციდის სტიმულირებაც მთელს მსოფლიოში ევროპის ჩათვლით. საქართველოს დღევანდელი რუსეთის სამსახურში მდგომი ხელისუფლების მხარდაჭერას ამ პროექტისადმი არაპირდაპირ, მაგრამ ცალსახად მოწმობს ისიც, რომ იმ ოთხიდან (ცაგარეიშვილი, კუბლაშვილი, ბაქრაძე, ხაინდრავა) – რომელნიც დასთანხმდნენ ამ ანტისახელმწიფოებრივი პროექტის იგივეობრივი, თითქოს ქართული პროექტის ხელმოწერაზე თავისი ქართული გვარებით, ორი, – კუბლაშვილი და ბაქრაძე – ხელისუფლებმა თავისი უმჭიდროეს პოლიტიკურ ჯგუფში აიყვანეს და უმაღლესი თანამდებობებით დააჯილდოვეს.

3. თემისათვის, რომელსაც განცხადება ეხება, ანუ ქართულ-რუსული ურთიერთობების შემდგომი ევოლუციის მოსალოდნელი ან სასურველი მიმართულების განსაზღვრისათვის, არსებითია მოწინააღმდეგის, ანუ რუსეთის პოლიტიკის გამჭოლ მიზანთა, კონკრეტულ ტაქტიკურ მოტივთა და პროპაგანდისათვის მომუშავე არგუმენტთა გათვალისწინება. განცხადების ავტორები საქმის ამ მხარეს ან სრულებით არ უფიქრდებიან, ან შეგნებულად ხუჭავენ მასზე თვალს. რუსეთის გრძელვადიანი და საადღეისო ტაქტიკური მიზნები სამხრეთ კავკასიასთან და, კერძოდ, საქართველოსთან მიმართებაში ხილულია: რუსეთის მიზანია დასავლეთს გადაუკეტოს გზა ცენტრალური აზიისკენ, რაც განუყრელადაა დაკავშირებული მისი გეოსტრატეგიის და, კერძოდ, აღმოსავლეთში მსოფლიო პოლიტიკისათვის ფუნდამენტალურად მნიშვნელოვანი სამხედრო და ეკონომიკური ალიანსის შექმნასთან. ამ მიზანზე რუსეთი ხელს ვერ აიღებს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში დასავლური დემოკრატია, რომელთან მიმართებაშიც რუსეთი არც ეკონომიკურად, არც კულტურულად კონკურენტუნარიანი არ არის და განჭვრეტად მომავალში ვერ იქნება, შეაღწევს ცენტრალურ აზიაში და კონტინენტის ამ სტრატეგიულად საკვანძო ზონაში რუსეთის როგორც შემტევი, ისე თავისი და თავისი მოკავშირის ალიანსისათვის ვრცელი ტერიტორიის შემოზღუდვაზე დამყარებული „თავდაცვითი“ სტრატეგიის გაბატონებას ქეუ-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

მე-4 გვერდიდან

ძლებელს გახდის. აზიის ამ გადაკეტვისათვის რუსეთს სჭირდება შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის მდებარე ტერიტორიის ან დაუფლება (და არა მხოლოდ მეტ-ნაკლებად ზერელე გავლენის გავრცელება მასზე), ან სრული გრძელვადიანი პარალიზაცია, როგორც სატრანსპორტო არტერიისა (რაც ხანგრძლივი დროით აგრეთვე ადვილი მისაღწევი არ არის). ამიტომ რუსეთი გარდუვალად შეეცდება, რომ „რაგინდარა დაპირისპირებისა და დათმობისათვის“ მზაობის განცხადებათა ფონზე (პირობათა დარღვევა მას, როგორც ცნობილია, ტრადიციად აქვს) საქართველოსთან მიმართებაში რეალურად ორიენტაცია აიღოს მხოლოდ დაკავების სტრატეგიაზე (და არა მოჩვენებითი „მეგობრობისაზე“). თქმულიდან გამომდინარეობს, რომ რუსეთის მხრიდან მის პოლიტიკაში ამიერკავკასიის მიმართ არ იქნება და ვერ იქნება დაცული ვერც ერთი რაგინდარა უხინჯო ფორმალობებით გამაგრებული ხელშეკრულება საქართველოსთან. ეს საშიშროება მით უფრო რეალურია, რომ რუსეთს უკვე აქვს მოპოვებული იურიდიული პლაცდარმი საქართვლოს წინააღმდეგ პროვოკაციისათვის და მასზე ხელახალი შეტევისათვის საბაბის შესაქმნელად. ეს არის სარკოზი-მედვედევის შეთანხმება, რომელიც საქართველოსთვის კაბალურია, რამდენადაც იგი საქართველოს წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი შეტევის განუხორციელებლობას პირობადებულს ხდის, სახელდობრ, მას ისეთი პირობებით განსაზღვრავს, რომელთა საქართველოს მხრიდან დარღვევის არა მხოლოდ სიმულაცია, არამედ ორგანიზებაც მას ნებისმიერ წამს ძალუძს, რამდენადაც საქართველოს დღეს მისი უსიტყვოდ მორჩილი ხელისუფლება ჰყავს. მეტ-ნაკლებად (მაგრამ მხოლოდ მეტ-ნაკლებად!) საიმედო მასთან შეიძლება იყოს მხოლოდ ისეთი ხელშეკრულება (ან ხელშეკრულებები, სადაც მისი ერთგულება განპირობებული იქნება პარტნერის ძალით და არა საერთაშორისო სამართლის პირდაპირი დარღვევის გამო გართულებათა შექმნის რიდით. ნათელია, რომ ასეთი პარტნერის როლში საქართველო ვერ გამოვა.

4. უგულავას (პრაქტიკულად — საკაშვილი-უგულავას) ხსენებული განცხადება პირდაპირ და დაუფარავად მიდის საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის, სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ, როცა აცხადებს მზაობას, რომ ამა და ამ პირობით დაითმოს საქართველოს ფუნდამენტური ზოგადცივილიზაციური, გეოსტრატეგიული და კულტურული ორიენტაცია დასავლეთზე. ზემოთქმულიდან (იხ. პუნქტი 3) გამომდინარეობს, რომ ერთადერთი პარტნერი, რომელთან ხელშეკრულებასაც შეუძლია რუსეთი შეაკავოს გაშლილი შემოტევისაგან ამიერკავკასიის დასაპყრობად, ანუ ისეთი პარტნერი, რომელსაც რუსეთი ხელშეკრულებას ვერ დაურღვევს ამ უკანასკნელის ძალის რიდით, არის თანამედროვე დემოკრატიული დასავლეთი, პირველ ყოვლისა — აშშ. დასავლეთი დღეს რუსეთს და მის პოტენციურ დიდსა და მცირე მოკავშირეებს აღემატება არა მხოლოდ სამხედრო პოტენციალით და თოფქვეშ მდგომი ძალით, არამედ ჩვენს რეგიონში თავისი დაინტერესების ხარისხითაც. დასავლეთთან საქართველოს სათავდაცვო კავშირის რეალიზაციის გზა საქართველოსთვის არის ან ნატოში შესვლა ან დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოებთან ორმხრივი სათავდაცვო კავშირების ქონა (პირველ ყოვლისა, რა თქმა უნდა, ესაა აშშ). ამ კავშირის ვერშეკვრა არის საქართველოს სრულებით დაუცველად დატოვება რუსეთის არა მითიური „ვაღიზიანებით“ ან სხვა რამ ამდენადვე ზღაპრული შემთხვევითობით განპირობებული, არამედ ნამდვილი, რუსული იმპერიალიზმისათვის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე აგრესიის წინაშე. განცხადების ავტორი და რეალური ავტორები, ჩვენი აზრით, მსოფლიოს წინაშე სიმულაციას ეწევიან იმისას, რომ ეს გარემოება არ ესმით. ამის უკანასკნელი მაჩვენებელია, ჩვენის აზრით, თვით ამ განცხადების გაკეთების მომენტიც: დღეს რუსეთი მზად არის (ან სიმულანტობს, რომ მზად არის, მაგრამ ამ სიმულაციას ამ შემთხვევაში ნაკლები ალბათობა აქვს, ვიდრე რეალურ განზრახვას), რომ წავიდეს გეოპოლიტიკურ ავანტურაზე და განახორციელოს საქართველოს წინააღმდეგ ღია დარტყმა. ამით — და სხვა ვერაფრით! — აიხსნება ის, რომ რუსეთის ერთერთი პირდაპირი აგენტი ნოღაიდელი, რომელსაც ზურგს უკან არავითარი ადგილობრივი ძალა არ ჰყავს (არამედ ფლობს მხოლოდ რუსეთისგან მიღებულ ფულს), ტელეეკრანიდან „ვაუკაცურად“ ემუქრება ხელისუფლების რაგინდარა კორუმპირებულ და რაგინდარა აღვირახსნილ წარმომადგენლებს არა სამართალში მიცემით მომავალში, არამედ ფიზიკური სასჯელით. ეს უნიადაგო „ვაუკაცობა“ ტელეეკრანზე სხვა ვერაფრით იქნება გამოწვეული, გარდა რუსეთის სათანადო ფსიქოლოგიურ სამსახურებში შემუშავებული ინსტრუქციისა „შექმენი შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებას იღებ!“, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან მძლავრი ფაქტორია ჩვენს სახელმწიფოზე რუსული დარტყმისათვის შესაფერისი ფსიქოლოგიური ამინდის შესაქმნელად. ამავე ინსტრუქციაზე მიგვითითებს ნინო ბურჯანაძის მიერ ამ ორიოდე თვის წინ რამდენჯერმე არჩეული შინაარსი მისი გამოსვლებისა (მაგრამ, ნოღაიდელისაგან განსხვავებით — არა კილო). შემაშფოთებლად საყურადღებოა ისიც, რომ ნოღაიდელის ღია ტექსტზე, რომელიც დანაშაულებრივია, იურიდიულად არ რეაგირებს მისი ვითომ შეტევის ობიექტი — საკაშვილის ხელისუფლება, რაც ისევ და ისევ ვერანაირად ვერ აიხსნება იმ შემთხვევაში, თუ საკაშვილიც რუსეთის მიერ ცალსახად მართული არ არის.

5. ჩვენს მოვალეობად ვრაცხთ, საზოგადოების ყურადღება მივაპყროთ უფრო ფართო კონტექსტსაც, რომელიც განაპირობებს დღეს რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას საქართველოს მიმართ, რადგან ამ აგრესიას დღეს ვერაფერი სხვა ვერ აღკვეთს და ვერაფერი შეაკავებს რეალური წინააღმდეგობის გარდა. ვგულისხმობთ ყველა სახის წინააღმდეგობას, მაგრამ პირველ რიგში — დიპლომატიურს, როგორც ამ შემთხვევაში ყველაზე ძლიერს. რეალობა გვეუბნება, რომ მოვლენათა განვითარების დღეს მიმდინარე ბუნებრივ, პრაქტიკულად — უომარი პროცესის გაგრძელების შემთხვევაში რუსეთი უფრო და უფრო ინტენსიურად და თავისთვის არამომგებიანად — ჩაერთვება მსოფლიოს ეკონომიკური, პოლიტიკური და სტრატეგიული განვითარების სისტემაში (სისტემაში, რომელშიც, ფაქტია, მაგალითად, ის, რომ არცერთ ბაზარზე რუსული წარმოების ინდივიდუალური კომპიუტერი არ არსებობს), რომელშიც მას, თავისუფალი მეტოქეობის პირობებიდან გამომდინარე, არა აქვს მსოფლიოს მეორე ან მესამე ძალის სტატუსის შენარჩუნების არანაირი პერსპექტივა. ამიტომ რუსეთისთვის დღეს გარდუვალია (და რუსეთის საშუალო მოქალაქის სულისკვეთებაც დღეს სწორედ ამას მოითხოვს საკუთარი ხელისუფლებისგან), რომ აწარმოოს შეზღუდული მასშტაბის მრავალმხრივი შეტევა თავის „ახლო საზღვარგარეთზე“ იმ მიზნით, რომ ამა თუ იმ ფორმით დაიკანონოს და დანარჩენი მსოფლიოსგან რეალურად მოზღუდოს ხმელეთის რაც შეიძლება დიდი არეალი, რომელშიც იგი დაცული იქნება დანარჩენი მსოფლიოს მეტოქეობისაგან როგორც განვითარების ტემპისა და ცივილიზაციური დონის მხრივ, ისე ამ სივრცეში მოქცეული ბუნებრივი რესურსების მოპოვებასა და გამოყენებაში მეტოქეობის მხრივ. მოვლენათა ამ მიმართულების განვითარების იმედს რუსეთს სხვა ვერა მისცემს რა, თუ არა ამ კონკრეტულ არეალში, რომელსაც რუსეთი უმიზნებს, ბუნებრივი რესურსების არაპროპორციულად დიდი კონცენტრაცია, რაც მას, მისი გაგებით, საშუალებას მისცემს ამ უპირატესობის გამოყენებით დიდხანს გააგრძელოს თავისი იმპერიული არსებობა დანარჩენ მსოფლიოსთან შედარებით სტაგნაციის პირობებშიც კი (ასეთი მკვეთავი რესურსის მაგალითი დღეს რუსული ნავთობი და გაზია), მაგრამ სამაგიეროდ ამ რესურსის დაცულობის მეტ-ნაკლები გარანტიით. მაგრამ რუსეთისათვის შეუძლებელია არ იყოს ცნობილი, რომ მსოფლისთან ამ სახით თანაარსებობა ვერ იქნება დროში უსასრულო. ამიტომ რუსეთი გარდუვალად გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა შესაძლებლობას, რათა დროის იმ მონაკვეთში, სანამ ეს მისთვის სასურველი სიტუაცია გაგრძელდება, მოასწროს თავის მიერ მოზღუდულ სივრცეში ყოველივე მისთვის არასაიმედო, ანუ ამ სივრციდან გასვლისკენ მიმართული ფსიქოლოგიური და რეალური პოტენციალი მოსპოს. ეს ნიშნავს, რომ რუსეთის პოლიტიკა ამ სივრცეში მოხვედრილი ქვეყნებისა და ხალხებისადმი სხვა ვერა იქნება რა, თუ არ მათი ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად, კულტურულად, ეკონომიკურად, უფლებრივად, ტექნიკურად შეზღუდვის, მისთვის უკეთეს შემთხვევაში — მოსპობის პოლიტიკა. თავის მიერ ამა თუ იმ ფორმით დაბრუნებულ ტერიტორიებში იგი აღარ გააგრძელებს სსრკ-ში არსებული „დამოუკიდებელი ერების“ „თავისუფალი ეროვნული განვითარების“ პოლიტიკას, რომელსაც კომუნისტური მმართველობისას მას თავისი ოფიციალიური იდეოლოგია ავალებდა, დღეს და განჭვრეტად მომავალში კი არავინ და არაფერი არ ავალებს. ამის შედეგად მას შეუძლია თავის წარმოდგენაში და იმპერიულად განწყობილი საშუალო მოქალაქის წარმოდგენაში — გლობალიზებადი და თავისუფალი ეკონომიკის პირობებში მაცხოვრებელი დანარჩენი მსოფლიოს ამ მოდელის თითქოსდა განმეორებით, — თავის სივრცეში ეს თავისუფალი (მაგრამ ამ სივრცეში რეალურად მართული) და საბაზრო (სინამდვილეში კი არაპირდაპირი მეთოდებით მართული) პროცესების საშუალებით მოაშთოს ის ეთნიკური, კულტურული, გეოგრაფიული და პოლიტიკური ერთეულები, რომელთაც იგი თავისთვის ყველაზე არასასურველად ჩათვლის. საქართველო, ბუნებრივია, ერთერთი ყველაზე პირველი იქნება, ტრადიციულადვე, ამ უკანასკნელთა შორის. თქმულიდან გამომდინარეობს, რომ პერსპექტივა, რომელსაც ხსენებული განცხადების ავტორები საქართველოს სთავაზობენ ლამაზად ჟღერადი „ნეიტრალიტეტის“ სახით (რაც დღეს მასობრივ მომხმარებლამდე მრავალი არხით მიდის), არის არა „რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციის“ პროგრამა (ნორმალიზაციისა ქართული ტერიტორიების დატოვებით საქართველოს გარეშე!), არამედ ქართველი ერის, როგორც ამ ტერიტორიის მოსახლე და მფლობელი ერის, განადგურებისა. მარტივად: **საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზა მხოლოდდამხოლოდ რუსეთის, როგორც კავკასიასა და ამიერკავკასიაში მოქმედი იმპერიის, დამარცხებაზე გადის.** ვგულისხმობთ, რა თქმა უნდა, რომ ეს დამარცხება არაა აუცილებლად ომისმიერი. სამკვდრო-სასიცოცხლო მეტოქეობა მრავალ პარამეტრს მოიცავს და მრავალ ასპარეზზე მიმდინარეობს. შესაბამისად, რუსეთსაც ხსენებული დამარცხების პერსპექტივა (ჩვენის აზრით — გარდუვალი პერსპექტივა) მრავალ ასპარეზზე აქვს.

6. ჩვენს მოვალეობად ვრაცხთ, საქართველოს საზოგადოებრიობას გავუთვალისწინოთ, რომ რუსეთის შემტევ პოლიტიკას თავის „ახლო საზღვარგარეთში“ გამარჯვების პერსპექტივა არა აქვს. თავისი „ახლო საზღვარგარეთის“ კვლავ დაპყრობის მცდელობა, რასაც რუსეთი უდავოდ გეგმავს თავისი მოსახლეობის უფართოესი მასის ტაშის გრიალში, ვეღარ წააწყდება ამ პოლიტიკისადმი შემწყნარებლურად განწყობილსა და აგრესიის მპატიებელ მსოფლიოს. იგი წააწყდება დედამიწაზე მიმდინარე ყველა პროცესებით მაქსიმალურად დაინტერესებულ მსოფლიოს (გლობალიზაცია, როგორც ბუნებრივი პროცესი, ხომ სწორედ ეს გახლავთ!), რომელსაც რუსეთსა და მის შესაძლო მოკავშირეებზე, ერთად აღებულზე, შეუდარებლად აღმატებული ძალა ექნება (პირველ ყოვლისა, ტექნოლოგიური და მეცნიერული დონით) და რომელიც მყარი ნებითაა აღჭურვილი, რათა რუსეთის ახალი ექსპანსია აღკვეთოს. რუსეთი იძულებული იქნება თავისი აგრესია შეწყვიტოს და ამ აგრესიით მიღწეულ მონაპოვრებზე უარი თქვას. მაგრამ ეს არ არის გადარჩენის გარანტია არც საქართველოსთვის, არც ამ აგრესიის რომელიმე სხვა შესაძლო მსხვერპლისათვის. რუსეთი გარდუვალად ყველა საშუალებით შეეცდება, თავისი „ახლო საზღვარგარეთის“ შემადგენელი რაც შეიძლება მეტი ქვეყნისა და ტერიტორიის მილიტარული, ეკონომიკური, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ათვისება მიიყვანოს იმ ნიშნულამდე, რომ იგი შეუქცევადი გახადოს. ამიტომ დღეს მიმდინარე ბრძოლაში პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების გადარჩენისათვის, რომლის ბოლო, პრინციპულად, ცნობილია (რუსეთი ამ სივრცეს, ძირითადად, დაკარგავს), უპასუხოდ რჩება, ჯერჯერობით ერთი კითხვა: **ვის განადგურებას მოასწრებს რუსეთი და ვისას** — ვერა. ამგვარად, რუსეთის აგრესიისთვის წინააღმდეგობის გაწევას ამა თუ იმ ერის ხელში [illegible] ბით **აზრი აქვს.** რადგან სხვაა იმ ერის მომავალი, რომელსაც, წინასწარვე ხელებაწეულს, რუსეთი ერთ დღეღამეში იპყრობს, და სხვაა იმისა, რომელიც რამდენს მე დღეღამეს უძლებს მას, სანამ მსოფლიო თავის პირველ რეაგირებას მოახდენდეს და რუსეთს არ მისცემდეს საშუალებას, რომ მისი დაპყრობა ორი ქვეყნის ურთიერთობის „ნებაყოფლობით“ ცვლილებად წარმოადგინოს. ამგვარად, პოსტსაბჭოთა ქვეყნების სინამდვილეში, რომელთაც რუსული აგრესია გვემუქრება, ერის შვილისა და მოქალაქის არჩევანი აღარ არის არჩევანი სახელოვან სიკვდილსა და ნაძრახ სიცოცხლეს შორის. დღეს ყველა პიროვნებას, ყველა ოჯახსა და მთლიანად ერს არჩევანი აქვს სამარცხვინო სიკვდილსა და სახელოვან სიცოცხლეს შორის. დღეს უკვე მსოფლიო ძალების რიცხვიდან თითქმის გასული (და მათში მობრუნების შანსის აღარ მქონე) რუსეთისათვის სამფლობელოდ ნასაბჭოვარი სივრცის დათმობა აღარ მოხდება. საქართველოსთვის ტრადიციული სიტუაცია — როცა საქართველო, როგორც ერთადერთი ქრისტიანული ქვეყანა, პირისპირ იყო დარჩენილი ირანისა და ოსმალეთის იმპერიებთან რამდენიმე საუკუნის მანძილზე — აღარ განმეორდება და ვეღარ განმეორდება გლობალიზაციის, პირველ ყოვლისა — სტრატეგიული გლობალიზაციის ბუნებრივი პროცესის გამო. მანძილი აღარ კმარა — და რაც დრო გავა, უფრო და უფრო ნაკლებად იკმარებს — იმისთვის, რომ შედარებით სუსტ მტაცებელს მის ახლოს მდებარე სუსტი, მაგრამ მიმზიდველი მსხვერპლი ლუკმად დაუთმონ. მაგრამ ეს ჩვენი ქვეყნისთვის მხსნელი ფაქტორიც კი ძალაში იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს საზოგადოებრიობა (პირველ რიგში) და საქართველოს მიერ არჩეული ხელისუფლება მოწოდების სიმაღლეზე იქნებიან, რათა

— მყარად იბრძოლონ ქვეყნის ინტერესებისათვის საერთაშორისო ორგანიზაციებში

— ააწყონ ქვეყნის თავდაცვა იმ მინიმალურ ნიშნულამდე, რომ მსოფლიოსთვის შესამჩნევი წინააღმდეგობა გაუწიონ აგრესორს სამხედრო დაპირისპირების პირობებში, ხოლო მშვიდობის პირობებში განავითარონ თავისი ეკონომიკური კავშირები, როგორც გზა შავი ზღვისა და მისი მიმდებარე წყლების ქვეყნებიდან კასპიის აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე ქვეყნებისაკენ.

როგორც აღვნიშნეთ, რუსეთის მცდელობა „ახლო საზღვარგარეთში“ თავისი ბატონობის აღდგენისა მიზანს ვერ მიაღწევს და პატარა ერთან ბრძოლაში, თუკი მის ქვეყანაში თავისი მარიონეტული ხელისუფლება არ ჰყავს, **ომის ყველა საშუალებას ვერ იხმარს.** ის ობიექტური პირობები, რომ საქართველოსთვის მებრძოლი მამულიშვილის შრომა და მსხვერპლი უშედეგოდ იკარგებოდეს, როგორც საბჭოთა იმპერიაში ხდებოდა, აღარ არის და არასოდეს აღარ დადგება. მაგრამ ამ რამდენიმეწლიანი ბრძოლის მოგება ქართველ ხალხს შეუძლია და მომავალ თაობათა წინაშე ვალდებულიცაა, რომ მოიგოს.

ეროვნულ პარტიათა ალიანსი
22.01.2010

პოლიტიკასაც მეცნიერული წიგნიერება სჭირდება

ხელისუფლებისადმი ბრმად მორჩილმა ქართულმა ტელეარხებმა ამ რამდენიმე დღის წინ გააჩაღეს კამპანია მინისტრის ი. გაგოშიძის წინააღმდეგ იმის გამო, რომ მან იხმარა გამოთქმა „დიასპორა“ საქართველოს მოსახლეობის ყველა ეროვნული ჯგუფის მიმართ ქართველებისა და აფხაზების გარდა, ხოლო ხელისუფლებამ გაგოშიძე თანამდებობიდან მოხსნა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მეტყველებს ხელისუფლების მეცნიერულ არაინფორმირებულობას, მის დემაგოგიურ სულისკვეთებას და მის მიზანმიმართულად ანტიქართველურ ორიენტაციას პოლიტიკაში. სახელდობრ:

1. ბერძნული „დიასპორა“ („განთესილი“) არ არის არც იურიდიული, არც პოლიტიკური, არც ვინმესთვის შეურაცმხყოფელი ცნება. ეს არ არის <u>იურიდიული</u> ცნება, არამედ გეოგრაფიული და დემოგრაფიულია. იგი აღნიშნავს ერის იმ ნაწილს, რომელიც თავისი სამშობლოდან გასულია და სხვა ქვეყანაში ცხოვრობს, როგორც წესი – თაობათა და საუკუნეთა მანძილზე. პირველად ეს ცნება შეიქმნა პალესტინიდან გასული ებრაელებისა და მათი დასახლებების აღსანიშნავად (მათი ეს გასვლა დაიწყო IV ს-ში ქ. წ.) შემდეგ გავრცელდა სხვა ხალხთა ანალოგიური ნაწილებისა და დასახლებების მიმართ. საქართველოში მაცხოვრებელი არაქართველი ეთნიკური ჯგუფების საქართველოში დასახლების ისტორია მეცნიერებისათვის ზედმიწევნით ცნობილია. ის ფაქტი, რომ <u>ეს</u> მოსახლეობა საქართველოში შემოსულია სხვა ქვეყნებიდან, არაფრით არ ზღუდავს მათს მოქალაქეობრივ სტატუსს და არაფრით შეურაცხყოფს მათს ღირსებას.

2. წინააღმდეგ საქართველოს ხელისუფლების ანტიმეცნიერული, დემაგოგიური და ორიენტაციით ანტიქართველური პრაქტიკისა შევარდნაძისა და სააკაშვილის გუნდთა მმართველობის დროს, საქართველოს პოლიტიკას თავის მოქალაქეთა ეთნიკურ ჯგუფებთან (ქართველებთან, აფხაზებთან, სომხებთან, ოსებთან, ბერძნებთან და ა.შ) სჭირდება <u>პრინციპები,</u> რომლებზედაც არც შევარდნაძე, არც სააკაშვილი (სრულებით არასაპატიო მიზეზების გამო) არ დაფიქრებულან. ეს პრინციპებია:

ა) საქართველოს, ისევე როგორც ყველა სხვა ქვეყნის, მოქალაქეობა არის <u>ხელშეკრულებითი</u> დამოკიდებულება პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის (და, ამდენად, მასზე ვრცელდება „სახელმწიფო ხელშეკრულების“ კლასიკური კონცეფცია): მოქალაქეს აქვს უფლებები და მოვალეობები სახელმწიფოს მიმართ, ხოლო სახელმწიფოს – მოქალაქეთა მიმართ. <u>სახელმწიფოს არა აქვს უფლება, იძულებით ჩაიხედოს მოქალაქის სულში</u> და შეამოწმოს, რომელი ქვეყნის გუნდს დაუჭერს იგი მხარს საერთაშორისო მატჩში – საქართველოსას თუ, ვთქვათ, არგენტინისას, საიდანაც მისი წინაპრები მოვიდნენ ორასი წლის წინათ. ხსენებული უფლება-მოვალეობები ცნობილია და <u>უკლებლივ ყველა მოქალაქისათვის ერთნაირია.</u>

ბ) პიროვნების კუთვნილობა თავისი ერისადმი არ არის <u>ხელშეკრულებითი</u> დამოკიდებულება, არამედ პრინციპულად სხვაა. იგი <u>ბუნებითი</u> ერთობაა (ანუ კაცობრიობა ბუნებითვეა დაყოფილი სხვადასხვა ერებად), რომელიც ადამიანის ფსიქიკის <u>განუშორებელ აუცილებლობას</u> წარმოადგენს და ემყარება ძირითადად ერთიან გენეტიკურ წარმომავლობას, ისტორიული ბედისა და ღვაწლის ერთობას, მომავალი ბედის ერთობას, ენას, კულტურულად იგივეობას და სხვა <u>არაშემთხვევით</u> იგივეობებსა და ერთგვაროვნებს. ინდივიდის ბუნებრივი ფსიქიკური მოთხოვნილება და ამავე დროს უფლება არის თავგანწირული ბრძოლა თავისი ერის უკვდავყოფისა და წარმატებისათვის. ამაში შედის მისი ერის ტერიტორიული სამარადისო თავდამკვიდრებაც იმ <u>ერთადერთ</u> ტერიტორიაზე, რომელიც <u>მისი</u> ეთნიკური ტერიტორიაა. ამგვარად, საქართველოს სახელმწიფო ვერ უნდა ითხოვდეს და მოელოდეს თავისი ეროვნებით არგენტინელი მოქალაქეებისაგან, რომ საქართველოს და არგენტინის სამკვდრო-სასიცოცხლო ომის შემთხვევაში მათ საქართველოს მხარეზე იბრძოლონ, და თავისი სტრატეგია ვერ უნდა ააგოს იმაზე, რომ ისინი <u>თავისი</u> ერის წინააღმდეგ იბრძოლებენ. ეს <u>რეალური</u> არ იქნება. თქმულიდან გამომდინარეობს საქართველოს სახელმწიფოს მოვალეობა, რომ

ა) იყოს თავისი მოქალაქე დიასპორების სულისკვეთების კურსში, რათა კრიტიკულ სიტუაციებში მათი მოქმედების პროგნოზირება შეძლოს

ბ) მაქსიმალურად გაუწიოს ანგარიში თავისი დისპორების მოქალაქეობრივი ინტერესების გარდა (რაშიც ყველა მოქალაქე ერთია) მათს სპეციფიკურად ეროვნულ ინტერესებსაც (მაგალითად, ყველანაირად აერიდოს არგენტინასთან ომს, როცა იცის, რომ არგენტინული წარმოშობის დიასპორა ჰყავს)

3. საქართველოს ეროვნული მიმართულების პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აზრით, რომელსაც ჩვენ წარმოვადგენთ, საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის შეუვალი პრინციპი ეთნიკურ დიასპორასთან ურთიერთობაში უნდა იყოს <u>ინტეგრაცია (ანუ ერთიანობა) ასიმილაციის გარეშე.</u> ჩვენთვის მიუღებელია იმ სახელმწიფოთა (მათ შორის – უდიდეს დემოკრატიულ სახელმწიფოთა) პრაქტიკა, რომლებიც მოქალაქეს უწერენ <u>თავისი</u> (და არა იმ მოქალაქის) ეროვნების სახელს და ფიქრობენ, რომ ამით ამ მოქალაქის თავის სახელმწიფოში „ინტეგრაციის“ პრობლემა გადაჭრეს. საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ერთადერთი მისაღები პერსპექტივაა მასში მოსახლე ყველა ეთნიკური ჯგუფისათვის <u>თავისი</u> ეროვნული იდენტობისა და კულტურის გარანტირებული მარადიულყოფის პირობების შექმნა იმის მყარი ცნობიერებით, რომ (იხ. 4 აქვე)

4. საქართველო, როგორც დედამიწის ერთი ნაწილი, ეკუთვნის ქართველ ერს, როგორც კაცობრიობის ერთ ნაწილს. საქართველოს მარადიულყოფა, როგორც დღევანდელ ოფიციალურ (და გაეროს მიერ ცნობილ) საზღვრებში მდებარე, დამოუკიდებელი, თავისუფალი და ქართული (ანუ თავის მოქალაქესთან ოფიციალურად სალიტერატურო ქართულ ენაზე მოლაპარაკე) სახელმწიფოსი, საქართველოს სახელმწიფოს უფლება და მოვალეობაა. მისი მოვალეობაა <u>იმიგრაციის</u> კონტროლიც.

შენიშვნა: ერის <u>საკუთრება</u> თავისი ტერიტორიის მიმართ შემოფარგლულია (და მომავალში უფრო და უფრო შემოიფარგლება) რიგი საკაცობრიო (ძირითადად ეკოლოგიური და ჰუმანიტარული) საერთო ინტერესებით, რაც დარეგულირებული იქნება საერთაშორისო კონვენციების სახით. (მაგრამ საკუთრების <u>ფაქტს</u> ეს შემოფარგლვა ვერ შეეხება).

მოყვანილი ოთხი უმარტივესი პრინციპი საქართველოს ეროვნული პოლიტიკისა, მით უმეტეს – სხვა უფრო რთული და დეტალიზებული პრინციპები შევარდნაძისა და სააკაშვილის ადმინისტრაციისათვის უცნობია ან შეგნებულად უგულვებელყოფილია. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ხსენებული არაინფორმირებულობა და ამ პრინციპთა უგულვებელყოფა შემდგომშიც უნდა გაგრძელდეს. არ უნდა გაგრძელდეს მათი პოლიტიკური მიმართულების დამახასიათებელი <u>დემაგოგიაც,</u> რომელიც მიზნად ისახავს ქართული მამულიშვილური იდეოლოგიისა და სულისკვეთების გამოყვანას არაქართველ მოქალაქეთა დაჩაგვრის იდეოლოგიის როლში და ემყარება პრიმიტიულ სოფიზმებს, ანუ ყალბი დასკვნების გამოტანის ხრიკს არასწორი თითქოსდა ლოგიკური პროცედურის გამოყენებით. მათი ორივე ძირითადი სოფიზმი, ისევე როგორც ყველა სოფიზმი საერთოდ, ემყარება ერთი და იმავე სიტყვის ორი სხვადასხვა მნიშვნელობით გამოყენებას. ერთი ასეთი სიტყვაა მათთვის „სამშობლო“, - იგი აღნიშნავს იმ ადგილსაც, სადაც დავიბადეთ, და იმ ერის ქვეყანასაც, რომელსაც ვეკუთვნით. მაგალითად, თუ ვარ ქართველი, მაგრამ არგენტინაში დავიბადე და ვცხოვრობ, ჩემთვის არგენტინა სამშობლოა ამ სიტყვის სხვა აზრით, ხოლო საქართველო – მისი სხვა აზრით. საყურადღებოა, რომ აზერბაიჯანს აქვს უცხოეთში მაცხოვრებელ „თანამემამულეებთან“ მუშაობის სამინისტრო და ოფიციალურად აქვს გაცხადებული, რომ ეს სამინისტრო ძირითადად <u>საქართველოში</u> მაცხოვრებელ აზერბაიჯანელებთან მუშაობს (და, სხვათა შორის, აფინანსებს მათ მიწის საყიდლად). (ამიტომ საქართველოს ხელისუფლებას ვთხოვთ, გაარკვიოს, <u>რომელია</u> საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა სამშობლო, ხოლო თუ მათი სამშობლო საქართველოა, მაშინ როგორღა არიან აზერბაიჯანის იმ სამინისტროს „თანამემამულენი“, რომელიც მათ აფინანსებს საქართველოში მიწის საყიდლად?). მეორე ასეთი სიტყვაა „ერი“, რომელიც თანამედროვე ევროპაში იხმარება „სახელმწიფოს“ მნიშვნელობითაც და „ერის“ მნიშვნელობითაც (თუმცა <u>მეცნიერებაში</u> გერმანელები ასხვავებენ „ხალხ ერებს“ (Volk-Nation) და „სახელმწიფო ერებს“ (Staat Nation). პირველი, ბუნებრივია, მიისწრაფის, რომ მეორედ იქცეს, ანუ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდეს). საქართველოს ერთგულსა და კვალიფიციურ მომავალ ხელისუფლებას არა აქვს უფლება, შევარდნაძისა და სააკაშვილის ხელისუფლებათა ზემოაღნიშნული გულუბრყვილობის კვალზე იაროს.

საქართველოს ეროვნულ პარტიათა ალიანსი

მე-3 გვერდიდან

1. არის თუ არა საქართველოს ტერიტორიაზე არაქართული ეთნოსისათვის, რომელსაც საქართველოს გარეთ თავისი სახელობის ეთნიკური ტერიტორია აქვს და რომელიც მთლიანად დიასპორაა, ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეულის შექმნა და ამ ერთეულისათვის ამ არაქართული ეთნოსის სახელის დარქმევა საქართველოს სახელმწიფორივი და ეროვნული ინტერესების ძალადობით შელახვა ანუ აგრესია, ხოლო ამ ვითარების ძალადობითვე გაგრძელება – საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის გაგრძელება? ხოლო თუ არის, მაშინ რა ლეგალური ან არა ლეგალური, მაგრამ მორალურად იმპერატიული შეზღუდვები ეგულება მისიას საქართველოს სახელმწიფოს საპასუხო მოქმედებისათვის ამ მიმდინარე ქართულ-რუსული ომის მოსაგებად და საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული ამ აგრესიის აღსაკვეთად?

2. არის თუ არა 4500 კვ. კილომეტრის ტერიტორიაზე ოცდაათზე მეტი ქართული სოფლის ძალის გამოყენებით გაქრობა რამდენიმე წლის მანძილზე ეთნიკური წმენდა მისი ყველაზე რადიკალური მეთოდის – გენოციდის გამოყენებით? თუ არის, მაშინ თვლის თუ არ თვლის (და თუ არ თვლის, რა არგუმენტით არ თვლის) მისია ამ ეთნიკურ წმენდასა და გენოციდში დამნაშავედ რუსეთს, რომლის რეგულარული შეიარაღებული ძალების ამ რეგიონში დგომის გარეშე მასში არც ერთი საათი დღემდე არ უარსებია „სამხრეთ ოსეთს“?

3. ცნობილია თუ არა კომისიისთვის რუსეთის დიქტატორის პუტინის ტელეეკრანზე გაჟღერებული სიტყვები, რომ რუსეთმა უნდა „დასაჯოს“ საქართველო, ანუ პუტინის ღიად გამოთქმული პოზიცია, რომლითაც იგი რუსეთს აკუთვნებს ყოველგვარი გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე მეზობელი ქვეყნის „დასჯის“ (და არა მისი უჯერო ან სახიფათო ქმედებებისაგან ამა და ამ სუბიექტის დაცვის) ფუნქციასა და უფლებას?

4. მიაჩნია თუ არა მისიას, რომ არსებობს რაღაცა კონკრეტული პირობები, რომელშიც შესაძლებელი ან, მით უმეტეს, სასურველი და გამართლებული ხდება გენოციდისა და ეთნიკური წმენდის დემოგრაფიული და პოლიტიკური შედეგების დაკანონება? თუ მიაჩნია, მაშინ რომელია ეს პირობები და რომელია (თუკი არსებობს) ჩატარებული გენოციდის პატიებისათვის განკუთვნილი ხანდაზმულობის ვადა?

პატივისცემით და მისიის პრინციპული კეთილსინდისიერების იმედით

საქართველოს სახალხო ფრონტი **ნ. ნათაძე**

(თავმჯდომარე)

სამხედრო ფორმირება „იმედის“ ვეტერანთა კავშირი „იმედი“

თადარიგის პოლკოვნიკი

დ. ხომასურიძე,

მეთაური

საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია

პ. ნაზარიშვილი,

თავმჯდომარის მოადგილე

26.IX.2009

ინდივიდუალური აუდიტორი

ლიანა ტაველურაშვილი

სერთიფიკატი №5/ 231

თბილისი, ფულუას ქ. №4 — ტელ: 899 96 34 65

14 იანვარი 2010წ.

მე, ინდივიდუალურმა აუდიტორმა " ლიანა ტაველურაშვილმა" ჩავატარე „საქართველოს სახალხო პარტიის" (თავმჯდომარე მ.გიორგაძე) მიერ წარმოდგენილი 2009 წლის 31 დეკემბრისათვის შედგენილი წლიური ანგარიშის აუდიტი.

ამ ფინანსური ანგარიშის მომზადებასა და უტყუარობაზე საქართველოს კანონის "აუდიტორული საქმიანობის შესახებ (მუხლი 14) პასუხისმგებელია დამკვეთი, ხოლო მე ვიღებ პასუხისმგებლობას იმ დასკვნაზე, რომელიც ჩემს მიერ არის შედგენილი იმ ფინანსური მონაცემების აუდიტიდან გამომდინარე, რაც წარმოადგინა "საქართველოს სახალხო პარტიამ".

აუდიტი ჩავატარე საქართველოს კანონის "აუდიტორული საქმიანობის შესახებ" მოთხოვნების გათვალისწინებით, რომელიც მოითხოვს აუდიტის იმგვარ დაგეგმვას და შემოწმებას, რაც საშუალებას მომცემდა დავრწმუნებულიყავი ,რომ მოცემული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს არსებით შეცდომებს, თავისუფალია ყოველგვარი უზუსტობისაგან .

გარდა ამისა აუდიტმა მოიცვა საფინანსო ანგარიშების ციფრობრივი მასალის შერჩევითი შემოწმება და გამოყენებული ბუღალტრული (ფინანსური) პრინციპებისა და მნიშვნელოვანი პროგნოზირების შეფასება.

ვადასტურებ, რომ 2009 წელს პოლიტიკურ გაერთიანება "... „საქართველოს სახალხო პარტიას"" არანაირი შემოსავალი არ

10440048O
აუდიტორი

/ლ. ტაველურაშვილი/

საქართველოს სახელმწიფოს სოციალური მოვალეობები

საქართველოს სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის პრინციპული წანამძღვრები

I. ფაქტია, რომ

— საქართველოს მოსახლეობის 15%-ზე მეტი დღეს შინაგანი ლტოლვილის მდგომარეობაშია იმის გამო, რომ საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაპყრობილია რუსეთის მიერ. ამგვარად, საქართველოს მოსახლეობა ეროვნული ტრავმის მდგომარეობაში იმყოფება.

— საქართველოს მოსახლეობის 60% დღეს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს. ამგვარად, საქართველოს მოსახლეობა მთლიანად ეკონომიკური და სოციალური ტრავმის მდგომარეობაში იმყოფება;

— საქართველოს მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან და სხვა რიგი გარემოებებიდან გამომდინარე, საქართველოში ვერ მუშაობს ეკოლოგიური დაცვის სისტემა (ვერც გარემოსთან მიმართებაში, ვერც საკვებთან მიმართებაში) და საქართველოს მოსახლეობამ ეს იცის. ამგვარად, საქართველოს მოსახლეობა მთლიანად ეკოლოგიური დაუცველობის და მისგან გამომდინარე ფსიქიკური სტრესის მდგომარეობაში იმყოფება.

— საქართველოს მოსახლეობის კატასტროფულად დიდი პროცენტი (თვითმოქმედი (ეკონომიკურად აქტიური) მოსახლეობის მესამედზე მეტი) ემიგრირებულია და ემიგრაცია გრძელდება. არის ასევე მასობრივი იმიგრაციის რეალური საშიშროება და მოსახლეობამ ეს იცის. ამგვარად, საქართველოს მოსახლეობა მთლიანად დემოგრაფიული რეალური საფრთხისა და რეალური ფსიქიკური ტრავმის მდგომარეობაში ცხოვრობს;

— საქართველოს მოსახლეობის 80% არასრულფასოვანი კვების მდგომარეობაში იმყოფება, რაც ფიზიკური დეგრადაციის მუდმივმოქმედი წყაროა და მოსახლეობამ ეს იცის. ამიტომ მოსახლეობა მთლიანად ბიოლოგიური საფრთხისა და მისი გარდუვალობის ცნობიერებისგან მიყენებული ტრავმის პირობებში ცხოვრობს;

— საქართველოს მოსახლეობა (მისი ძირითადი მასა) ფაქტობრივად მოკლებულია ჯანდაცვას;

— საქართველოს მოსახლეობა ცხოვრობს მრავალსუბიექტიან საინფორმაციო სივრცეში, რომელშიც პედაგოგიკურად ადექვატური არჩევანის მოხდენა პროფესიულ კვალიფიკაციას მოითხოვს. ამ კვალიფიკაციის მქონე კონსულტაციას მოსახლეობა მოკლებულია. შესაბამისად, მოსახლეობას ცხოვრება უხდება ისეთ პირობებში, როცა მშობელს არ შეუძლია შვილს მისცეს პედაგოგიურად დასაშვები განმარტება როგორც რეალური, ისე საინფორმაციო სივრცეში დანახული მოვლენების შესახებ, ხოლო შვილს, მცირეწლოვანის ჩათვლით, არა აქვს საშუალება, რომ მშობლის კომპეტენტურობის იმედი ჰქონდეს. სხვა სიტყვით, ბავშვი მისთვის პედაგოგიკურად არასანდო გარემოში იზრდება, რაც მასობრივ პედაგოგიურ კატასტროფას ნიშნავს;

— საქართველოს მოსახლეობისათვის მთლიანად ცნობილია, რომ საქართველოს განათლების და მეცნიერების სისტემა კვეცის პროცესშია, ანუ განვითარება მიდის იქითკენ, რომ მოზარდ თაობას ეკვეცება მსოფლიოსთვის მისაწვდომი ყველაზე მაღალი ცოდნის ოდესმე დაუფლების შესაძლებლობები. ამგვარად, საქართველოს მოსახლეობა მთლიანად პრინციპული შემეცნებითი შეზღუდულობის და ამ უკანასკნელით გამოწვეული ფსიქიკური ტრავმის პირობებში ცხოვრობს. ამავე ფაქტორიდან გამომდინარე, მოსახლეობას მთლიანად ექმნება შთაბეჭდილება, რომ მის სახელმწიფოს არ ძალუძს კომპეტენტური აზრის შემუშავება მეცნიერებისთვის ცნობილ საკითხთა მთელ რიგზე, რაც დამატებით დარტყმას აყენებს მას;

— საქართველოს მოზარდ თაობებს, ზემოხსენებული ინფორმაციული და ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, არა აქვთ ობიექტური საფუძველი იმედისათვის, რომ მათთვის გახსნილია, პრინციპულად, თანამედროვე კაცობრიობაში არსებული ყველაზე მაღალი ფუნქციებისათვის პროფესიული მომზადების და ყველაზე მაღალ ფუნქციათა ოდესმე თავისთავზე აღების გზა. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მოსახლეობა მთლიანად ცხოვრობს ბუნებრივ ამბიციათა პრინციპული შეზღუდულობისაგან გამოწვეული ფსიქიკური ტრავმის პირობებში.

— საქართველოს მოსახლეობა მთლიანად ცხოვრობს აგრო-სასურსათო კატასტროფის შიშის პირობებში, რამდენადაც არა აქვს სარწმუნო ცოდნა იმისა, თუ სახელმწიფოს შიგნით საავარიოდ აუცილებელი დამოუკიდებელი სასურსათო უზრუნველყოფის რა რესურსი არსებობს (ან კიდევ უარესი, იცის, რომ ასეთი რესურსი არ არსებობს), ანუ მოსახლეობა ცხოვრობს სურსათის გარანტირებული საკმარისი ხელმისაწვდომობის არარსებობის პირობებში;

— დასასრულს, საქართველოს მოსახლეობა მთლიანად ცხოვრობს მორალისადმი, როგორც ადამიანთა ცნობიერებისა და მათი ურთიერთობის ელემენტისადმი, უნდობლობის, ანუ მუდმივი მორალური ტრავმის პირობებში, რამდენადაც თითოეული გახსნილი მძიმე, მაგრამ დაუსჯელად დატოვებული დანაშაული ასეთ ტრავმის წყაროდ კმარა.

ყველა დასახელებული დისკომფორტი საქართველოს მოსახლეობისა იმ სახისაა, რომლითაც ილახება ადამიანთა ელემენტარული და მსოფლიოს მიერ ფიქსირებული ადამიანური უფლებები, მათ შორის ბედნიერებისკენ ადამიანის სწრაფვის უფლებაც. ამგვარად, ყველა ამ დისკომფორტთაგან საქართველოს მოსახლეობის გათავისუფლება საქართველოს სახელმწიფოს პრინციპულ მოვალეობათა ჩამონათვალში შედის.

II. პრინციპული მნიშვნელობის გარემოებაა ის, რომ კაცობრიობის უახლოესი პერსპექტივა მოიცავს არა მხოლოდ ინდივიდთა, კომპანიათა, ქვეყანათა, სახელმწიფოთა, კონტინენტთა და ცივილიზაციათა კონკურენციას, არამედ სახელმწიფოებრიობის მოდელთა კონკურენციასაც. საქართველოს სრული უფლება და ამავე დროს მისი პოლიტიკურად დასაქმებული მოსახლეობის მოვალეობაა საქართველოს სახელმწიფოს იმგვარი მოდელის შემუშავება, რომელიც

— ყველაზე უფრო ადექვატურად უპასუხებს საქართველოს, როგორც ქვეყნის და ერის საჭიროებებს;

— ყველაზე უფრო შეუწყობს ხელს საქართველოს მოსახლეობაში დღეს არსებული შესაძლებლობების შემოქმედებით გაშლას სახელმწიფო მშენებლობის საქმეში;

ის, რომ საქართველოს სახელმწიფოს მოდელი სავსებით უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მიერ ხელმოწერილ ჰუმანიტარულ დოკუმენტებში ჩამოყალიბებულ პრინციპებს და სამართლებრივი აზროვნების თანამედროვე დონეს, თავისთავად იგულისხმება.

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის, ამ შემთხვევაში მისი სოციალური პოლიტიკის პრინციპი არ შეიძლება არ იყოს ის, რომ მის გამჭოლ მიზანს შეადგენდეს არა მხოლოდ ადამიანთა არსებული სიმრავლისათვის ცხოვრების ოპტიმალური პირობების შექმნა, არამედ, პარალელურად, თვით ამ ადამიანთა სიმრავლის ფორმირება მაქსიმალურად ჯანმრთელ ქმედუნარიან, შრომისუნარიან, კვალიფიციურ და კულტურულად პერსპექტიულ საზოგადოებად, რაც მათივე პირადი მიზნების და საუკეთესო ამბიციების შესაბამისია.

ადამიანისათვის ზრუნვაში (რაც სოციალური პოლიტიკის განუყრელი მიზანია) სახელმწიფო უნდა გულისხმობდეს მათი როგორც სასიცოცხლო, ანუ ე.წ. 'ძლიერი" მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას შესაბამისი ღირებულებების განხორციელების გზით, არამედ, არანაკლებ, მათ ე.წ. 'მაღალ" მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასაც და შესაბამისი ღირებულებების იმპლემენტაციას. ხსენებული ორი პრინციპიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ საქართველოს მომავალი კონსტიტუცია უნდა მოიცავდეს ადამიანის სოციალური დაცვის ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს. ჩამონათვალი, იგულისხმება, არასრულია. საქართველოს კონსტიტუციაში განისაზღვრება სახელმწიფოს მოვალეობა მოქალაქის მიმართ. სახელმწიფო ვალდებულია, თავისი ბუნებრივი და სხვა სახის რესურსებით:

— უზრუნველყოს მოქალაქისთვის სრულფასოვანი ეკოლოგიური სივრცე ('სრულფასოვანში" აქ და ქვემოთ იგულისხმება საკმარისი როგორც სრული განვითარებისთვის, ისე თავის შესაძლებლობათა სრული რეალიზაციისთვის);

— უზრუნველყოს მისთვის სრულფასოვანი კვება (ზრდადასრულებულისათვის — მისი მხრიდან შრომისათვის მზადყოფნის შემთხვევაში, მოზარდისათვის — უპირობოდ):

— უზრუნველყოს მისთვის სრულფასოვანი ინფორმაციის სივრცე, ანუ თანამედროვეობისათვის შესაფერისი განათლების შესაძლებლობა, აუცილებლად ფუნდამენტური მეცნიერების საფუძველთა მოცვით;

— უზრუნველყოს მისთვის ჯანდაცვის მინიმუმი;

— უზრუნველყოს მისთვის სრულფასოვანი მორალური სივრცე. მასში შედის:

ა) სახელმწიფოს სრულფასოვანი სამართლებრიობა (სამართლიანობა სახელმწიფოში);

ბ) დემოკრატია (მოქალაქეთა თავისუფლება მათ ძირითად ადამიანურ უფლებებში და თანასწორობა კანონის წინაშე);

გ) სახელმწიფო პოლიტიკის არსებითი შესაბამისობა ე.წ. მეტაიურიდიულ სფეროსთან, ანუ მოქალაქეებში ურყევად აღიარებულ შეხედულებებთან ოჯახის, ზნეობის, ადამიანურ ურთიერთობათა ზოგადი პრინციპების შესახებ;

— უზრუნველყოს მის მოზარდ თაობათათვის ჯანსაღი პედაგოგიური სივრცე. მასში შედის ერთის მხრივ ის, რომ გარემო (ვთქვათ, ქუჩის პეიზაჟი) არ შეიცავდეს ისეთ ელემენტებს, რომლებსაც მშობელი შვილს ვერ განუმარტავს და ვერ დაუსაბუთებს მის აღზრდაში გამოყენებულ ზოგად პრინციპთა თვალსაზრისით, მეორეს მხრივ, ყველა დასახლებული პუნქტის სიახლოვეს (მით უმეტეს — დიდი ქალაქების გარშემო) სახელმწიფო საკუთრების საკმარისად დიდი ზონების არსებობა, სადაც ბავშვი და მშობელი თავისუფლად შედის, დარბის, თხილამურობს, მარწყვს წყვეტს და ა.შ., რის გარეშეც მას ვერ ექნება იმის განცდა, რომ მისი ქვეყნის სახით მას დედამიწაზე თავისი საკუთარი ადგილი აქვს.

— უზრუნველყოს თავის მოქალაქეთათვის ე.წ. ამბიციის სივრცე, ანუ სოციალური მობილობის სივრცე ყველაზე რთულსა და საპასუხისმგებლო ფუნქციებთან იმ პირთა მისასვლელად, რომელნიც უკვე ჩამოყალიბებულ ელიტებს არ ეკუთვნიან და წინსვლისათვის მხოლოდ საკუთარი პოზიტიური უნარების გამოყენებაზე არიან ორიენტირებულნი;

წინამდებარე ჩამონათვალი ექვემდებარება გაფართოებას და დაზუსტებას დარგობრივი სპეციალისტების (ფსიქოლოგების, სოციოლოგების, სოციოფსიქოლოგების, ეკონომისტების, ფილოსოფოს-აქსიოლოგების, მედიკოსების, სამხედრო სპეციალისტების) ჩათვლით;

გასათვალისწინებელია, რომ აქ განხილული სფერო — მოქალაქესთან სახელმწიფოს დამოკიდებულება — ერთერთია იმ ორიდან, რომელთა დაბალანსება სახელმწიფო მართვის სიბრძნის ძირითადი პარამეტრია. მეორე გახლავთ თვით სახელმწიფოს, კონკრეტულად — სახელმწიფოდ ჩამოყალიბებული ერის ისტორიულმასშტაბიანი ე.წ. მარადიული ინტერესების დაცვა.

ნოდარ ნათაძე,
პაატა კოლუაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე მოსაზრება საქართველოს მომავალი კონსტიტუციაზე

საქართველოს მომავალი კონსტიტუციის პროექტზე მუშაობს რამდენიმე ჯგუფი. ამათში ოფიციალური ერთია – ეს გახლავთ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია ბ-ნ ავთანდილ დემეტრაშვილის თავმჯდომარეობით. სხვა ჯგუფებს შორის ყველაზე დიდი ხნის წინ ჩამოყალიბებული და ყველაზე შორს წასული თავის საქმიანობაში არის ჯგუფი ბ-ნ ვახტანგ ხმალაძისა და ბ-ნ ტაბუციძის ხელმძღვანელობით. ბუნებრივია, რომ ამ რთული და საპასუხისმგებლო შრომის მონაწილეებს აქვთ არაერთგვაროვანი ზოგადი იდეოლოგიაც და კონკრეტული მოსაზრებებიც კონსტიტუციის სხვადასხვა თემების შესახებ. მოსალოდნელია, რომ ჯგაშში მაგიდაზე დაიდება ერთი კარგი პროექტი მაინც (თუ მეტი არა), რომელიც ადექვატური იქნება საქართველოს წინაშე რეალურად მდგარი პრობლემებისა და ამოცანებისა. საზოგადოება არ იმედოვნებს და არც ჩვენ გვაქვს იმედი, რომ არსებული ხელისუფლება შემოთავაზებულ პროექტებსა და ცალკეულ იდეებს შორის უკეთესს აირჩევს და ყურმოჭრილად მორჩილ პარლამენტს, რომელსაც უკვე მრავალი ცოდვა აწევს ერისა და ქვეყნის წინაშე, მისაღებად შესთავაზებს. მაგრამ კონსტიტუციის რეალური პროექტის, ანუ სახელმწიფოს ამოცანებთან რეალურად მორგებულის, მაგიდაზე დადებას აზრი მაინც აქვს – ჯერ ერთი, იმიტომ, რომ კონსტიტუციის შექმნა უდიდესი შემოქმედებითი ამოცანაა მეცნიერული და სახელმწიფოებრივი აზრისათვის, ამიტომ ეს შემოქმედებითი აქტი მაშინვე უნდა შესრულდეს, როცა მის შესასრულებლად საკმარისად უნარიანი და საკმარისად პრინციპული ადამიანები შეიყრებიან. როდის ხდება ან ვერ ხდება ასეთთა შეკრება, ეს უკვე განგების საქმეა და არა ორგანიზაციისა. მეორეც, საქართველოს ნებისმიერმა კანონიერმა, უკანონო თუ ნახევრად კანონიერმა ხელისუფალმა უნდა იცოდეს, ისევე როგორც თვით საზოგადობამ, რომ საქართველოს წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრა კონსტიტუციურ დონეზე შესაძლებელია, რის ილუსტრაციაც მას ხელთ ეჭნება შემოთავაზებული ტექსტის სახით, და რომ, მაშასადამე, თუ არსებული კონსტიტუცია ამ ამოცანებს ვერ უპასუხებს, ეს ამა და ამ პირთა კეთილი ნების უკმარისობის ბრალია და არა ამოცანის დაუძლეველობის, ან საქართველოს ინტელექტის სიმწირისა.

მკითხველს ჩვენს მოსაზრებებს შევთავაზებთ ამჯერად სამ საკითხზე.

1. რაზე უნდა იყოს ორიენტირებული საქართველოს კონსტიტუცია.

დღევანდელი პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ არსებულ პოლიტიკურ კურსთან შესატყვისი და სახელმწიფო სტრუქტურებთან მეტნაკლებად მიახლოებული წრეებიდან მომდინარე მცდელობები კონსტიტუციური მუშაობისა ორიენტირებულია იმაზე, თუ რა არის დღევანელი განვითარებული დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციებში, ანუ ორიენტირებულია საქართველოს კონსტიტუციის მაქსიმალურ მიახლოებაზე ამ ქვეყნებში არსებულ კონსტიტუციებთან. ამ მცდელობას, რაღა თქმა უნდა, უკიდურესად ეკლექტური, ანუ უსისტემოდ შეკოწიწებული და, ამდენად, წინააღმდეგობათა შემცველი ხასიათი აქვს. პირადად ჩვენს პრაქტიკაში ამ მიუღებელი ტენდენციის ყველაზე უკიდურესი გამოვლინება გახლავთ სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში წარმოდგენილი პროექტი, რომელიც ეკუთვნის თავისუფლების ინსტიტუტის ერთერთ აქტივისტს და, თუ არ ვცდები, ერთერთ ლიდერსაც – ლევან რამიშვილს. ეს პროექტი წავიკითხეთ და მივიღეთ მონაწილეობა მის განხილვაში. ჩვენი შთაბეჭდილებით, ეს იყო მექანიკურად გადმოწერილი და უტრირებული („მეუეზე უფრო როიალისტობის“ სულისკვეთებით განწყობილი) ერთიმეორესთან დაუკავშირებელი ნორმები დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციებისა, რომლებიც შემკოწიწებელს ყველაზე რადიკალურ დაპირისპირებაში მყოფად ეჩვენა იმასთან, რასაც თანამედროვე განათლებული ქართველი საჭიროდ მიიჩნევს, რათა მისი ეროვნული სახელმწიფო ეფექტიანად ფუნქციობდეს. უფრო ზოგადად რომ ვთქვათ (და ამ უკიდურეს შემთხვევას განვეყენოთ), კონსტიტუციური მუშაობის დღეს არსებული სტილი და მოდა არ მოიცავს იმის მცდელობას, რომ რაიმე კავშირი დაინახოს შემოთავაზებულ ფორმულირებასა და საქართველოს სახელმწიფოს წინაშე მდგომი რომელიმე ამოცანის გადაჭრის მოთხოვნილებას შორის. მსჯელობის ლოგიკა მთლიანად ასეთ ჩარჩოში თავსდება: „ეს ნორმა არის ამა და ამ ქვეყნის კონსტიტუციაში და ეს ქვეყანა კარგია. მაშასადამე, ეს ნორმა კარგია“. ამავე ლოგიკის მეორე სვლაა: „თუ კარგია, მაშ გადმოვიღოთ იგი“. ეს ლოგიკა მეციერულად მანკიერია, რამდენადაც იგი წარმოადგენს აზროვნების იმ ხარვეზის მაგალითს, რომელსაც ლოგიკის მეცნიერებაში „პოპულარული ინდუქცია“ ეწოდება, ანუ დასკვნის გამოტანა უკმარისი ფაქტებიდან იმ არაფერზე არდამყარებული დარწმუნებულობით, რომ თუ ორი ხდომილება ან გარემოება ერთმანეთს დაემთხვა, ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი მეორის მიზეზი ყოფილა!.

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ასეთ ანეკდოტს. 1947 წელს ქალაქი აშხაბადი მიწისძვრით დაინგრა. ანეკდოტი მოგვითხრობს, რომ მაშველი სამუშაოებისას ნახეს საჭირო ოთახის კაბინა და მასში მომწყვდეული გახეთქილი მთვრალი, რომელიც სიცილით კვდებოდა. „ასეთი არაფერი მინახავს: როგორც კი ჩამოვწიე წყლის ჩასარეცხის სახელურს, დაიგრგვინა და ქალაქი დაინგრაო“. შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ ფაქტებიდან დასკვნის გაკეთებას სჭირდება ორი პირობიდან ერთი მაინც: ან ფაქტების რაოდენობა უნდა იყოს ძალიან დიდი, რათა თითქმის დარწმუნდე „როგორც ჩანს, ამ მოვლენებს შორის ესა და ეს კავშირი ყოფილაო“. ამის მაგალითია ელვის დანახვაზე ცოტა ხნის შემდეგ ქუხილის გაგონება. ან, თუნდ ფაქტები ცოტა იყოს, თქვენ თქვენს გონებაში აწდენთ ანალიზს და ისაზრებთ, რა მექანიზმით ხდება ერთი ფაქტის მიერ მეორე ფაქტის გამოწვევა. თუ გერმანიაში ფედერალური სახელმწიფო მოწყობაა და გერმანია კარგია, ეს არ ნიშნავს, რომ ფედერალური წყობა კარგია! მით უმეტეს, არ ნიშნავს, რომ იგი საქართველოსთვის კარგია! თუ იზრაელი საპარლამენტო რესპუბლიკაა და თუ იზრაელი კარგია, ეს არ კმარა იმის დასტურად, რომ საპატრლამენტო რესპუბლიკა კარგია, ისევე როგორც ის ფაქტი, რომ აშშ კარგი ქვეყანაა და აშშ საპრეზიდენტო სახელმწიფოა, არ ნიშნავს, რომ საპრეზიდენტო სისტემა კარგია და ა.შ.

ამგვარი უანალიზოდ და უიკრიტიკოდ მბაძველი დამოკიდებულების არაადექვატურობის საილუსტრაციოდ დავიმოწმებთ სამ კონკრეტულ გარემოებას. არის არაერთი დემოკრატიული და განვითარებული ქვეყანა, სადაც კონსტიტუციისთვის საინტერესო თემა არაა არჩევნების ჩატარების ტექნიკური მხარე, ანუ იმ მექანიზმის განსაზღვრა, რომლითაც მათი უფალსიფიკაციო ჩატარება უნდა მოხდეს, საქართველოში კი ამ თემას კონსტიტუცია ვერ გამოტოვებს, ვინაიდან საქართველო ისეთი ქვეყანაა, მიუხედავად თავისი კულტურული მემკვიდრეობისა და დიდი ისტორიისა, სადაც არჩევნების რეალური არსებობის მთავარი საფუძველი – საშუალო მოქალაქის ისეთი მენტალიტეტი, რომელიც მისი საარჩევნო უფლების დარღვევას პირად შეურაცხყოფად ღებულობს, – შექმნილი არ არის. მის შექმნას უნდა თაობები და არჩევნებთან დაკავშირებული ღირებულებების „სისხლში გაჯდომა“.

მეორე მაგალითი. არსებობს საპარლამენტო რესპუბლიკები და საპრეზიდენტო რესპუბლიკები. არსებობს შერეული წყობის რესპუბლიკებიც და მონარქიებიც. რა და რა კრიტერიუმებით ირჩევს კონკრეტული განვითარებული, დემოკრატიული და კეთილდღიანი სახელმწიფო ერთ ან მეორე მოდელს, აგრეთვე ტრადიციულად ცნობილია. მაგრამ საქართველოს ამ კრიტერიუმების გარდა თავისი სახელმწიფოს წყობის არჩევაში ვერ გამორჩება ის ამოცანა, რომ კონსტიტუციაში ჩადოს მექანიზმები სახელმწიფოზე გარე ზემოქმედების მოგერიების, ანუ ხელისუფლების შესაძლო მარიონეტულობის წინააღმდეგ ბრძოლისა. მიზეზი ის გახლავთ, რომ საქართველოს ამა და ამ ისტორიულ და პოლიტიკურ ფაქტორთა გამო (ეს ფაქტორები კი ძალიან ღრმაა და ერთი თაობის მანძილზე ვერ მოიხსნება) ხელისუფლებაში მარიონეტების მოსვლისა და დარჩენის უშუალო საფრთხე ელის. ამ ფაქტიდან გამომდინარე, საქართველო იძულებულია და კიდევ დიდხანს იქნება იძულებული, რომ ამ პერსპექტივის გამკლავებისათვის კონსტიტუციური მექანიზმი ჰქონდეს. ასეთ მექანიზმად გამოდგება, მაგალითად, ის, რომ რეალურ გადაწყვეტილებათა მიმღები ადამიანები, ანუ მმართველები, იყონ საზოგადოების რაც შეიძლება უწყვეტი კონტროლის ქვეშ, რადგან იგულისხმება, რომ საზოგადოება თავისი უმრავლესობის სახით თავის თავისადმი ორგული ვერ იქნება. თქმულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი ხდება, რომ პირველი პირი სახელმწიფოში იყოს არა პრეზიდენტი, არამედ პრემიერ-მინისტრი, რომელიც ყოველდღიურად ექვემდებარება პარლამენტის მიერ კონტროლს (იგულისხმება, რომ მარიონეტული პარლამენტის შექმნა უფრო ძნელია, ვიდრე მარიონეტული პრეზიდენტისა), ხოლო პარლამენტის მანდატი იყოს იმპერატიული (არსებობდეს დეპუტატის უკან გამოწვევის მექანიზმი), ანუ პარლამენტის წევრი ექვემდებარებოდეს საზოგადოების მუდმივ კონტროლს თავისი ამომრჩევლების სახით. გადაწონის თუ არა საპარლამენტო რესპუბლიკის ეს უპირატესობა საპრეზიდენტო რესპუბლიკის უპირატესობებს, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი რეალური პირობები ეჭნება მოცემულ ქვეყანას მოცემულ მომენტში: ემუქრება თუ არა მას, ისე როგორც საქართველოში, გარედან დასმული მარიონეტის პრეზიდენტად ყოლის საშიშროება და ა.შ.

კიდევ მაგალითი. კონსტიტუციისათვის პრობლემაა, რამდენად შეზღუდოს სახელმწიფოს პირველი პირის მიერ სასწრაფოდ მისაღები გადაწყვეტილებებში მისი ინდივიდუალური ნების თავისუფლება, ანუ რამდენად გახადოს იგი დამოკიდებული პარლამენტის თანხმობაზე, ვთქვათ, მაშინ, როცა იგი ომს აცხადებს ან ცეცხლის გახსნის ბრძანებას იძლევა. თვით საკითხიც კი, არის თუ არა ქვეყნის პირველი პირი შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდალი, კონსტიტუციისათვის არსებითია და დინჯად განსასჯელია ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, ანუ საკითხავია, ის, რაც ზემოთ ითქვა პირველი პირის მარიონეტობის საშიშროების შესახებ, ძალაშია მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაშიც თუ არ არის. ამ ბოლო მაგალითში განსაკუთრებით მკვეთრად ჩანს ხსენებული გარე ფაქტორის როლი იმ უდიდესი სახელმწიფო ინტერესების შეზღუდვაში, რომ გადაწყვეტილებების მიმღებს მათი მიღება სწრაფად შეეძლოს.

თქმული შეგვიძლია განვაზოგადოთ და განვავრცოთ შემდეგი კონსტატაციით: არის ვითარებები (და, შესაბამისად, ქვეყნები და მათი ისტორიის ეპოქები), სადაც საგარეო ამოცანები გაბატონებულია საშინაო ამოცანებზე. ეს ისეთი ვითარებაა, როცა ქვეყნის საშიშროებათა სათავეში საგარეო საშიშროება დგას, რის გამოც ქვეყნის შიგნით განვითარებისა და ოპტიმალურად მოწესრიგების ამოცანები რაღაცა ზომით იწირება შესაკვეცად და გადასავადებლად გარკვეული დროით. არის, პირიქით, ისეთი ქვეყნები, ეპოქები და ვითარებები, სადაც წარმმართველია შინაგანი ამოცანები: ქვეყანა, საზოგადოება გარედან საკმარისად გამაგრებულია. მას უდიდესი მნიშვნელობის საშინაო ამოცანები აქვს შიგნით მიმდინარე რაღაც პროცესების (ვთქვათ, რეფორმების) გამო, ამიტომ იგი არჩევს, რომელიღაცა საგარეო ამოცანები გადადოს, ან სულაც შეკვეცოს, რათა თავისი ამ შინაგანი ამოცანების გადაჭრას ძალისხმევა არ მოაკლოს. ეს ხდება, ჩვეულებრივ, ისეთ პირობებში, როცა ქვეყანა გარედან საკმარისად დაზღვეულია, რის გამოც მისი საგარეო ამოცანები ძირითადად შეტევითია (და არა თავდაცვითი) და უმტკივნეულო გადავადებას უშვებს.

საქართველოს ისტორიას ამ მხრივ მყარი და არცოუ მხიარული ტრადიცია აქვს: მის საშინაო პოლიტიკას, თითქმის შეუუვალად და კანონზომიერად, მისი საგარეო თავდაცვითი ამოცანა – გარეშე მტრისგან მისი სიცოცხლის, ტერიტორიისა და დამოუკიდებლობის დაცვის ამოცანა – განსაზღვრავს. საქართველოს ისტორიის გაგრძელებაც, როგორც ჩანს და სავარაუდოა, ამ მიმართულებით წავა. იმ ქვეყნების ისტორია, დღევანდელობა და უახლოეს მომავალში მოსალოდნელი ცხოვრება კი, რომელთა კონსტიტუციების გადმოწერაშიც მდგომარეობს, დიდწილად, დღეს მიმდინარე საკონსტიტუციო „აზრის“ მუშაობა, საგარეო მუქარის პრაქტიკულად არმქონე ქვეყნები არიან. მათი კონსტიტუციების აღება ქართული კონსტიტუციის დედნად, შესაბამისად, ზემოაღნიშნული ფუნდამენტური გარემოებების ვერშემჩნევას ან მენტალური სიზარმაცით გამოწვეულ მათს უგულებელყოფას ნიშნავს. ეს ისეთივე აბსურდია, როგორც საკუთარი ავტობიოგრაფიის გადმოწერა მეგობრის ავტობიოგრაფიის ტექსტიდან ან მეგობრისთვის საკუთარი ავტობიოგრაფიის ტექსტის მიწოდება „შპარგალკად“ მისი ავტობიოგრაფიის დასაწერად (ეს უკანასკნელი შედარება ეხება საქართველოს კონსულტანტ-ექსპერტებს და არა თვით ქართველებს).

ამიტომ საქართველოს კონსტიტუციის შექმნაზე მომუშავე პირი ვერ გაექცევა იმის გათვალისწინებას, რომ კაცობრიობის უახლოესი მომავალიც, და მისი განჭვრეტადი მომავალიც მთლიანად, მოიცავს არა მხოლოდ ინდივიდთა კონკურენციას და მეტოქეობას, არა მხოლოდ კორპორაციებისას, ქვეყნებისას, ერებისას, კონტინენტებისას და ცივილიზაციებისას, არამედ, სხვა ყოველივესთან ერთად, თვით მათი სახელმწიფოებრიობის მოდელებისასაც: ვისი მოდელიც სხვისაზე უკეთესი იქნება ხარისხობრივად, ანუ მისი ინდივიდუალური დღევანდელი შესაძლებლობების და მისი დღევანდელი სპეციფიკური ამოცანების გათვალისწინების ხარისხით, იმას მეტი შანსი ეჭნება გადარჩენისა და გამარჯვებისა არსებობისთვის ბრძოლის პროცესში, ვიდრე იმას, ვინც ამ თვალსაზრისით ნაკლები ხარისხის მოდელს შექმნის. ამ პრინციპისთვის დავიმოწმებ მის ფორმულირებას გ. ნათაძის წიგნში „თორმეტი წერილი საქართველოს პერსპექტივაზე (ფილოსოფიური, პოლიტიკური და მორალური თვალსაზრისით“, თბ. 2002, გვ. 41).

უცხო კანონმდებელთა ზეგავლენა საქართველოს კონსტიტუციის ტექსტზე დასაშვებად მიგვაჩნია მხოლოდ როგორც

– მეცნიერული ცოდნის უდავოდ დადგენილი ფუნდამენტური დებულებების პრაქტიკული განხორციელებისა (რამდენადაც იგულისხმება, რომ კონსტიტუცია დგება ამ ფუნდამენტური მეცნიერული ცოდნის შესაბამისად და მისი გათვალისწინებით, ყოველ შემთხვევაში, არა მის საწინააღმდეგოდ. მაგალითად, დაუშვებელია კონსტიტუციის დამფორმულებლების მიერ არ იქნას გათვალისწინებული მონტესკიეს მიერ შეცნობილი პრინციპი, რომ საზოგადოების ქმედით ფუნქციონირებას და მასში ადამიანის ინტერესისა და ღირსების დაცვას სჭირდება ძალაუფლებათა გაყოფა).

– შეზღუდვისა მოქალაქეთა მიმართ სახელმწიფოებრივი იძულების განხორციელების საქმეში – პრაქტიკულად, იმ უფლებადაცვითი ნორმების შესაბამისად, რომლებიც ხელმოწერილია მოცემული სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში საქართველოს, მიერ. (მაგალითად, დაუშვებელია, რომ კონსტიტუციის მიხედვით დაშვებული იყოს ეჭვმიტანილის უდანაშაულობის პრეზუმფციის სავალდებულობის უგულებელყოფა ისეთი შემთხვევისათვის, როცა საქმე ეხება განსაკუთრებით საშიშ დანაშაულს).

– შემოქმედებითი სტიმულისა კონსტიტუციის ტექსტზე მომუშავეთა აზრისათვის, რომ სრულყოს ეს ტექსტი მის მიერ რეალურ პრინციპულ ამოცანათა მოცვის, პრინციპთა სიღრმის, ფორმულირებათა

გაგრძელება მე-9 გვერდზე

მე-8 გვერდიდან

სიზუსტის, კომპაქტურობის, შესაძლო შედეგთა რეალისტური გათვალისწინების და სხვა არაერთი თავალსაზრისით. არცერთი სხვა სახე მსოფლიოს სადღეისო და ისტორიულ პრაქტიკაში მოცემული პრეცედენტების გავლენისა საქართველოს კონსტიტუციის შექმნის პროცესზე (მაგალითად, ასეთი მოტივებით: „მეტისმეტად განსახვავებული ხომ არ გამოგვივა განვითარებული ქვეყნების კონსტიტუციებისაგან?" „რას იფიქრებენ ამა და ამ ჩვენთვის პატივსაცემ ქვეყანაში?") ჩვენ დასაშვებად არ მიგვაჩნია.

2. სოციალური დაცვის თემა კონსტიტუციაში

სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის რაგვარობასა და მიმართულებას, თვით მის საჭიროებასაც კი განსაზღვრავს,

— ის, თუ რა სჭირდება მის მოქალაქეს (საკვები, ბინა, ჯანდაცვა და ა.შ.),

— ის, თუ რის მიცემა მისთვის მიაჩნია საჭიროდ სახელმწიფოს (სასიცოცხლო საგნები, რომ ფუნქციონირება შეძლოს, პლუს გასართობი, რომ არ მოსწყინდეს, პლუს ჯანდაცვა, რომ კარგად იყოს, პლუს პენსია, რომ სიბერის არ ეშინოდეს და კიდევ სხვა რამ ან ნაკლები რამ) და

— რის გაღებას თავის სასარგებლოდ **აიძულებს** სახელმწიფოს თვით მისი მოქალაქე სხვადასხვა ზეწოლითი ქმედებების სახით. სამივე ამ კრიტერიუმის კონკრეტული შემავსებელი შინაარსი დამოკიდებულია სახელმწიფოს ნების მიმართულებაზე და მის მიერ ღირებულად აღიარებულ საგანთა (პრინციპთა, ვითარებათა, ფიზიკურ ობიექტთა) რომელობაზე, ერთის მხრივ, და მოქალაქეთა ამავე არჩევანების რომელობასა და რაგვარობაზე, მეორეს მხრივ, ანუ, ჯამში, სახელმწიფოს მმართველებისა და მოქალაქეების მენატლობაზე მის მთლიანობაში. ჩვენ გვინდა, რომ საქართველოს კონსტიტუციაში ღიად, ექსპლიციტურად, შეძლებისადაგვარად შთამბეჭდავი და ზუსტი სიტყვებით დაფიქსირებული იყოს, რომ უმაღლესი ღირებულება, სახელმწიფოს თვალში, როცა იგი თავის სოციალურ პოლიტიკას საზღვრავს, არის არა ეკონომიკის ნაყოფიერება (თუნდა მონეტარისტული მიდგომით და თუნდა ფიზიკალისტურით) და არსებული მოსახლეობისაგან რაც შეიძლება მეტი შრომითი წვლილის მიღება, ჯამში, თავისი სახელმწიფოებრივი მიზნების მისაღწევად (დასახელებული ღირებულებები თვითმიზნური არ არის. ეს მხოლოდ საშუალებებია), არამედ, ამის გარდა და ამის ზემოთ, **თვით ამ მოსახლეობის ხარისხის და მისი ე.წ. ცხოვრების ხარისხის ზრდა.** სახელმწიფო თავის მოქალაქეთა მასას განიხილავს არა მხოლოდ მისგან მისაღები შრომის თვალსაზრისით, ანუ არა იმის მიხედვით, რასაც ეს მოსახლეობა შექმნის, არამედ, ამასთან ერთად, იმის მიხედვითაც, თუ როგორ შეიქმნება, ჩამოყალიბდება თვით ეს მოსახლეობა თავის დღეს მაცხოვრებელსა და მომავალ თაობებში: სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სახელმძღვანელო მიზანთა შორის უნდა იყოს თვით მოსახლეობისთვის, ჯერ ერთი, ოპტიმალურად თავისუფალი სივრცის მიცემა, რათა მან თავისი თავის თავისი გემოვნებისამებრ განვითარება, ანუ საკუთარი ადამიანური ხარისხის ამაღლება შეძლოს, მეორეც, ამ საქმეში მისთვის სახელმწიფოებრივი დახმარების აღმოჩენა იმ სპეციფიკური საშუალებების გამოყენებით, რაც სახელმწიფოს კერძო პირებთან და მათ ორგანიზაციებთან უპირატესობად აქვს.

დავაკონკრეტოთ ნათქვამი რამდენსამე მაგალითზე.

პირველი. მოსახლეობა, ანუ ხალხი, საჭიროებს როგორც ჯანსაღ ეკოლოგიურ სივრცეს, ანუ საღი პროდუქტების ჭამას და სუფთა ჰაერის სუნთქვას, ისევე ჯანსაღ პედაგოგიურ სივრცეს. მაგალითად, დედას რომ საბავშვო ბაღის ასაკის ან ცოტა უფრო დიდი ბავშვი ქუჩაში გამოჰყავს, იქ მან მხოლოდ ისეთი წარწერები უნდა დაინახოს, რომელთა შინაარსის მისთვის ახსნა დედას შეუძლია, ანუ ბავშვი უნდა გრძნობდეს, რომ დედა ამ სამყაროს — მათს მშობლიურ ქალაქს — ფლობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იკარგება საჭირო პედაგოგიური მიმართება დედა-შვილს შორის და ბავშვსა და მის სამყაროს, მის სამშობლოს შორისაც. ანუ დედისთვის გაუგებარი წარწერა ქუჩაში არ უნდა იფინებოდეს. ღია სივრცეში, ტელევიზიის ჩათვლით, დანახული ყველა კადრები თუმცა ვერ დაემთხვევა დედამისის მიერ ბავშვისა და მოზარდისთვის დახატულ იდილიურ სამყაროს, მაგრამ ამ დანახულში იმპლიციტურად (ნაგულისხმევად) მოცემული და ბავშვის მიერ მასში ამოკითხული აქსიოლოგიური შკალა, ანუ ღირებულებათა იერარქია, არ უნდა მოდიოდეს პირდაპირ წინააღმდეგობაში იმასთან, რასაც მშობლები ბავშვს უნერგავენ მისი ჯანსაღად აღზრდის მიზნით. მაგალითად, როცა დედა შვილს ეუბნება „შვილო, მოითმინე ტკივილი, თუ გინდა კბილები ჯანმრთელი გქონდეს" და ბავშვი ხედავს რეკლამას „დაემორჩილე წყურვილის გრძნობას, დალიე სპრაიტი", მაშინ ამ შთაბეჭდილების პედაგოგიურად ცუდ, სახელდობრ, დამასუსტებელსა და პოზიტიური ღირებულებების მადისკრედიტირებელ გავლენას ბავშვი ვერ გაექცევა. საქართველოში სახელმწიფოს მიერ მართულ ტელეეკრანებზე გამოჩენილი პორნოგრაფია ანტიპედაგოგიური იმით კი არ არის, რომ ეს პორნოგრაფიაა, არამედ პირველ ყოვლისა იმით, რომ ეს ღირებულებათა სხვა, ანტიპედაგოგიური შკალის მიზანმიმართული შეთავაზებაა ნაცვლად იმისა, რასაც **მიზნად** დღესდღეობით საზოგადოებაში მიღებული, პრინციპში, ძირითადად, ჯანსაღი შკალის დარღვევა აქვს.

მოვიყვანოთ კონტრასტისათვის, როგორც იმის ილუსტრაცია, თუ რას ვგულისხმობთ „ჯანსაღ პედაგოგიურ სივრცეში" კონკრეტული მაგალითი. ბრიტანული „ნეიშნელ ჯეოგრეფიკ", რომელიც სახელმწიფო არხია, გვიჩვენებს იმის უაღრესად შთამბეჭდავ სურათებს, რომ ცივილიზაციის თანამედროვე ტექნიკური მონაპოვრები არ ათავისუფლებს და ვერ გაათავისუფლებს ადამიანს მისთვის ბუნების მიერ მიცემული პირადი ფიზიკური გამბედაობისა და ნებისყოფის აუცილებლობისაგან: თანამედროვე ცივილიზებული ადამიანის ცხოვრების აქტივში უნდა იყოს ლომების პრაიდში შესვლაც, ნიანგების ხახაში მათი ყბის კუნთების გამზომი აპარატურის ჩაჩრაც, უპარაშუტოდ გადმოხტომისა და სხვის პარაშუტზე მოკიდების სპორტიც და ამავე ყაიდის მრავალი სხვა რამეც. ამ ფილმებით ბრიტანეთის სახელმწიფო თავის ახალ თაობას ჯანსაღად, უფრო ზოგადად რომ ვთქვათ — ხარისხიანად ზრდის. საქართველოს ხელისუფლება კი თავისას შეგნებულად ამჩვარებს და რყვნის. მას **ატყუებს**, თითქოს მოწინავე მსოფლიოს აქსიოლოგიური ევოლუცია ტრადიციული პოზიტიური ღირებულებების უკუგდებისკენ მიდიოდეს.

მეორე იმგვარი კეთილსაგნის მაგალითად, რომელიც სახელმწიფომ უნდა მისცეს მოქალაქეებს თავისი სოციალური პოლიტიკის კონტექსტში, დავასახელებთ სოციალური წინსვლის თავისუფალ სივრცეს მოზარდ და ახალგაზრდა თაობათათვის. მოზარდმა ახალგაზრდამ უნდა იცოდეს, რომ, თუ თვითონ ივარგებს, შეუძლია, პრინციპში, ნობელის ლაურეატიც გახდეს და გაეროს გენერალური მდივანიც. მას უნდა სჯეროდეს, რომ სახელმწიფო, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, მას ამ კარიერისთვის ვარგისად ზრდის. და არა მხოლოდ „დასაქმებისათვის" (იგულისხმება — ძირითადად, მოსამსახურე პერსონალის როლში დასაქმებისთვის) გამზადებულ მაძიებლად, როგორც ამას საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება იქმს და აპიარებს. ამისთვის პირველი, მაგრამ არა უკანასკნელი პირობაა განათლება, რომელიც საქართველოში დღეს ხელის ერთი მოსმით თითქმის ნოლზე დაყვანილია რუსეთის პირდაპირი ბრძანებით, მაგრამ „დასავლური ღირებულებებისადმი" მისწრაფების ყალბი დამოწმებით. კომენტარისათვის უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ორი კეთილსაგანი — ჯანმრთელი პედაგოგიური სივრცე და თავისუფალი სოციალური მობილობის სივრცე, ასე ვთქვათ, ამბიციის სივრცე — არ იგულისხმება მუქთა საჩუქრად სახელმწიფოს მხრიდან. ეს ადამიანის სოციალურ უფლებათა იმ რიგსა და კატეგორიას ეკუთვნის, რომელთაც კონსტიტუცია კი უნდა აღიარებდეს ასეთებად, მაგრამ აქვე შენიშნავდეს, რომ ამგვარ უფლებათა ჩამონათვალის აღიარებიდან არ გამომდინარეობს სახელმწიფოს ჯიბიდან მათი რეალიზაციის დაფინანსების მოთხოვნა. მათი აღიარება კონსტიტუციაში თავისთავადვე ღირებულია იმიტომ, რომ აკანონებს სახელმწიფოს მიზანსახვას მოქალაქის ამ ინტერესის დაკმაყოფილებისკენ, ისიც — როგორც მიღებულია გამოთქმა — თავისი შესაძლებლობის ფარგლებში (პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ხელისუფლებამ ამ მხრივ სიზარმაცე გამოიჩინა, მას ემუქრება პანლურის დიდი ალბათობა შემდეგ არჩევნებზე). ისიც იგულისხმება და აღინიშნება კიდეც ექსპლიციტურად (გაცხადებულად) არაერთი გამართული ქვეყნის კონსტიტუციაში, რომ ამ რიგის უფლებები რეალიზებადია მხოლოდ დაინტერესებული პირის (მოცემული ახალგაზრდის ან მოზარდის) სათანადო პირადი მონაცემების, მათ შორის სიბეჯითის შემთხვევაში.

მოქალაქის სოციალური უფლებების ამგვარი, შედარებით ფართო განსაზღვრა, რომელზეც ჩვენ ვმსჯელობთ, ადვილად მოიმკის ეჭვს და ირონიულ შენიშვნას „ადამიანის ასეთნაირი გაბედნიერება და მასზე ზრუნვა ხომ საბჭოთა სოციალიზმმაც იცოდა, როცა სახელმწიფოს პოზიცია მოქლააქისადმი ასეთი იყო: „საქონელი ხარ, მონა ხარ. მინდა გამუშავებ, მინდა გაგკრეჭ და მოგწველი, მინდა დაგკლავ, მაგრამ ჩემი ხარ, ჩემი საქონელი ხარ, ამიტომ, სანამ შენი დაკვლა არ დამჭირვებია, გზრდი, გაჭმევ, გმკურნალობ და ყველა სხვა შენს საჭიროებას მუქთად ვაკმაყოფილებ". სინამდვილეში ჩვენი მოსაზრება სოციალისტური მიდგომისგან რადიკალურად განსხვავდება იმით, რომ ჩვენ ლაპარაკი გვაქვს უფლების აღიარებაზე და მისი რეალიზაციისკენ თავისუფალი გზის გახსნაზე და არა მუქთად ჩუქებაზე. ჩვენი ამ მიდგომის რეალიზმი კერძოდ საქართველოში იმაში მდგომარეობს, რომ **მაღალი ღირებულებები, რომლებზეც აქ ლაპარაკი გვაქვს, ქართველი ხალხის საკუთარი, კერძო გემოვნებისთვის უმაღლესად აღიარებული ღირებულებებია.** ამიტომ მოქალაქე არ ელოდება, რომ სახელმწიფომ მას ეს ღირებულსაგნები (ჯანსაღი აღზრდა, განათლება) აჩუქოს. იგი თვითონ მონდომებულია, რომ მათი მოპოვებისათვის ნებისმიერი ძალისხმევა გაიღოს. (ვთქვათ, შვილების განათლებისათვის). ამაში სახელმწიფოს ის წვლილი, რომელიც მან უნდა გაიღოს თავისი მოქალაქის დაკმაყოფილებისთვის (ეს წვლილია პრინციპული აღიარება თავის მიზნად და თავისუფალი გზის გახსნა) ემთხვევა მოქალაქისას. ანუ ამ შემთხვევაში ერთი და იგივეა ის, რასაც სახელმწიფო მოქალაქეს უგეგმავს და უპირებს „თავისი შეძლებისამებრ", და ის, რასაც მოქალაქე, თუ სახელმწიფომ ამ საქმეში უგანა, მისგან გამოძალვას მოუნდომებს.

მაღალი ღირებულებები, რომელთა მოპოვებისთვის ბრძოლასა და შრომას ქართული სახელმწიფო, ჩვენის აზრით, თავისი მოქალაქის უფლებად უნდა აღიარებდეს, მოიცავს ჯანმრთელობასაც, სილამაზესაც, ვარჯიშით მოსაპოვებელ მახასიათებლებსაც და სწავლით მოსაპოვებელსაც, მაღალ ინტელექტუალურ განვითარებასაც და მაღალ ადგილსაც ვაჟკაცობის საერთაშორისოდ ცნობილ შკალაზე, მკვეთრად აღმავალ სოციალურ მობილობასაც და მრავალ სხვა რამესაც. ამ ჩამონათვალში ბევრია მეტ-ნაკლებად ყველა ხალხის მიერ აღიარებული და ღირებულებათა თავისი პირადი სისტემის განუყოფელ ნაწილად შესისხლხორცებული, მაგრამ ყველა ხალხის მიერ აღიარებული არ არის. შესაბამისად, ბუნებრივია, რომ ქართული კონსტიტუციის მიერ აღიარებული სოციალური უფლებების ჩამონათვალი ცოტა უფრო ფართო იყოს, ვიდრე დღესდღეობით განვითარებული ქრისტიანული ქვეყნების კონსტიტუციებში აღიარებული. საშუალოდ, ეს ღირებულებები და უფლებები ბუნებრივ მისწრაფებათა იმ კატეგორიას ეკუთვნის, რომლებიც ადამიანებს უბიძგებენ თავისი პირადი ადამიანური ხარისხის და თავისი საზოგადოების ხარისხის ამაღლებისკენ, და არა მცონარე თვითკმაყოფილებისკენ და იაფფასიანი ჰედონიზმისკენ.

აქ ერთი დამატებითი შენიშვნაც გვმართებს. მაღალ და შედარებით მაღალ ღირებულებათა და ღირებულსაგანთა შორის, რომელთა დაუფლების შესაძლებლობასაც თანამედროვე კონსტიტუციები მოქალაქის სოციალურ უფლებათა ელემენტებად თვლიან, ზოგჯერ სახელდება „ღირსებაც" (dignity). საქართველოს კონსტიტუციას, ჩვენი აზრით, შეუძლია და ჰმართებს ამაზე ცოტა შორსაც წავიდეს. „ღირსება" ამ კონსტიტუციებში და ამ კონტექსტში განუმარტავად არის ხოლმე დატოვებული და მასში, ჩვეულებრივ, იგულისხმება უფრო პირადი შეურაცხყოფისაგან დაცვა და პირადი სოციალური დამოუკიდებლობის გარანტირებული ხელშეუხებლობის განცდის ქონა, ვიდრე რამე სხვა. საქართველოს დღევანდელი მოქალაქისათვის კი, რომელსაც უკვე თითქმის ოცი წელიწადია ატვინებენ (მანამდე კომუნისტური ყალბი პროპაგანდით გამოტვინებულობის ფონზე) და აგონებენ, რომ მის ოცნებათა ბუნებრივი საზღვარია მომსახურებაში დასაქმება და მისი სიამაყის საზღვარი ისაა, რომ რამე არ შეეშალოს ვინმე გონებრივად ჩამორჩენილი სექტანტის ან სექსუალური უმცირესობის „უფლებათა" დაცვაში თავის ქვეყანაში, საჭიროა იმის კონსტიტუციური აღიარება, თუ რას ნიშნავს ადამიანური ღირსების ცნება. რეალურად ღირსება მეტია, ვიდრე პირადი დაცულობა ცხოვრების რაგინდარა პარამეტრში. იგი ნიშნავს სხვა ყოველივესთან ერთად ადამიანის მიერ თავისი თავისუფლების სრულ რეალიზაციას ამ სიტყვის („თავისუფლება") სრული მნიშვნელობით, რომელიც მოიცავს იმ მომენტსაც, რომ ადამიანი გარე სამყაროს, პირველ ყოვლისა — თავის საზოგადოებას და თავის ქვეყანას, ისევე როგორც ამ უკანასკნელის ადგილს სხვა ქვეყანათა შორის, ისე აგვარებდეს, როგორც თვითონ მიაჩნია უმჯობესად და სამართლიანად. ამიტომ სოციალურ უფლებებში, რომელთა მიცემასა და უზრუნველყოფასაც სახელმწიფო უპირებს თავის მოქალაქეს, სასურველია იყოს მისი დაუბრკოლებელი ინფორმირებულობაც მისი სახელმწიფოს პოლიტიკური პრობლემების, გამოწვევებისა და საშიშროებების შესახებ, რათა მოქალაქეს მათი გააზრებისა და მათში თავისი წვლილის შეტანის შეუფერხებელი საშუალება ჰქონდეს.

3. საქართველოს კონსტიტუციური წყობის ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური საფუძვლები —

ბუნებრივი კანონებისა და ნორმატიული კანონების სასურველი ურთიერთმიმართება საქართველოს კონსტიტუციურ წყობაში

1. საქართველოს ისტორიულად მოჰყვება და დღესაც აქვს ის სპეციფიკური პრობლემა, რომ მასთან დაპირისპირებულია შეუდარებლად აღმატებული რესურსის მქონე კულტურულად და რელიგიურად განსხვავებული აღმოსავლეთი ქვეყნები, რის გამოც მისთვის ეროვნული გადარჩენის პრობლემა არა პერიოდული, არამედ მუდმივად მისი პოლიტიკის განმსაზღვრელი პრობლემაა. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებისა და მისი მარეალიზებელი სტრუქტურის — სახელმწიფოს — მუდმივი მოვალეობაა და უფლებაა, თავისი აქტივობით მრავალ შემთხვევაში წინ აღუდგეს სტიქიურ პროცესებს, რომლებიც მიმართულნი არიან საქართველოს წალეკვისაკენ ხსენებული მეზობლების მიერ. ამიტომ საქართველოს კონსტიტუციაში დასაშვებია და გარდუვალია, რომ კონსტიტუციური ნორმები ნორმატიული კანონები უფრო ხშირ შემთხვევაში, ვიდრე მსოფლიოს დემოკრატიულ ქვეყნებში საშუალოდ, მიმართული იყოს ბუნებრივი კანონებით მართული პროცესების ვოლუნტარული (მიზანზე დაფუძნებული) რეგულირებისაკენ ან აღკვეთისაკენ. ეს ეხება, განსაკუთრებით, დემოგრაფიულ პროცესებს, რომელთა იმიგრაციულ-კანონმდებლობითი რეგულირების გარეშე საქართველოს დემოგრაფიული წალეკვა ელის, მაგრამ არაერთ სხვა სფეროსაც, ეკონომიკურის ჩათვლით.

საქართველოს როგორც სახელმწიფოს, ისე კონსტიტუციის ღერძია მისი ზოგად-ეროვნული ამოსავალი მიზნები. მათი კონსტიტუციური ფორმულირება, ზემოთქმულიდან გამომდინარე, გვერდს ვერ აუვლის გარე ძალების პირისპირ გადარჩენის საჭიროების ფაქტორს. ამიტომ სახელმწიფოს მიზანთა ჩამონათვალი უნდა მოიცავდეს შემდეგ ჩანაწერსაც. „საქართველო, როგორც დედამიწის ერთერთი ნაწილი, არის ქართველი ერის, როგორც კაცობრიობის ერთერთი ნაწილის, ქვეყანა. ქართველი ერი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ავტოხთონური მოსახლეობაა. საქართველო არის ქართველი ერის სამშობ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

მე-9 გვერდიდან

ლო, ანუ დედამიწის ის ერთადერთი ნაწილი, რომელზედაც ქართველ ერს შეუძლია გარანტირებული თავის რჩენა და თავისი თავის, როგორც ერის, ყოველმხრივი რეალიზაცია". ამიტომ საქართველოს სახელმწიფოს მიზანთა ჩამონათვალში შედის ობიექტური პირობების შექმნა საქართველოს მარადიულყოფისათვის, როგორც

– 1991 წლის საზღვრებში მყოფი ქვეყნისა და სახელმწიფოსი

– თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყნისა და სახელმწიფოსი

– დღევანდელი სახელის „საქართველო" მატარებელი ქვეყნისა და სახელმწიფოსი და

– ქართული ქვეყნისა და სახელმწიფოსი, ანუ ისეთისა, რომელშიც ქართული ენა საყოველთაოდ ცნობილი (გასაგები) ენაა და რომელიც თავის მოქალაქესთან ურთიერთობას ახორციელებს ქართულ ენაზე.

ეს მიზანი საქართველოს სახელმწიფოსთვის შეუვალი (აბსოლუტური) მიზანია და მის საწინააღმდეგოდ ან მის საზარალოდ მიმართული არცერთი საკანონმდებლო აქტი, აღმასრულებელი ხელისუფლების არცერთი ნაბიჯი და კერძო პირის არცერთი ქმედება არ დაიშვება. თქმული შეიტანება საქართველოს კონსტიტუციაში შესაბამისი ჩანაწერის სახით, როგორც ნორმა.

ზემოთ მოცემული განსაზღვრა საქართველოს სახელმწიფოს ერთერთი მიზნისა (და არა ის, რომ პრინციპი საქართველოს მოქალაქეთა თანასწორობისა კანონის წინაშე დარღვეული იყოს ეროვნებით ქართველების სასარგებლოდ, რაც დაუშვებელია) შეადგენს ცნების „ეროვნული სახელმწიფო" შინაარსს.

სხვა სიტყვებით: საქართველოს დღევანდელ დღეს, ანუ დღევანდელ საქართველოს, ჩვენ განვიხილავთ არა მხოლოდ როგორც დღეს არსებული მსოფლიო სისტემის ერთერთ ელემენტს, არამედ აგრეთვე როგორც საქართველოს წარსული და მომავალი ისტორიის ერთერთ მომენტს. საქართველო, როგორც ქვეყანა და სახელმწიფო, თავის თავის, როგორც ქართული ქვეყნისა და სახელმწიფოს, დღევანდელ ინტერესებზე და, ამასთანავე, თავისი უსასრულო მომავლის ინტერესებზე ორიენტირებული და თავისი ძალისხმევის ამ ინტერესებზე მიმმართველი ქვეყანა და სახელმწიფოა.

აღნიშნულის სამართლებრივი შედეგი (ერთი მაგალითი):

ზემოთ ფორმულირებული პრინციპის საკანონმდებლო (კონსტიტუციური) ფიქსაცია განაპირობებს იმას, რომ საქართველოს, როგორც ქართული სახელმწიფოს, მარადიულყოფის ინტერესი იმპერატიულად გათვალისწინებული იქნება, მაგალითად, მიგრაციულ პოლიტიკაში. (ვთქვათ, იმიგრაცია შეწყდება, შეჩერდება ყოველთვის, შემდგომი მოტივაციის გარეშე, იმ შემთხვევაში, თუ მის შედეგად მოსალოდნელია საქართველოს მოსახლეობაში ქართული ენის მცოდნეების ანუ მოქალაქეების ქცევა უმცირესობად და შესაბამისად – ქართული ენის, როგორც თავის მოქალაქეებთან საქართველოს ხელისუფლების კომუნიკაციის ენის, უფუნქციოდ დარჩენა).

შენიშვნა 1: ქართველი ერის გარდა საქართველოშია აფხაზი ერის სამშობლოც, ანუ დედამიწის ის ერთადერთი ნაწილი, რომელზედაც ამ ერს შეუძლია თავისი მარადიული და ყოველმხრივი თვითრეალიზაცია, საკუთარი გენეტიკური, ტრადიციული და მენტალური მოთხოვნილებებისა და გემოვნების შესაბამისი საზოგადოების და ცხოვრების წესის შექმნის ჩათვლით. მეცნიერებისათვის ცალსახად ცნობილია, რომ ამ ერის, მოდგმით ადიღეურის (ჩერქეზულის) წინაპრები საქართველოს „აფხაზეთად" წოდებულ ნაწილში იმიგრირებულნი არიან კავკასიონის ჩრდილოეთი მხრიდან, ადიღეური მოდგმის ხალხთა გავრცელების არეალიდან, ძირითადად, XVII საუკუნეში, რის შედეგადაც მათ ქართულად, აქედან – სხვა ენებზეც ეწოდათ „აფხაზი". ამ შემოსახლების უშუალო წინახანებში ეს ტერმინი აღნიშნავდა ან დასავლეთ ქართველს ან ქართველს საერთოდ. თვითონ დღევანდელი აფხაზები თავის თავს „აფსუას" უწოდებენ. მაგრამ იმიგრაციის შემდეგ ამ მოსახლეობას გამოუმუშავდა საკუთარი ეროვნული თვითცნობიერება (ნაცვლად ზოგად-ადიღეურისა), რის გამოც მას ტერიტორიული ეროვნული თვითრეალიზაციის ასპარეზად საქართველოს გარეთ მდებარე არცერთი ტერიტორიის მიჩნევა აღარ შეუძლიათ. თქმულიდან გამომდინარე, აფხაზ („აფსუა") ერს საქართველოში თავისი ტერიტორიული თვითრეალიზაციის უფლება აქვს. ამ უფლების განხორციელება მისი ამ უფლების იმ ელემენტის მოცვით, რომ შექმნას საკუთარი ტრადიციითა და გემოვნებით აგებული საზოგადოება (იხ. აქვე, ზემოთ) შეიძლება განხორციელდეს ან იმ ფორმით,. რომ იგი (ასეთი ტერიტორიულად განსაზღვრული აფხაზური საზოგადოება) შეიქმნება აფხაზთა კომპაქტური დასახლების სივრცეში (გუდაუთისა და ოჩამჩირის რაიონებში), ან იმ ფორმით, რომ აფხაზებისთვის მოსაწონი სასურველი ნიშნები საზოგადოებისა და ცხოვრების წესისა წარმოდგენილი იქნება მთლიანად აფხაზეთში, მაგრამ იმგვარი პროპორციით, როგორითაც ეს მისაღები იქნება აფხაზეთის დანარჩენი, ქართველი მოსახლეობისათვის. შესაძლებელია, ამ ორი ფორმის შეთავსებაც.

შენიშვნა 2. აფსუა ტომების, ანუ მომავალი აფხაზი ერის წინაპრების იმიგრაცია საქართველოში ნაწილობრივ მშვიდობიანი იყო, ნაწილობრივ არამშვიდობიანი. მაგრამ ეს უკანასკნელი შემთხვევა, როცა ხდებოდა იმიგრანტთა მიერ ადგილობრივთა დემოგრაფიული და ეთნიკური დამარცხება ისეთ პირობებში, როცა ციხეებში თურქული გარნიზონები იდგნენ,. არ იძლევა საფუძველს იმისთვის, რომ აფხაზეთის ტერიტორია იმიგრანტთა მიერ დაპყრობილად და, მაშასადამე, ამ ფაქტის შემდეგ მათ საკუთრებაში გადასულად იქნას აღიარებული: იმიგრანტთა გამარჯვებები არასოდეს არ მიყვანილა იმ ნიშნულამდე, რომ ხსენებული ტერიტორია საქართველოს მოსწყვეტოდა იურიდიულად: აფხაზეთი მას შემდეგ არსებობდა, როგორც სამთავრო ან ოდიშის მთავარისადმი (დადიანისადმი) ვასალურ დამოკიდებულებაში, რომელიც თვითოდ დასავლეთ საქართველოს მეფის ვასალი იყო, ან უშუალოდ დასავლეთ საქართველოს მეფის ვასალობაში. თარიღი, როცა აფხაზეთის დღევანდელი ტერიტორია საქართველოს შემადგენლობაში შესულიყოს ან მისგან გასვლის შემდეგ დაბრუნებულიყოს, ისტორიაში არ არსებობს (რაც, სხვათა შორის, იმის ერთერთი ილუსტრაციაა, რომ ქართიულ-აფხაზურ ურთიერთმიმართებასა და რუსულ-ჩეჩნურ ურთიერთმიმართებას შორის არანაირი ანალოგია არ არსებობს: ისტორიაში არ არის თარიღი ჩეჩნების დასახლებისა დღევანდელ ადგილზე, მაგრამ არის თარიღი (XVIII-XIX სს) ამ ტერიტორიის (იძულებითი) შესვლისა რუსეთის შემადგენლობაში).

2. საქართველოს სამართლიანი, რეალისტური და, ამდენად, სტაბილური სახელმწიფოებრივი მოწყობის კონსტიტუციური დაფორმულება გვერდს ვერ აუხვევს საქართველოს არაქართველი მოქალაქის იურიდიული, მაგრამ მასთან ერთად აგრეთვე იდეოლოგიური, ანუ მორალური და მეტაიურიდიული სინამდვილით განპირობებული სტატუსის თემას. პრობლემის ფრანგული გადაჭრა, სადაც ყველა მოქალაქე „ფრანგია", საქართველოსთვის მიუღებელია მისი ზედაპირულობის და, მაშასადამე, არასანდოობისა და არასტაბილურობის გამო. საბჭოთა სისტემა მცოცავი რუსიფიკაციისა მიუღებელია მისი შოვინიზმის გამო, სააკაშვილისეული სისტემა ეროვნების, როგორც მოქალაქისა და პიროვნების ნიველირებისა, ამ უარსებითესი პარამეტრის, ჭკუამსუბუქი უგულებელყოფისა, არარეალისტურობის და ანტიქართულობის გამო. საქართველოსთვის მისაღებია მხოლოდ პრინციპი „ინტეგრაცია ასიმილაციის გარეშე", რაც გულისხმობს, სხვა ასპექტთა შორის, იმასაც, რომ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს უფლება დოკუმენტებში თავისი ეროვნული რეკვიზიტების აღნიშვნისა. სახელმწიფომ უნდა იცოდეს ასეთ აღნიშვნათა სტატისტიკაც და მისთვის საინტერესო მოქალაქის ეს მენტალურ-მსოფლმხედველობრივი მახასიათებელიც. თუ დიასპორული ეროვნების მოქალაქეთა თვითიდენტიფიკაციების სტატისტიკა მაღალია, მაშინ სახელმწიფო ითვალისწინებს ამ მონაცემს ამ ეროვნების სახელმწიფოსთან თავისი ურთიერთობის პროცესში (მაგ. თუ ბევრი ფრანგი ჰყავს, ცდილობს საფრანგეთს არ ეომოს, რათა თავისი მოქალაქე მის თანამოეროვნესთან არ აომოს). ეს ცოდნა სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს თავისი შინაგანი ორგანიზების პროცესშიც (მაგ. საფრანგეთთან ომი თუ აქვს, მაშინ ფრანგს, რომელიც თავს ამგვარად აიდენტიფიცირებს, იგი სარდლად არ დანიშნავს).

საჭიროა იმის ფიქსაცია, რომ

– მოქალაქეს, რომელიც ქართველი არ არის, სახელმწიფო ვერ დაავალდებულებს, რომ იბრძოლოს სახელმწიფოს ინტერესებისათვის ისეთ პირობებში, როცა მოქმედი კანონი (ვთქვათ, ოკუპანტის კანონი) მისგან ამას არ ითხოვს და მას ამას უშლის.

– მოქალაქეთა მიერ თავისი ეროვნების ფიქსაციის და არაფიქსაციის ხსენებული ფაქტის გათვალისწინებით სახელმწიფოს აქვს საშუალება პროგნოზირებისა, ექსტრემალურ პირობებში როგორი იქნება და რა ალბათობით მოსახლეობის ამა და ამ ეთნიკური და გეოგრაფიული კატეგორიების ქცევა, რათა სახელმწიფომ ზურგში დანა არ მიიღოს.

იმისათვის, რომ საქართველოს არაქართველი მოქალაქის ადგილი სახელმწიფოში იყოს გამჭვირვალე, მკაფიოდ განსაზღვრული, რეალისტურად განსაზღვრული, ადამიანის პირად ღირსებასთან, როგორც მოქალაქისა, თავსებადი, ფორმალიზებული უნდა იყოს, ანუ კონსტიტუციურად განსაზღვრული უნდა იყოს პიროვნების, როგორც საქართველოს მოქალაქის, უფლებრივი და მოვალეობრივი მიმართება საქართველოს სახელმწიფოსთან, რომელიც (ეს მიმართება) ერთი და იგივეა განურჩევლად მოქალაქის ეროვნებისა, ანუ იმისა, ქართველია იგი თავისი ეროვნული ცნობიერებით თუ არა. ერთსა და იმავე კაცს საქართველოს წინაშე მოვალეობები აქვს როგორც ეროვნებით ქართველს და როგორც საქართველოს მოქალაქეს. მოქალაქის უფლებრივი მიმართება სახელმწიფოსთან, პრინციპში, ხელშეკრულებითია.

ამ განსაზღვრების ზოგადი აზრისა და სულისკვეთების საილუსტრაციოდ მკითხველს ვთავაზობთ, როგორც შესაძლო საკონსტიტუციო ნორმას, ასეთ ტექსტს:

„საქართველოს სახელმწიფო, როგორც საქართველოს მოსახლეობის მართვისა და ძალისხმევის ორგანიზების ისტორიულად ჩამოყალიბებული ინსტიტუტი თავისი განვითარების დღევანდელ ეტაპზე, არის საქართველოს მოქალაქეთა ერთობლივი ნებითა და დემოკრატიული წესით განსაზღვრული მმართველი სტრუქტურა, რომელიც ახორციელებს

– ყოველი მათგანისათვის მის ინტერესთა კანონით დადგენილი მინიმუმის დაცვასა და შეძლებისდაგვარად გაფართოებას

– მათი ერთობლივი ინტერესების დაცვასა და შეძლებისდაგვარად გაფართოებას

– მათ შორის უფლებათა და მოვალეობათა პრინციპულად თანასწორ განაწილებას (და საამისოდ ობიექტური პირობების შექმნას)

– სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობაში საქართველოს, როგორც ქვეყნისა და სახელმწიფოს, აქტუალურ (მიმდინარე) ინტერესთა დაცვას და შეძლებისდაგვარად გაფართოებას

– საქართველოს, როგორც ქვეყნისა და სახელმწიფოს, სამომავლო ინტერესების დაცვასა და შეძლებისდაგვარად გაფართოებას – მათი შთამომავლობისთვის საქართველოს ტერიტორიის დაუზარალებლად შენარჩუნების ჩათვლით, როგორც თავის სარჩენი მატერიალური ბაზისა და სრული მოქალაქეობრივი თვითრეალიზაციის ასპარეზისა.

საქართველოს მოქალაქედ ფიზიკური პირის ყოფნა მდგომარეობს ამ პირის მიერ საქართველოს მოქალაქისთვის კანონით დადგენილი უფლებებით სარგებლობაში და კანონით დადგენილი მოვალეობების შესრულებაში. საქართველოს მოქალაქის უფლებები წარმოადგენენ საქართველოს სახელმწიფოს მოვალეობებს მოქალაქის წინაშე.

ყოველი მოქალაქე თავისუფალია იმის არჩევაში, იტვირთოს თუ არა ეს მოვალეობები და სამაგიეროდ მიიღოს თუ არა ეს უფლებები, ანუ იმის არჩევაში, იყოს თუ არა საქართველოს მოქალაქე.

საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს ერთი და იგივე უფლებები და ერთი და იგივე მოვალეობები (ანუ საქართველოს ყველა მოქალაქე თანასწორია კანონის წინაშე).

საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს უარის თქმისა საქართველოს მოქალაქეობაზე მოტივაციის გარეშე. პირუკუ. საქართველოს სახელმწიფოს უფლება აქვს შეუწყვიტოს მოქალაქეს, შესაბამისი მოტივაციით, საქართველოს მოქალაქეობა კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს მოქალაქის მოვალეობები საქართველოს სახელმწიფოს მიმართ და პირუკუ, საქართველოს სახელმწიფოს მოვალეობები მოქალაქის მიმართ ძალაშია მანამდე, სანამ არ მომხდარა მოქალაქეობის შეწყვეტის იურიდიული აქტი.

საქართველოს მოქალაქის მოვალეობებია

– საქართველოს კანონის დაცვა

– საქართველოს სახელმწიფოს მიზანთა სამსახური (კონსტიტუციით გათვალისწინებულისა) .

– საქართველოს, როგორც ამჟამინდელისა და სახელმწიფოს, ინტერესთა დაცვა სხვა ქვეყნებთან და სახელმწიფოებთან მიმართებაში.

საქართველოს მოქალაქის ამ მოვალეობათა საფუძველია ის, რომ

– საქართველოს ყოველი მოქალაქე თანამოსარგებლეა იმ უპირატესობით, რომ მას, საქართველოს სახით, აქვს სახელმწიფო, რითაც მას თავისი ადგილი ეკუთვნის მსოფლიოს პოლიტიკურ სისტემაში და რითაც იგი (იდეალური) თანამონაწილეა ამ სისტემის ფუნქციობასა და მასში გადაწყვეტილებათა მიღებისა, აგრეთვე ყველა იმ უპირატესობით, რასაც ცივილიზაციის დღევანდელ ეტაპზე ადამიანს აძლევს ცხოვრების სახელმწიფოებრივი ფორმა.

– მას და მის შთამომავლებს სიცოცხლის სამარადისო მატერიალურ ბაზად აქვთ საქართველოს მიწაწყალი მისი რესურსებითურთ

საქართველოს მოქალაქის უფლებებია

– მისი სიცოცხლის, საკუთრების და ყველა სხვა ფუნდამენტური ინტერესის შეულახობა და დაცვა სახელმწიფოს მხრიდან, საქართველოს კანონის თანახმად და დღევანდელ ცივილიზებულ დემოკრატიულ ქვეყნებში არსებული ნორმების შესაბამისად

– საქართველოს სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობა საქართველოს კანონის და ამავე ნორმების შესაბამისად.

– მისი ეროვნული (ეთნიკური) ინტერესის, ანუ მისი ეროვნული (ეთნიკური) ჯგუფის (მათ შორის – მისი ერის) მარადიულყოფისა და თვითრეალიზაციის ინტერესის დაცვა საქართველოს სახელმწიფოს მიერ. საქართველოს მოქალაქის ამ უფლებათა საფუძველია:

– მისი ადამიანური ბუნება, როგორც გონიერი და თავისუფალი არსებისა (ამ უკანასკნელიდან გამომდინარე მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებებითურთ)

– მის მიერ მოვალეობათა ქონა საქართველოს სახელმწიფოს წინაშე".

4. მიგვაჩნია, რომ გარდა ზემოთ შემოთავაზებული პუნქტისა („საქართველოს მარადიულყოფა, როგორც....), საქართველოს კონსტიტუციაში სახელმწიფოს მიზანთა ჩამონათვალს უნდა დაემატოს ისიც, რომ საქართველო ისწრაფვის მსოფლიო საზოგადოებრიობის შიგნით სამართლიანი ჰარმონიისა და სტაბილურობისათვის ზრუნვის ამოცანებიდან გამომდინარე მიზნების განხორციელებისკენ და იმისკენ, რომ შეიმუშავოს, განახორციელოს თავის შიგნით და მსოფლიოს შესთავაზოს იდეალური და რეალისტური, ანუ რეალურად მუშაობისუნარიანი, მოდელი ყველა ერის, მათ შორის სახელმწიფოს არმქონე ერების, ეროვნული უფლების მინიმუმისა, რომელიც მოიცავს, სხვა ელემენტებთან ერთად, ტერიტორიულ ავტონომიასაც თავის ეთნიკურ სამშობლოში და ამ ტერიტორიაზე საკუთარი გემოვნებით მოწყობილი საზოგადოების შექმნისა და განვითარების გარანტირებულ უფლებასაც.

5. მიგვაჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუცია ვერ გაექცევა ცნება „სამშობლოს" ორი პრინციპულად სხვადასხვა შინაარსის დეფინირების ამოცანას, რაც ერთადერთი მეცნიერული მიდგომაა. ერთი დეფინიციაა „დაბადების, ცხოვრების და მოქალაქეობის ქვეყანა", მეორეა „თავისი ერის მარადიულყოფისა და სრული თვითრეალიზაციის ქვეყანა".

ნ. ნათაძე
პ.კოლუაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბაზრო ეკონომიკის ანტისაკაცობრიო მნიშვნელობა

თეოდორ რუზველტმა ისტორიული როლი შეასრულა აშშ საერთაშორისო ურთიერთობების კონცეფციის შემუშავებაში და განხორციელებაში. არცერთ სხვა პრეზიდენტს ისე სრულყოფილად არ ჩამოუყალიბებია ამერიკის მსოფლიო მისია ეროვნულ ინტერესთა გათვალისწინებით, როგორც თ. რუზველტს.

კეთილმოსურნეებმაც კი კისინჯერის სავარეო პოლიტიკას უწოდეს დიპლომატიისა და ძალისმიერი იძულების ნაზავი, სწორედ ამან გამოიწვია მისი სავარეო პოლიტიკის მიმართ უნდობლობა და ძლიერი ოპოზიცია ამერიკის კონგრესსა და სტუდენტურ ახალგაზრდობაში.

პრუსიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე (1862-1890), რაიხსკანცლერი XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რეალური პოლიტიკის გამტარებელი, ზეგარდმო ნიჭით დაჯილდოებული პოლიტიკოსი, ანალიტიკურად მოაზროვნე, უნიჭიერესი დიპლომატი ევროპის კონტინენტზე, შესაძლებლობების წვდომის ხელოვანი, ბისმარკი იყო ის, ვინც გაერთიანა გერმანია.

„არის თუ არა ძალაუფლება პოლიტიკის წარმართვის უზენაესი კრიტერიუმი? ჰენრი კისინჯერმა ბისმარკი სულიერ ნათესავად მიიჩნია. მსოფლიოს იგი არ განიხილავდა კანონზომიერებათა სისტემაში. თვლიდა მას მარად ცვალებად და მარადიული ბრძოლის ფენომენად. მისთვის მთავარი იყო ძალთა თანაფარდობა და წარმატებები.

პირველმა მსოფლიო ომმა ახალი წესრიგის დამყარება გამოიწვია. წარმოიშვა სამეცნიერო ცენტრები, ინსტიტუტები, სკოლები, რამაც ხელი შეუწყო მთავრობებსა, ხალხებსა და საზოგადოებათა შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას. XIX-XX საუკუნეებში პოლიტიკურმა მეცნიერებამ დაიწყო საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევა, რასაც ადასტურებს შვეიცარიელი პოლიტოლოგის ალოის რიკლინის შესანიშნავი ისტორიულ-ფილოსოფიური ანალიზი, რომელიც იძლევა დასავლური ცივილიზაციის გარიჟრაჟზე ანტიკურ საბერძნეთში ძალაუფლების რეგულირების ანალიზს.

ძალაუფ;ლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ევროპაში ექვსი არსებითი ხერხი იქნა აღნიშნული, რაც დღეს არსებითი კომპონენტია სამართლებრივი „დემოკრატიული სახელმწიფოსი“.

პირველი: – ხელისუფლების მოთოკვა კონსტიტუციითა და კანონებით: ხელისუფლების მიერ მართვა ხორციელდება ისე, რომ თვით ხელისუფალნი არიან კანონებისგან მართულნი. ჯერ კიდევ პლატონის ფილოსოფიურ ნააზრევშია მითითებულია კანონთა ბატონობის უპირატესობა დიქტატურასთან შედარებით. პლატონის აზრით, უნდა ბატონობდნენ კანონები და არა ადამიანები (პირველი კონსტიტუცია დაიწერა 1654 წელს კრომველის მიერ).

უნდა იცრუოს თუ არა პოლიტიკოსმა? ადამიანთა თანაცხოვრების მითხოვნილებად აღიარებულია სიმართლე, რომელიც მოეთხოვება ყველას, განსაკუთრებით კი პოლიტიკოსს, რადგან იგი პასუხისმგებელია საზოგადოების კეთილდღეობაზე. ამიტომ მას ენიჭება პრივილეგია. კაცობრიობის მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას ზღუდედ დაედო ზნეობრივი იმპულსები.

საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის დროს წამოყენებულ იქნა მოთხოვნა: როდესაც აკეთებ ადამიანთა უფლებების დეკლარაციას, მას უნდა დაუკავშირო ადამიანთა ვალდებულებები. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა ადამიანი დარჩებოდა მხოლოდ უფლებათა ამარა და არავის ეცოდინება ვალდებულებები და უფლებები. მაგრამ ადამიანის უფლებებიდან გამომდინარე, რაოდენ დიდმნიშვნელოვანნიც არ უნდა იყვნენ ისინი, ვერ შეექმნიან კაცობრიობის ყოვლისმომცველ ზნეობას. ნებისმიერ კანონსა და კანონქვემდებარე აქტს ლოგიკურად წინ უსწრებს ცალკეული ადამიანების ზნეობრივი თვითმყობადობა და შეგნებული პიროვნული პასუხისმგებლობა.

სამართლისა და ზნეობის გამიჯვნას მძიმე შედეგები მოსდევს. თუ ისინი მკვეთრად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, მაშინ სამართალს ძალა ეკარგება. ასევეა პოლიტიკაშიც. მაგრამ რის მაჭისია ამდენი კანონი, თუ მას არ ამაგრებს ზნეობრივი მრწამსი და სინდისი? რის მაჭისია საზავო ხელშეკრულება, თუ იგი დარჩება ქაღალდზე? უკეთესი მსოფლიო წესრიგი ვერ დამყარდება და ვერც ძალით განხორციელდება კანონებით, კონვენციებით და განკარგულებებით. სამართალი თვინიერ ზნეობისა, დიდხანს ვერ იბოგინებს, ამიტომ ვერ დამყარდება ახალი მსოფლიო წესრიგი მსოფლიო ზნეობის გარეშე.

ამრიგად, „მსოფლიო ზნეობა“ არ წარმოადგენს „მსოფლიო ეთიკას“, ფილოსოფიურსა და თეოლოგიურ მიძღვრებას ზნეკეთილი ქცევისა, ღირებულებებისა და ნორმების შესახებ. იგი გულისხმობს ადამიანის მართებული ყოფაქცევის ძირითად ნორმებს ინდივიდუალური და კოლექტიური აზრით.

მსოფლიო ზნეობის დაკონკრეტებამ უნდა შექმნას ეთიკური საძირკველი გაეროს ადამიანური უფლებების დეკლარაციისათვის, რომელსაც ხშირად უგულებელყოფენ, არღვევენ და გვერდს უვლიან. ზნეობა მეტია, ვიდრე სამართალი, ხოლო ეთიკური ვალდებულებანი აღემატებიან სამართლებრივ ვალდებულებებს. მსოფლიო ზნეობის დაკონკრეტება შესაძლოა მოახდინონ არა მარტო იმ ადამიანებმა, ვინც დარწმუნებულია, რომ ჩვენი ემპირიული სამყარო არ წარმოადგენს უკანასკნელს, უმაღლესსა და „ბოლოტუტურ“ სულიერ სინამდვილესა და ჭეშმარიტებას.

როგორ აღვიქვათ მსოფლიო ზნეობა და მისი კრიტერიუმები?

ისტორიაში პირველად 1993 წელს 23 აგვისტოდან 4 სექტემბრამდე ჩიკაგოში ყველა რელიგიის 6500 წარმომადგენლის მონაწილეობით მსოფლიო პარლამენტის საბჭომ შეიმუშავა დეკლარაცია მსოფლიო ზნეობის შესახებ; აღნიშნული დეკლარაციის ავტორმა გააშუქა ამ დეკლარაციის წარმოშობის მთელი ისტორია და რელიგიათა შორის საერთაშორისო კონსულტაციების პროცესში ამცნო იგი საზოგადოებას. დეკლარაციამ პარლამენტში მწვავე კამათი გამოიწვია. მაგრამ როდესაც ამდენი რელიგიაა ჩართული კონფლიქტებსა და საომარ მოქმედებებში, სხვადასხვა დიდი და მცირე რელიგიის წარმომადგენლებმა დედამიწის ზურგზე მცხოვრები უთვალავი მორწმუნის სახელზე მიიღეს და ხელი მოაწერეს ამ დეკლარაციას, რომელიც გადაიქცა ფართო და ხანგრძლივი კამათისა და შეთანხმების საფუძვლად. მას მოჰყვა შეთანხმება, ხოლო 1996 წლის 22 მაისს სახელმწიფოთა და მთავრობათა ყოფილი მეთაურების საბჭომ ვანკუვერში მიიღო იგი.

ზნეობას დიდი უპირატესობა აქვს კანონებთან მიმართებაში, ამიტომ ჩვენი პოლიტიკური ელიტა უნდა ხელმძღვანელობდეს და სულდგმულობდეს ზნეობის პრინციპებით. 1993 წელს ჩიკაგოს პარლამენტმა მიიღო დეკლარაცია მსოფლიო ზნეობის შესახებ. დეკლარაციაში გამოკვეთილია ოერიდიული და ზნეობრივი დონეები.

ჩიკაგოს დეკლარაციაში დაცულია ადამიანის უფლებები, რადგან ძალიან ხშირად მთელ მსოფლიოში ადამიანებს ექცევიან არაადამიანურად, ძალიან ხშირად ართმევენ მათ სიცოცხლისა და თავისუფლების უფლებას. დედამიწის ყველა რეგიონში მცხოვრები უთვალავი ადამიანი ცხოვრობს იმისთვის, რომ თქვას და ქნას მართალი, მაგრამ მთელ მსოფლიოში ვხვდებით სიცრუეს, მოტყუებას, ფარისევლობას, სიყალბეს.

დღეს მოქმედი სისტემისათვის დამახასიათებელია სიცრუე, სიყალბე, მოტყუება, – პოლიტიკოსები და ბიზნესმენები, რომელთათვის ტყუილი წარმოადგენს პოლიტიკის წარმართვის და ადამიანთა მოტყუებისა და გამდიდრების საშუალებას. მათ ეხმარება მასმედია, რომელიც ავრცელებს ინფორმაციას და ხელს უწყობს ექსპლოატატორთა გამდიდრებას... ამასთან, ყველას კარგად ახსოვს სიბრძნე: „არა კაც კლა, არა იცრუო, არა იმრუშო, უფალსა, ღმერთსა შენს, თაყვანის ეც“..

ცდა ახალი პოლიტიკის შერქმისა; ვილსონი

1917-18 წლებში გაჩნდა და დღის წესრიგში დადგა მოთხოვნა ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარებისა, რომელიც აშშ პრეზიდენტს ვუდრო ვილსონს ეკუთვნოდა.

ვუდრო ვილსონი (1856-1924) 1885 წლიდან პინკერტონის უნივერსიტეტში ასწავლიდა სამართალმცოდნეობასა და პოლიტოლოგიას, იყო ამ უნივერსიტეტის რექტორი 1902-10 წლებში. 1912 წელს მან, პინოგინესური მოძრაობის წარმომადგენელმა, დემოკრატიული პარტიის წევრმა, არჩევნებში დაამარცხა პ. ტაფტი და თეოდორ რუზველტი და აშშ-ს პრეზიდენტი გახდა. 1918 წლის იანვარში პრეზიდენტმა ვილსონმა საჯაროდ გამოაცხადა ამერიკის სამშვიდობო პროგრამა.

ვილსონის სურვილი იყო ახალი სამშვიდობო წესრიგის დამყარება. მისი ლოზუნგი და იდეალი იყო „თავისუფლება ყველა ხალხს“, „სამართლიანობა მტერსა და მოყვარეს“, „მშვიდობის უზრუნველყოფა ხალხთა გაერთიანების გზით“. იგი მოითხოვდა „საჭიროა შეიქმნას ერთა საყოველთაო გაერთიანება საგანგებო შეთანხმებათა საფუძველზე, რომლითაც უნდა უზრუნველყონ უშიშროება, პოლიტიკური დამოუკიდებლობა და ტერიტორიული ხელშეუხებლობა როგორც მცირე, ისე დიდი ერებისათვის“.

„გამოდგება თუ არა ზნეობა არჩევნებში გასამარჯვებლად?“ მაღალი ზნეობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას არჩევნებში გამარჯვებისათვის. მაღალი ზნეობა არც გარანტიას იძლევა გამარჯვებისათვის, არც ზნეობის დეფიციტია დაბრკოლება გასამარჯვებლად.

„ზნეობა უნდა გახდეს მსოფლიო საზოგადოების ზაფუძველი“.

„არ დამყარდება მშვიდობა რელიგიათა შორის თვინიერ დიალოგისა რელიგიათა შორის“.

მაქს ჰუბერმა (1874-1960) თავის დროზე მიუთითა სამართლისა და ზნეობის გამიჯვნის მნიშვნელობაზე საერთაშორისო სამართლის დონეზე. ჰუბერი იყო საერთაშორისო სამართლის გამოჩენილი შვეიცარიელი სპეციალისტი, ჰაგის საერთაშორისო სასამართლოს თავმჯდომარე (1925-1928) და საერთაშორისო წითელი ჯვრის თავმჯდომარე. მან შეიმუშავა ცნება „საერთაშორისო ზნეობისა“, რაც, მისი აზრით, ტრანსცენდენტურად დგას სამართლის მიღმა და სამართლის ზემოთ და ამის გამო არ შეიძლება იყოს ამ სამართალზე დაფუძნებული. საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლური პრინციპია: „ვერც სამართალი და ვერც ადათი ვერ იარსებებს, თუ მას გვერდში არ ამოუდგა ავტორიტეტი, ზნეობის განსხვავებული და უფრო მაღალი სფეროდან რომ არის მოვლენილი. – ზნეობისა, რისი წყალობითაც უბრალო ადათი მართებული ყოფაქცევის რანგში ამაღლდება“. ხოლო საერთაშორისო სამართალთან მიმართებაში, რომელიც პოლიტიკას ანიჭებს მოქმედების დიდ დიაპაზონს, „ზნეობის ამოცანაა განსაზღვროს პოლიტიკური ქმედების მასშტაბი და მიანიშნოს მისი აქტივობის ფარგლები“.

სამართალს სჭირდება ზნეობრივი საფუძველი მსოფლიო წესრიგისათვის, რაც ნიშნავს:

- უკეთესი მსოფლიო წესრიგი ვერ დამყარდება ვერც ძალით, ვერც კანონებით განხორციელდება და ვერც კონვენციებით და განკარგულებებით;
- ადამიანთა უფლებათა განხორციელება გულისხმობს პასუხისმგებლობისა და ვალდებულებათა შეგნებას, ადამიანის თავსაც და გულსაც;
- სამართალი თვინიერ ზნეობისა დიდხანს ვერ იბოგინებს და ამიტომ ვერ დამყარდება ახალი წესრიგი მსოფლიო წესრიგის გარეშე. მსოფლიო ზნეობა არ ნიშნავს მსოფლიო იდეოლოგიას;

„ბაზარი, როგორც მართვის ინსტრუმენტი შეიძლება გაკოტრდეს, ამიტომ საჭიროა განხორციელდეს პოლიტიკა წესრიგის დასამყარებლად“.

ძალადობისაგან თავისუფალი კულტურის, სოლიდარობის, ტოლერანტობისა და თანასწორობისათვის მართებული იქნება, რომ ეკონომიკის დარგში დასაქმებულმა ქალბატონებმა და მამაკაცებმა იკისრონ სოლიდარობა სამართლიანი ეკონომიკური წესრიგის დამყარების საქმეში. საამისოდ ბრალი მიუძღვით უსამართლო საზოგადოებრივ სტრუქტურებს. უმუშევარ მილიონობით ადამიანს ექსპლოატაციას უწევენ და მცირე გასამჯელოს უხდიან, საზოგადოებიდან აძევებენ და არომევენ სასიცოცხლო შანსებს. მრავალ ქვეყანაში უსაშველოდ დიდია განსხვავება ღარიბთა და მდიდართა, ძლიერთა და უმწეოთა შორის იმ ქვეყნებში, სადაც აულაგმავმა კაპიტალიზმმა და ტოტალიტარულმა სახელმწიფო სოციალიზმმა გააკამტვერა ეთნიკური და სულიერი ღირებულებანი, იქ დავანა მიმზეველობამ, მატერიალისტურმა აზროვნებამ, მოქალაქე მეტს მოითხოვს სახელმწიფოსაგან და თვითონ არაფერს კისრულობს სამაგიეროდ. განვითარებად ქვეყნებში და ინდუსტრიულ სახელმწიფოებში კორუფცია უკურნებელ სენად გადაიქცა საზოგადოებისათვის.

მაგრამ კაცობრიობის დიადი რელიგიური და ეთიკური ტრადიციები მიგვითითებენ: არა იპარო! ანუ პოზიტიურად მოიქეცი, რიგიან-წესიერად! კვლავ ჩავუფიქრდეთ ამ ძველთაძველ სენტენციას: არც ერთ ადამიანს არ გააჩნია უფლება, მოპაროს რამე სხვა ადამიანს, ანდა ხელყოს მისი საკუთრება და, პირიქით, არც ერთ ადამიანს არ გააჩნია უფლება, დახარჯოს თავისი ქონება საზოგადოების ინტერესთა და ეკონომიკური მოთხოვნების დარღვევით.

სადაც ბატონობს სილატაკე, იქ ჩნდება უმწეობა და სასოწარკვეთილება და იქ სიცოცხლის გადარჩენის მიზნით ხდება ქურდობა. საცა ძალუფლებას და სიმდიდრეს უცერემონიოდ იგდებენ ხელთ და განკარგავენ, იქ ღვიძდება ჩაგრულთა და მარგინალიზებულთა შური, უნდობლობა, მომაკვდინებელი ზიზღი და ჯანყი. ეს კი, თავის მხრივ, წარმოშობს ძალადობისა და წინააღმდეგობის დახშულ წრეს. ნურავის გონია! – არ დაივანებს მსოფლიოში მშვიდობა თვინიერ მსოფლიო სამართლიანობისა.

ამიტომ ახალგაზრდა ადამიანებმა ოჯახში და სკოლაში უნდა ისწავლონ, რომ საკუთრება, რაგინდ მცირე არ უნდა იყოს იგი, გვაკისრებს ვალდებულებას. მისი მოხმარება იმავდროულად უნდა შეესაბამებოდეს საზოგადო კეთილდღეობას. მხოლოდ ასე შეიძლება შეიქმნას სამართლიანი მსოფლიო წესრიგი.

ჯონ პერკინსი „ეკონომიკურ მკვლელში“ დაწვრილებით მოგვითხრობს, რამდენად სასტიკია ამერიკული გლობალური იმპერია, რომელიც გასცემს იმდენად დიდ სესხებს, რომ მოვალე რამდენიმე წლის შემდეგ ვეღარ იხდის მას. 2003 წლის 7 მაისს ადგილობრივმა ინდიელებმა 1 მლრდ დოლარზე სარჩელიც კი შეიტანეს ნავთობკომპანია „შევრონ ტექსაკოს“ წინააღმდეგ, მაგრამ უშედეგოდ.

ეკონომიკური მკვლელობის გამო ეკვადორი გაცილებით ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა, სანამ მას თანამედროვე ეკონომიკის სასწაულებს, საბანკო საქმეს და ტექნიკას გაცნობდნენ. 1970 წლიდან, ე.ი. „ნავთობის ბუმიდან“ სილატაკის ოფიციალური დონე გაიზარდა 50%-დან 70%-მდე. სახელმწიფო ვალი – 200 მლნ დოლარიდან 16 მლრდ დოლარამდე. მოსახლეობის უღარიბესი ფენებისათვის შემოსავალი შემცირდა 20-დან 6%-მდე.

და ბოლოს, თბილისის ქუჩებში ბევრგან დაინახავთ პლაკატს: „თამაშდება ხუთი ბინა“. რა არის ეს? ცინიზმი და მასხარად აღება?!

საქართველოს ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი

თენგიზ ჩხეიძე

პროფესორი

ზურაბ აბაშიძე

რედაქციისაგან: მკითხველს შევახსენებთ, რომ თავისუფალი ეკონომიკა არ ნიშნავს უმართავ ეკონომიკას, ხოლო გლობალიზაცია არის ბუნებრივი პროცესი, გამოწვეული ტრანსპორტისა და კომუნიკაციების განვითარებით. ხელისუფლების ვარგისიანობა გლობალიზაციის პირობებში მდგომარეობს იმაში, რომ თავისი სახელმწიფო ჩააყენოს მოგებული ქვეყნების (winner states) და არა წაგებული ქვეყნების (loser states) რიცხვში.

ვფიქრობთ, ასეთია

რომ არ არსებულიყო საქართველოში მეაბრეშუმეობა არასოდეს, ასეთი უნიკალური ბუნებისა და მრავალფეროვანი მცენარეული საფარის მქონე მიწათმოქმედ ქვეყანაში, მით უმეტეს, დღეს, საქართველოში გამეფებული საყოველთაო უმუშევრობისა, ეკონომიკური კრიზისისა და დემოგრაფიული კატასტროფის პირობებში, ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალულ გონივრულ ხელსიუფლებას მეაბრეშუმეობა უნდა შეექმნა, რადგან საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების ხელშეწყობა ხომ:

•სოფლად ფუძეზე მყარად დამკვიდრებული გლეხია;

•ეკონომიკურად გაძლიერებული ქართული ტრადიციული ოჯახია;

•ქალაქად ამოქმედებული საწარმოები და მოსახლეობისათვის (სოფლად თუ ქალაქად) ათეული ათასობით ღირსეული სამუშაო ადგილია;

•ეკოლოგიურად სუფთა ძვირადღირებული ნატურალური (ბუნებრივი) ქსოვილია, როგორც ფართო მოხმარებისათვის ასევე, სამედიცინო, საავიაციო მრეწველობისა და სხვა საჭიროებისათვის.

•ქართული აბრეშუმი და მისი წარმოების გონივრული განვითარება ეს ხომ ასეული მილიონობით მოგებაა ჩვენი ქვეყნისათვის და ასეც რომ არ იყოს, ეს ხომ

•საქართველოს უნიკალური ბუნების და მწვანე საფარის შენარჩუნების; მეწყერული მოვლენების შეჩერების და ეკოლოგიური მიგრაციის აღმოფხვრის; ბუნებრივი წყლის მარაგების ულევად შენარჩუნების გარანტიაა, რაც ასე მნიშვნელოვანია არა მარტო საქართველოს კეთილდღეობისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის, მითუმეტეს დღეს, გლობალური დათბობის ეპოქაში.

მაგრამ, სამწუხაროდ, პროცესი, რომელიც უკვე რამდენიმე ათეული წელია საქართველოში მეაბრეშუმეობის დარგის ირგვლივ ხდება, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, სამუშაო ადგილების შექმნას, სოფლების დაცვასა და გაძლიერებას კი არა, პირიქით, საქართველოს მოსახლეობის ფართო მასების პროლეტარულ მდგომარეობაში ჩაყენებას და მათ დამონებას უფრო ემსახურება. ეს მიმართულია არა მარტო მეაბრეშუმეობის დარგის განადგურებისკენ, არამედ, ერთის მხრივ, დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს ეკონომიკური ნგრევისაკენ და მეორეს მხრივ მისი, როგორც პოლიტიკური ორგანიზმის დისკრედიტაციისაკენ. რაც შეეხება მეაბრეშუმეობას იგი სრული გაჭრობის საფრთხის წინაშე დგას.

ქართული სახელმწიფოს წინაშე მდგარი ამ და სხვა მრავალი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით ქვეყნისა და ერის ინტერესებიდან გამომდინარე ვალდებული ვართ (განმეორებით), ამჯერად ღია წერილით მოგმართოთ საქართველოს პრეზიდენტო:

15.09.2009

საქართველოს პრეზიდენტს
ბატონ მიხეილ სააკაშვილს

ბატონო პრეზიდენტო,

მეაბრეშუმეობა საქართველოში უხსოვარი დროიდან წარმოადგენდა ეკონომიკურად ქვეყნის ეროვნულ-სტრატეგიული მნიშვნელობის დარგს და ეროვნული სიმდიდრის წყაროს, რომელიც ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში იყო კარგად ორგანიზებული შინამრეწველობისა და, საერთოდ, საოჯახო საქმიანობის საფუძველი. მოსახლეობა სრულად იკმაყოფილებდა საშინაო მოთხოვნებს და ქართული აბრეშუმი სხვა ქვეყნებში გასაყიდადაც გაჰქონდათ. იყო პერიოდებიც, როცა დამპყრობლები მხოლოდ ნატურალური აბრეშუმით მოითხოვდნენ ქვეყნისაგან ხარკის გადახდას.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, არამეგობრული ძალების გავლენით, ქვეყნის ამ ეროვნულ-სტრატეგიულ დარგს — მეაბრეშუმეობას, და მასთან ერთად, დარგის განვითარებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე „კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურს“ დარგობრივ შენობასთან ერთად დღეს გაქრობის საფრთხე ემუქრება, რაც ქვეყანას, მეაბრეშუმეობას, სპეციალისტების მომზადებას აუნაზღაურებელ და გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს. აღსანიშნავია, რომ „კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგური“ (მდებარე ცაბაძის ქ. №6-ში), რომელიც 1887 წლიდან მოქმედებდა, როგორც დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება საკუთარი სამეცნიერო ბიბლიოთეკით და მუზეუმით, განთავსებული მისთვის სპეციალურად აშენებულ შენობაში, დღემდე წარმოადგენს მსოფლიოში საქართველოს სავიზიტო ბარათს მეაბრეშუმეობის დარგში და დარგის წამყვანი სპეციალისტების მიერ მსოფლიო მნიშვნელობის ცენტრად არის აღიარებული.

ბატონო პრეზიდენტო, გთხოვთ გაითვალისწინოთ საქართველოს მეაბრეშუმეობის დარგის სპეციალისტთა, მეცნიერ-მუშაკთა, არასამთავრობო ორგანიზაციათა, აგრეთვე სოფლად დაუსაქმებლად დარჩენილი შრომისუნარიანი მოსახლეობის მოთხოვნა და, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე,

გაატაროთ შემდეგი ღონისძიებები:

1. მეაბრეშუმეობის მეურვეობა-პატრონაჟი გადაეცეს საქართველოს საპატრიარქოს, იმავდროულად, მოხდეს საქართველოს საპატრიარქოსათვის მეაბრეშუმეობის დარგში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა პაკეტის გადაცემა მიზნობრივი პრივატიზაციის წესით, საკუთრებაში ან მართვის უფლებით (პირდაპირი მიყიდვის წესით — სიმბოლურ ფასად, ან უსასყიდლოდ), რაც შესაძლებლობას მისცემს ეპარქიებს, სოფლის მცხოვრებლებთან ერთად მჭიდრო ურთიერთობით, უმოკლეს დროში უზრუნველყონ სოფლად ოჯახების დასაქმება და მათი ეკონომიკურად გაძლიერება, მიგრაციის შეჩერება.

2. დაუბრუნდეს მეაბრეშუმეობის ადმინისტრაციულ-ლაბორატორიული შენობა, მდებარე ქალაქ თბილისში, ცაბაძის ქუჩა №6-ში, დარგობრივი სამეცნიერო ბიბლიოთეკით და მუზეუმით, შესაბამისი მიწის ნაკვეთით და დიღომში არსებული მეთუთეობის ექსპერიმენტული ბაზით, მის ერთადერთ სამართალმემკვიდრეს, მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს.

3. დაუბრუნდეს მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს იურიდიული პირის სტატუსი და საწყის ეტაპზე 2010 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნეს დაფინანსება.

4. დარგის განვითარებისათვის აუცილებელი სამეცნიერო და სხვა კვალიფიცირებული კადრების მომზადების მიზნით საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში აღდგენილ იქნეს მეაბრეშუმეობის სპეციალობა.

დარწმუნებული ვართ, სოფლის მეურნეობის ამ უძლიერესი დარგის განვითარება უაღრესად საშური სადღეისო საქმეა და, საქართველოს უმაღლესი ხელისუფლებისაგან ხელშეწყობის შემთხვევაში, მეაბრეშუმეობა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს „მოსახლეობის დასაქმებისა და სიღატაკის აღმოფხვრის“ სამთავრობო პროგრამის წარმატებით განხორციელებაში.

პატივისცემით
საქართველოს სოფლების
აღორძინების ფონდის
თავმჯდომარე
ელენე კახნიაშვილი

ასევე 7 სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმოწერით.

ხელმოწერები გრძელდება

გთხოვთ პასუხს შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი

პუშკინის 5/7,

„საქართველოს სოფლების აღორძინების ფონდი“

ტელ. 93 15 89; 898 119 888

ბატონო პრეზიდენტო, აქვე გაცნობებთ, რომ პროექტით თქვენი დაინტერესებისა და მოთხოვნისთანავე, წარმოგიდგენთ ეროვნულ პროექტს „ქართული აბრეშუმი — მეაბრეშუმეობის გადარჩენა, აღდგენა, განვითარება“-ს განხილვისათვის. მოწონების შემთხვევაში შესაბამისი დახმარების (საწყის ეტაპზე), აღმოჩენისათვის და მოგაწვდით ინფორმაციას თუ რატომაა მიზანშეწონილი მეაბრეშუმეობის გადარჩენა-განვითარება საპატრიარქოს კურატორობით და არა დღემდე არსებული გზით.

გთხოვთ პასუხს უმოკლეს დროში, რათა კიდევ ერთი, ქვეყნისა და დაუსაქმებელი მოსახლეობისათვის ასე მნიშვნელოვანი სამეურნეო წელი არ წარვმართოთ ღვთისა და მშრომელი მოსახლეობის ნების საწინააღმდეგოდ.

პატივისცემით, ისტორიული მემკვიდრეობის გადარჩენისა და უნიკალური სტრატეგიული დარგების აღორძინების იმედით

ჭიათურა-საჩხერის ეპარქიაში მცხოვრებ მეაბრეშუმეთა
სახელით
„საქართველოს სოფლების
აღორძინების ფონდი“
თავმჯდომარე
ელენე კახნიაშვილი

ინდივიდუალური აუდიტორი
ლიანა ტაველურაშვილი
სერტიფიკატი „ზ №5/231
თბილისი, გულუას ქ. №4 ტელ: 899 96 34 65
14 იანარი 2010 წ.

მე, ინდივიდუალურმა აუდიტორმა „ლიანა ტაველურაშვილმა“ ჩავატარე „საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტიის“ მიერ წარმოდგენილი 2009 წლის 31 დეკემბრისათვის შედგენილი წლიური ანგარიშის აუდიტი.

ამ ფინანსური ანგარიშის მომზადებასა და უტყუარობაზე საქართველოს კანონის „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ (მუხლი 14) პასუხისმგებელია დამკვეთი, ხოლო მე ვიღებ პასუხისმგებლობას იმ დასკვნაზე, რომელიც ჩემს მიერ არის შედგენილი იმ ფინანსური მონაცემების აუდიტიდან გამომდინარე, რაც წარმოადგინა „საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანულმა პარტიამ“.

აუდიტი ჩავატარე საქართველოს კანონის „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ მოთხოვნების გათვალისწინებით, რომელიც მოითხოვს აუდიტის იმგვარ დაგეგმვას და შემოწმებას, რაც საშუალებას მომცემდა დავრწმუნებულიყავი, რომ მოცემული ფინანსური ანგარიში არ მოიცავს არსებით შეცდომებს, თავისუფალია ყოველგვარი უზუსტობისაგან.

გარდა ამისა, აუდიტმა მოიცვა საფინანსო ანგარიშგების ციფრობრივი მასალის შერჩევითი შემოწმება და გამოყენებული ბუღალტრული (ფინანსური) პრინციპებისა და გამოყენებული ბუღალტრული (ფინანსური) პრინციპებისა და მნიშვნელოვანი პროგნოზირების შეფასება.

ვადასტურებ, რომ 2009 წელს პოლიტიკურ გაერთიანება „საქართველოს ქრისტიანულ პარტიას“ არანაირი შემოსავალი არ მიუღია.

/ლ. ტაველურაშვილი/

საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტიის 2008 წლის წლიური საფინანსო დეკლარაცია

2009 წლის განმავლობაში ორგანიზაციას არ ქონია არავითარი სახის ფინანსური შემოსავალი და, შესაბამისად, გასავალი, არ აქვს თანხები სბანკო ანგარიშებზე. ორგანიზაცია არ ფლობს საკუთრებაში შენობა-ნაგებობებს და სატრანსპორტო საშუალებებს.

2009 წლის განმავლობაში პარტიას არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია.

საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტიის თავმჯდომარე
დავით ხომასურიძე
2009 წელი

ინდივიდუალური აუდიტორი
ლიანა ტაველურაშვილი
სერტიფიკატი „ზ №5/231
თბილისი, გულუას ქ. №4 ტელ: 899 96 34 65
14 იანარი 2010 წ.

მე, ინდივიდუალურმა აუდიტორმა „ლიანა ტაველურაშვილმა“ ჩავატარე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს სახალხო ფრონტი“-ს მიერ წარმოდგენილი 2009 წლის 31 დეკემბრისათვის შედგენილი წლიური ანგარიშის აუდიტი.

ამ ფინანსური ანგარიშის მომზადებასა და უტყუარობაზე საქართველოს კანონის „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ (მუხლი 14) პასუხისმგებელია დამკვეთი, ხოლო მე ვიღებ პასუხისმგებლობას იმ დასკვნაზე, რომელიც ჩემს მიერ არის შედგენილი იმ ფინანსური მონაცემების აუდიტიდან გამომდინარე, რაც წარმოადგინა მ.პ.გ. „საქართველოს სახალხო ფრონტმა“.

აუდიტი ჩავატარე საქართველოს კანონის „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ მოთხოვნების ვათვალისწინებით, რომელიც მოითხოვს აუდიტის იმგვარ დაგეგმვას და შემოწმებას, რაც საშუალებას მომცემდა დავრწმუნებულიყავი, რომ მოცემული ფინანსური ანგარიში არ მოიცავს არსებით შეცდომებს, თავისუფალია ყოველგვარი უზუსტობისაგან.

გარდა ამისა, აუდიტმა მოიცვა საფინანსო ანგარიშგების ციფრობრივი მასალის შერჩევითი შემოწმება და გამოყენებული ბუღალტრული (ფინანსური) პრინციპებისა და გამოყენებული ბუღალტრული (ფინანსური) პრინციპებისა და მნიშვნელოვანი პროგნოზირების შეფასება.

ვადასტურებ, რომ 2009 წელს პოლიტიკურ გაერთიანებას „საქართველოს სახალხო ფრონტი“ არანაირი შემოსავალი არ მიუღია.

/ლ. ტაველურაშვილი/

საქართველოს სახალხო ფრონტის 2008 წლის წლიური
საფინანსო დეკლარაცია

2009 წლის განმავლობაში ორგანიზაციას არ ქონია არავითარი სახის ფინანსური შემოსავალი და, შესაბამისად, გასავალი, არ აქვს თანხები სბანკო ანგარიშებზე. ორგანიზაცია არ ფლობს საკუთრებაში შენობა-ნაგებობებს და სატრანსპორტო საშუალებებს.

2009 წლის განმავლობაში პარტიას არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია.

საქართველოს სახალხო ფრონტის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე
ნოდარ ნათაძე
2009 წელი

კვების ტიპები და ნორმები თანამედროვე მსოფლიოში

საკვები პროდუქტი ადამიანის მატერიალური კულტურის ერთ-ერთი ყველაზე არსებითი შემადგენელი ნაწილია. ივანე ჯავახიშვილი წერს: „კვებას ერის ფიზიკურ-გონებრივი განვითარებისთვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს და ადამიანის მეურნეობითი შემოქმედების ამ დარგშიც კულტურის განვითარების როგორც მიმდინარეობა, ისევე მისი დონეცა ჩანს და ბუნებრივი სიმდიდრის გონივრული გამოყენების ხალხის უნარი კარგად გამოიხატება ხოლმე.“

საკვების სახეობა, საკვებწარმოების წესი, კვების პერიოდულობა, ყოველდღიური და რიტუალური საკვები და სუფრის ეტიკეტი ეთნოსის კვების ხასიათს ქმნის. სხვაგვარად, კვების ხასიათი დაკავშირებულია ყოფითი კულტურის ბუნებრივ და სამეურნეო პირობებზე. მასზე გავლენას ახდენს ხალხის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე, ისტორიული გარემო, რელიგია და ეთნოსთშორისი კონტაქტები.

საქართველოში კვების სისტემის და კვების კულტურის განვითარებას ხელს უწყობდა და აყალიბებდა ეკოლოგიური გარემო, სამეურნეო პირობები, ქონებრივი და სოციალური მდგომარეობა, ეთნოსის რელიგიურ-საკრალური რწმენა-ჩვეულებები. საქართველოს ცალკეულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ოლქს ჰქონდა თავისი ბუნებრივი და სამეურნეო სპეციფიკა, რაც განაპირობებდა ეთნიკური ჯგუფის კვების თავისებურებას (საკვების სახე, დამზადების წესი, საკვების მიღების პერიოდულობა). ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესში, მთისა და ბარის ინტენსიური კონტაქტების შედეგად ჩამოყალიბდა ზოგათქართული კვების კულტურა. „საქართველოს ბუნებრივი მრავალფეროვნების საფუძველზე ქართველმა ერმა შექმნა მრავალნაირი საკვები და სასმელი, რომლითაც ის თავის ჯანმრთელობასაც იცავს და გემოვნების მოთხოვნილებებსაც იკმაყოფილებს“ (ივ. ჯავახიშვილი).

ქართული კვების კულტურაში მცენარეული კომპონენტების ძირითადი მასა მოდის მიწათმოქმედებიდან. მისი შემავსებელი (და არა დამხმარე) ნაწილი შემგროვებლობის პროდუქტი იყო. მეცხოველეობის განვითარებასთან ერთად, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებიდან ნანადირევის ხვედრითი წილი თანდათან მცირდებოდა და ბოლოს „დელიკატესად“ იქცა. საქართველოში სამდინარო თევზჭერა სარეწაო ხასიათისა არ ყოფილა, ამიტომ თევზი ქართველთა კვების სისტემაში, როგორც ცხოველური წარმოშობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, იყო და არის მოპოვებითი მეურნეობის პროდუქტი.

ჩვენში კვების დღიური განაწესი დამოკიდებული იყო წელიწადის დროზე, დასაქმებასა და შრომის ხასიათზე. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში უმეტესად სამჯერადი კვება იყო დაწესებული (იყო ორჯერადიც, სამხარი და სერობა). ვხვდებით ოთხჯერად და ხუთჯერად კვებასაც. სამჯერადი კვება მოიცავდა: საუზმეს (დილის საჭმელი შემდგომად გამოღვიძებისა — ჩუბინაშვილი), სადილს (შუა დღის სანოვაგე — ჩუბინაშვილი), სამხარს (სადილის შემდგომი სერი — ჩუბინაშვილი). ოთხჯერადი კვება კი, გარდა სამხრისა, ვახშამსაც გულისხმობდა. „დაწოლის ჟამს“ საჭმლის მიღებას ეძახდნენ „სერის კუდს“.

აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობაში სამჯერადი კვება იყო დაწესებული: მზის ამოსვლისთანავე — „ნაყრი“, შუადღისას — „სამხარი“, საღამოს — „წუხრი“. ქიზიყურად საუზმეს „განაწილება“ ერქვა. სპეციფიკური სამუშაოების შესრულებისას მიმართავდნენ ოთხჯერად კვებას.

სამეგრელოში დღეში სამჯერ იკვებებოდნენ (საუზმე — „საკაკალიო“, სადილი — „ონდღური“ და ვახშამი — „ოსერშე“).

სულხან-საბა ორბელიანი საჭმლის მიღების დღიური განაწესის დამრღვევებზე ამბობს: „არიან კაცნი პირუტყვისებრნი, რომელნი ჭამენ ოთხ და ხუთ გზის. არს პირველი ჭამა განთიად — საუზმე, მეორე ჭამა — სადილი ანუ სამხარი, მესამე სამხრის შემდგომად — ზარმელი, ხოლო მიმწუხრი — სერი და სერსა შემდგომად, რომელსა სერის-კუდად უხმობენ“.

დღე-ღამეში თანამედროვე ადამიანი საკვებად იყენებს დაახლოებით 1,5 — 2 ლიტრ წყალს და 800 — 900 გრამამდე საკვებს. ჩვენი პლანეტის მოსახლეობის (6,5 მილიარდი) საადღეღამისო რაციონი ექვს მილიონ ტონა საკვებს შეადგენს. კაცობრიობის დიდი ნაწილი განიცდიდა და განიცდის ზოგიერთი სახის საკვები პროდუქტის დეფიციტს (დღეს მსოფლიოში ერთი მილიარდი ადამიანი შიმშილობს, ხოლო 2,2 მილიარდი სასმელი წყლის დეფიციტს განიცდის).

ჯანსაღი კვების რაციონს ადგენენ იმდაგვარად, რომ პასუხობდეს ადამიანის ორგანიზმის ინდივიდუალურ თავისებურებებს შრომის ხასიათის გათვალისწინებით; სქესობრივ და ასაკობრივ თავისებურებებს, საცხოვრისის კლიმატურ-გეოგრაფიულ პირობებს.

რაციონალური კვების ცნება განუყოფლად დაკავშირებულია კვების ფიზიოლოგიური ნორმების განსაზღვრასთან. ისინი საშუალო მაორიენტირებელი სიდიდეებია, რომლებიც ძირითად საკვებ ნივთიერებებზე მოსახლეობის ცალკეული ჯგუფის მოთხოვნას გამოხატავენ. რაციონალური ნორმები არ ატარებს მუდმივ ხასიათს და იგი იცვლება კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური ყოფის ცვლასთან ერთად. ფიზიოლოგიური ნორმები გამოიყენება კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში ან ექსტრემალურ სიტუაციებში. სხვა მხრივ, მისი განზოგადება არაბუნებრივია.

რაციონალური კვება გულისხმობს სამი ძირითადი პრინციპის დაცვას: ენერგიის ბალანსის უზრუნველყოფა; გარკვეულ საკვებ ნივთიერებებზე ორგანიზმის მოთხოვნილების დაკმაყოფილება; კვების რეჟიმის დაცვა.

რაციონალური კვების შესახებ არსებობს არაერთი კონცეფცია და სისტემა:

1. ა. პოკროვსკის ბალანსირებული კვების კონცეფცია;
2. ვეგეტარიანული კვება;
3. სამკურნალო შიმშილობა;
4. ტრადიციული კვების კონცეფცია;
5. საკვებ პროდუქტთა შეუთავსებლობის კონცეფცია;
6. საკვები ღირებულების ინდექსის კონცეფცია;
7. „ცოცხალი“ ენერგიის კონცეფცია;
8. მთავარი საკვები ფაქტორის კონცეფცია;
9. ოპტიმალურობის აბსოლუტიზაციის კონცეფცია;
10. „მოჩვენებითი“ წამლის კონცეფცია.

ჩამოთვლილი კონცეფციები ამომწურავ პასუხს ვერ სცემს საკვებთან და კვებასთან დაკავშირებულ უმთავრეს პრობლემურ საკითხებს. აქ მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ განსხვავებულია ადამიანთა საზოგადოებები, ადამიანთა ცნობიერება და ცხოვრების წესი, ყოფითი კულტურა, ტრადიციები და თვით კვების კულტურა.

ადამიანის კვების რაციონის შედგენისას, მასში ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების, ვიტამინების, მინერალური ნივთიერებების რაოდენობას კი არ მიუთითებენ, არამედ სხვადასხვა სახის სასურსათო პროდუქტისას. თანამედროვე ლიტერატურაში, ადამიანის მიერ გამოყენებული საკვები პროდუქტები ათ ჯგუფად არის დანაწევრებული. კვების ისტორიული გამოცდილებისა და ხასიათის გათვალისწინებით, ქართულ სინამდვილეში საკვები პროდუქტების ოდენობა ჯგუფების მიხედვით წლის განმავლობაში, ასე გამოიყურება; 1. პური, ფქვილი, ბურღულეული, მარცვლოვნები და მარცვლოვან-პარკოსნები, ფუნთუშეული, მაკარონისა და საკონდიტრო ნაწარმი და აშ. (როდესაც ამ ჯგუფების პროდუქტთა მიღების ნორმებს აფასებენ, სპეციალური კოეფიციენტების მეშვეობით ყველა პროდუქტი გადაიანგარიშება ფქვილზე) — 127,5კგ. 2. კარტოფილი (აღ პროდუქტის დიდი მნიშვნელობის გამო, იგი დამოუკიდებლად არის შესული პროდუქტთა ჩამონათვალში) — 62კგ. 3. ბოსტნეული და ბახჩეული (აქ შედის აგრეთვე, მათი კონსერვები, მარინადები და აშ. მათი მოხმარების ერთიანი მოცულობის დადგენისას, იგი გადაჰყავთ ნედლ ბოსტნეულზე) — 146კგ. 4. ხილი, ხილის წვენები, კონსერვები, მშრალი ხილი და ა.შ. (ამ პროდუქტების ერთიან ნიშნულზე დაყვანა ნედლ ხილზე წარმოებს) — 110კგ. 5. შაქარი — 34,7კგ. 6. მცენარეული ზეთები (მართალია ადამიანის რაციონში ცხიმების 70% მოდის ცხოველური წარმოშობის ცხიმებზე და მხოლოდ 30% მცენარეულზე, მაგრამ ეს უკანასკნელი დამოუკიდებლად შედის კვების პროდუქტების ჩამონათვალში) — 7,3კგ. 7. თევზი და თევზის პროდუქტები (ამ ჯგუფში შემავალი თევზის გადამუშაების პროდუქციის გადაყვანა ხდება ნედლ თევზზე, რაციონში მათი შეფასების დროს) — 18,3კგ. 8. ხორცი და ხორცის პროდუქტები (ამ ჯგუფში შედის საღი ხორცი, ძეხვეული, შაშხი, ქონი, სხვადასხვა კონსერვი და აშ. შეფასებისას ყველა აღნიშნული პროდუქტი გადაიყვანება ხორცზე) — 65,7კგ. 9. რძე და რძის პროდუქტები (ამ ჯგუფში შედის საღი რძე, ყველი, კარაქი, ხაჭო, არაჟანი, მაწონი და აშ. შეფასების საფუძველია საღი სტანდარტული შემადგენლობის რძე) — 401,5კგ. 10. კვერცხი (იანგარიშება ცალობით) — 292.

აღნიშნულ ჩამონათვალში მართებულია სხვადასხვა სასმელის დამატებაც. უალკოჰოლო სასმელების ჩაის, ყავის, კაკაოს, მინერალური წყლების სარგებლობა საყოველთაოდ ცნობილია. ამ ბოლო დროს სულ უფრო ინტენსიური ხდება მაღალი ღირსების ალკოჰოლიანი სასმელების (მაგ. ღვინო, ლუდი) ზომიერი გამოყენების მიზანშეწონილობის მოწოდებები.

კვების რაციონალურ ნორმებში ჩამონათვალი პროდუქტების მოხმარების რაოდენობა მიუთითებს უშუალოდ ადამიანის მოთხოვნილებას და არა სამომხმარებლო ბაზარზე შესაძენი სხვადასხვა პროდუქტის მოცულობას. როგორც წესი, პროდუქტები საკვებად გამოყენების წის მექანიკურად და თერმულად უნდა დამუშავდეს. მექანიკური დამუშავების დროს დიდია დანაკარგები. მაგალითად, მარცვლეულის გაწმენდის შემდეგ დანაკარგები 15%-მდეა, კარტოფილისა — გათლის შედეგად — 28%,

კვების ძირითადი ტიპები

№	კალორიების მთავარი წყარო	ცილის მთავარი წყარო
1	ხორბალი, კარტოფილი, შაქარი, ხორცი, ცხოველური და მცენარეული ცხიმები	საქონლის ხორცი, ღორის ხორცი, ცხვრის ხორცი, რძის პროდუქტები
2	ხორბალი ფეტვი, სორგო, ბრინჯი	ბარდა და სხვა პარკოსნები
3	ხორბალი, სიმინდი, ქერი, ცხოველური და მცენარეული ცხიმები	საქონლის ხორცი, ცხვრის ხორცი ზოგჯერ ღორის ხორცი, სხვადასხვა პარკოსნები
4	ხორბალი, სიმინდი, ქერი, კარტოფილი	არკოსნები
5	ხორბალი, სიმინდი, ბრინჯი, შაქარი	საქონლის ხორცი, პარკოსნები
6	ხორბალი, სიმინდი, მანიოკა	საქონლის ხორცი, პარკოსნები
7	ბრინჯი	ბარდა და სხვა პარკოსნები
8	ბრინჯი, ხორბალი	თევზი, სოია
9	ბრინჯი, სიმინდი, ტკბილი კარტოფილი	ღორის ხორცი, თევზი, სოია, არაქისი
10	ბრინჯი, სიმინდი, ტკბილი კარტოფილი	თევზი, სოია და სხვა პარკოსნები, არაქისი
11	ბრინჯი, სიმინდი, ბანანი, მანიოკა, შაქარი	ბარდა და სხვა პარკოსნები
12	სიმინდი	არკოსნები
13	სიმინდი, ხორბალი, კარტოფილი	საქონლის ხორცი, პარკოსნები
14	სიმინდი, ფეტვი, სორგო	ბარდა და სხვა პარკოსნები
15	ფეტვი და სორგო, სიმინდი, ბრინჯი, ბატატი, მანიოკა, ბანანი	ბარდა და სხვა პარკოსნები, არაქისი
16	ფეტვი და სორგო, ბრინჯი, მანიოკა, ქოქოსის კაკალი	თევზი, პარკოსნები, არაქისი
17	ფეტვი და სორგო, ხორბალი, სიმინდი, კარტოფილი	ღორის ხორცი, ცხვრის ხორცი, სოია, არაქისი
18	ქერი	რძის პროდუქტები, ცხვრის ხორცი, თხის ხორცი
19	მანიოკა, ტარო, ბანანი, ქოქოსის კაკალი	თევზი, ღორის ხორცი
20	ცხოველური ცხიმები, ხორბალი	თევზი, გარეული ცხოველების ხორცი

მე-13 გვერდიდან

ბოსტნეულის (სახეობების მიხედვით) – 15-30 %, ხილისა – 30%-მდე. დანაკარგებს ადგილი აქვს ყველის ცივი დამუშავების შემთხვევაშიც (მაგ. კანის მოშორება) 2-4-%-მდე. კვერცხის ნაჭუჭზე მოდის მისი მასის 13%. ხორცის მექანიკური დამუშავებისას – 28%. თევზის გასუფთავებით იკარგება 40-55%. კვების რაციონალური ნორმები არ ითვალისწინებს პროდუქტის დამუშავების შედეგად გამოწვეულ დანაკარგებს. აქედან გამომდინარე, იმისათვის, რომ დაცული იყოს კვების ნორმების მოთხოვნები, საკვები პროდუქტების შეძენისას აუცილებელია დანაკარგების გათვალისწინება. საკვები ნივთიერებების დანაკარგს ადგილი აქვს თერმული დამუშავების შემთხვევაშიც, მაგალითად, ხარშვის, ადულების, გათბობის, შეწვის დროს იკარგება ცილების 10%, ცხიმების 16%, ნახშირწყლების 15%. ორგანული საკვები ნივთიერებებიდან თერმული დამუშავების მიმართ ყველაზე ნაკლებმედეგია ვიტამინები, ამოტომაა მათი მარაგის შესავსებად რეკომენდებული ნედლი ბოსტნეულის და ხილის გამოყენება.

ადამიანის კვების თავისებურებები, მოხმარებული საკვების ოდენობა და სტრუქტურა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, მეტად მრავალფეროვანია კაცობრიობის რაციონი, ამასთან, კვების მრავალი ტიპის გამოყოფა შეიძლება.

ამერიკელმა მეცნიერმა კერიელმა დედამიწის ცალკეულ არეალებში საკვები ნივთიერებების წყაროების მიხედვით გამოყო კვების 20 ტიპი.

კვების I ტიპი ახასიათებს ამერიკის შეერთებულ შტატებს, კანადას და ევრაზიას, უკიდურესი ჩრდილო ნაწილის გარდა (ევრაზიის შემთხვევაში სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის გარდა), სამხრეთ ამერიკის სამხრეთ და აფრიკის უკიდურეს სამხრეთ ნაწილს; II ტიპი გავრცელებულია ავღანეთში, პაკისტანში, ჩრდილო აფრიკის ზოგიერთ ცენტრალურ რაიონში, მადაგასკარში, ავსტრალიის ცენტრალურ ნაწილში; III ტიპი — შუა აზიაში, აფრიკის ჩრდილო ნაწილში, სამხრეთ ევროპაში; IV ტიპი- – სამხრეთ ამერიკის ჩრდილო-დასავლეთით; V ტიპი – ბრაზილიის აღმოსავლეთ შვერილზე; VI ტიპი – სამხრეთ ამერიკის ცენტრალურ ნაწილში; VII ტიპი – სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის დასავლეთ ნაწილში; VIII ტიპი – იაპონიაში; IX ტიპი – ჩინეთის სამხრეთში; X ტიპი – სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში, ფილიპინებში, XI ტიპი – ბრაზილიის ჩრდილოეთში, კარიბის ქვეყნებში; XII ტიპი – მექსიკაში, ჩრდილო ამერიკის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში; XIII ტიპი – სამხრეთ ამერიკის ჩრდილო ნაწილში; XIV ტიპი – აფრიკის სამხრეთ აღმოსავლეთში; XV ტიპი – ცენტრალურ აფრიკაში; XVI ტიპი – ინდოეთში; XVII ტიპი – ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, კორეის ნახევარკუნძულზე; XVIII ტიპი – მონღოლეთში, ჩინეთის ჩრდილოეთში; XIX ტიპი – ოკეანიის კუნძულებზე; XX ტიპი – კანადასა და რუსეთის უკიდურეს ჩრდილოეთში. როგორც კვების ტიპების ტერიტორიული განთავსება ცხადყოფს, მას გეოგრაფიული სიახლოვის პრინციპი არ უდევს საფუძვლად. ერთი და იგივე კვების ტიპი შეიძლება დედამიწის მეტად დაშორებულ რეგიონებში არსებობდეს, მაშინ, როცა „გვერდიგვერდ“ მყოფნი განსხვავებული რაციონით იკვებებოდნენ. აღნიშნულ ტიპოლოგიას და, საერთოდ, დედამიწაზე კვების გვარობას სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს, რომელთაგან უმთავრესია ბიოგეოკლიმატური პირობები, სოციალ-ეკონომიკური განვითარების ისტორიულ-კულტურული თავისებურებები, რელიგია, კვების ტრადიციები, წყლის გარემოსთან (ოკეანეებთან, ზღვებთან) ურთიერთობების შესაძლებლობა. თავის მხრივ, ჩამოყალიბებულ კვების ტიპებში რაციონის შემადგენლობა დიდად მოქმედებს ადამიანის ცხოვრების რიგ ასპექტებზე, კერძოდ, საცხოვრებელი არეალის ლანდშაფტებზე და აშ.

„კერიელის სქემაში“ დროსა და სივრცეს გარკვეული კორექტივები შეაქვს (ასე მაგალითად, „ველური ლანდშაფტების“ კმაყოფაზე მყოფი ხალხები, განვითარების კვალობაზე, საკუთარ რაციონში ზრდიან კულტურული მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტებს. ეკონომიკური განვითარება იწვევს ცხოველური წარმოშობის პროდუქტების მოხმარების უპირატეს ზრდას. ამის მაგალითი უკვე არსებობს იაპონიის სახით).

საქართველო „კერიელის სქემაში“ შეტანილი არ არის. მიგვაჩნია, რომ მას, როგორც მსოფლიო გაერთიანების სუბიექტს, უნდა მოენახოს საკუთარი ადგილი.

საქართველო უნდა მიეკუთვნოს იმ ქვეყანათა რიცხვს, რომლებიც, „კერიელის სქემით,“ გაერთიანებულია მესამე ჯგუფში (შუა აზია, აფრიკის ჩრდილოეთი ნაწილი და სამხრეთ ევროპა), სადაც მოსახლეობისთვის კალორიების მთავარ წყაროს მარცვლეული, მცენარეული და ცხოველური ცხიმები, ხოლო ცილის მთავარ წყაროს, სხვადასხვა სახის ხორცთან (მ.შ. თევზი) ერთად, პარკოსნები შეადგენს. ამასთან, საქართველოში ნახშირწყლების, ვიტამინებისა და მინერალური ნივთიერებების უმნიშვნელოვანესი წყარო თაფლი, მრავალფეროვანი ხილი, ბოსტნეული, ბაღჩეული, კაკლოვანი და სხვა ტრადიციული კულტურებია, რაც, საერთო ანგარიშით, ქართული კულინარული ხელოვნების საფუძველს ქმნის.

გლობალიზაციის ეპოქაში ქართველებს უნიკალური კვების კულტურის დასაცავად დიდი სიფრთხილე გვმართებს. ზოგადქართული კვების ხასიათიდან გამომდინარე, ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ და გავამდიდროთ კვების რაციონი.

პაატა კოლუაშვილი,
პროფესორი

რუსეთის გეოპოლიტიკური გამოწვევები აღმოსავლეთ აზიაში მიმდინარე დემოგრაფიული ცვლილებების ფონზე

ბადრი რამიშვილი,
პროფესორი, ეკონომიკის დოქტორი

საქართველოსათვის უმთავრესი პრობლემა სადღეისოდ რუსეთია. ამიტომ ყოვლად აუცილებელია ყველაფერი ვიცოდეთ ამ სახელმწიფოს შესახებ და ამის შესაბამისად დაიგეგმოს ჩვენი უახლოესი განვითარების პერსპექტივები. კრიზისამდელ პერიოდში რუსეთმა, ისარგებლა რა მსოფლიოს ნახშირწყალბადების ბაზარზე შექმნილი ხელსაყრელი კონიუნქტურით, ერთი შეხედვით საკმაოდ გამოასწორა საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობა და პოლიტიკურ სარბიელზედაც უფრო ამბიციურად დაიწყო მოქმედება. მაგრამ კრიზისმა, რომ იტყვიან, ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა. დასავლური ბლოკის ქვეყნები, რომელთაც რუსეთი მეტოქეებად მიიჩნევს, ნაკლები დანაკარგებით დააღწევენ თავს ეკონომიკურ პრობლემებს, რასაც ვერ ვიტყვით რუსეთზე, რომელსაც მომავალში ურთულესი გამოწვევები ელის და არამარტო ეკონომიკაში. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა მისთვის იქნება დემოგრაფიული პრობლემა და ამ ფონზე გარდაუვალი დაპირისპირება ჩინეთთან. წინამდებარე გამოკვლევა სწორედ აღნიშნულ საკითხს ეძღვნება.

რუსეთის სახელმწიფოს მთლიანი ტერიტორია შეადგენს 17098242 კმ², მოსახლეობა 2009 წლის ივლისის მონაცემებით 140 მილიონ ადამიანს. ამავე წელს ეს ციფრი შემცირდება 0.467%-ით, რაც აბოლუტურ მაჩვენებლებში დაახლოებით 654000 ადამიანია. ანუ რუსეთში აღინიშნება მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი დეპოპულაციის ტემპი. ბოლო ათი წლის განმავლობაში რუსეთის მოსახლეობის კლებამ გადააჭარბა 6 მილიონ ადამიანს. ეს მაშინ, როდესაც ამ წლებში რუსეთში მაღალი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან რუსულენოვანი მოსახლეობის (ძირითადად ეთნიკური რუსების) იმიგრაციის ტემპი. აქ მხედველობაში არ ვიღებთ არალეგალურ იმიგრაციას, მასზე მოგვიანებით ვისაუბრებთ. მოსახლეობის შევსების ეს რესურსი, ისე რომ არ შეეცვალა ქვეყნის ეთნიკური შემადგენლობა, რუსეთმა უკვე ამოწურა, ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფოები უკვე დატოვა იმ რუსულენოვანი მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა, რომელსაც რუსეთში გადასვლის სურვილი ჰქონდა. ეს ფაქტი გვაძლევს იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ რუსეთს ელის უდიდესი დემოგრაფიული პრობლემა, რომლის გადაწყვეტის გარეშე წარმოუდგენელი იქნება ეკონომიკური ზრდა, ხოლო მისი გადაჭრის გზები კი ძალიან შეზღუდულია და თავის თავში მოიცავს უზარმაზარ საფრთხეს. პრინციპში დემოგრაფიული პრობლემის გადაწყვეტის ორად ორი საშუალება არსებობს: **პირველი,** საკუთარი მოსახლეობის მატერიალური წახალისება და ამ გზით შობადობის გაზრდა და, მეორე, იმიგრაციის სტიმულირება. პირველ გზას რუსეთის ხელისუფლებამ უკვე მიმართა, მაგრამ მან არ გამოიღო სათანადო შედეგები. აღნიშნული პოლიტიკის ფორსირებისათვის კი რუსეთს აღარ აქვს სათანადო ფინანსური რესურსები. ეს პოლიტიკა წარმატებული რომც გამოდგეს, ქვეჯანა პირველ შედეგებს 2-3 ათწლეულის შემდეგ მიიღებს, ამდენი დრო კი ჩემი აზრით მათ არ აქვთ, რაზედაც ქვემოთ ვისაუბრებთ. ამას გარდა აღსანიშნავია ისიც, რომ შობადობის სტიმულირების პოლიტიკა წარმატებული იყო რუსეთის იმ რეგიონებში სადაც არარუსული მოსახლეობა (ძირითადად ისლამის აღმსარებელნი) ცხოვრობს. ეს კი იმგვარად შეცვლის რუსეთის დემოგრაფიულ სურათს, რომ მხოლოდ დაასუსტებს მის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს პერსპექტივებს. შერჩევითი დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებას კი ვერც სადღეისოდ ულტრაშოვინისტურ რუსეთში გაბედავენ, რადგან ეს აშკარა ფაშიზმი იქნება და, აქედან გამომდინარე საბოლოო შედეგების მიხედვით, არაპროდუქტულიც. რუსეთი, რომელიც განიცდის შრომითი რესურსების უაღრეს დეფიციტს, თუ ამ პრობლემას არ გადაწყვეტს, მისი ეკონომიკური პერსპექტივები, რომელიც თითქოს გაზარდა რესურსებზე ფასების ზრდამ, ეფემერული და მოკლევადიანი აღმოჩნდება. 2008 წლის მონაცემებით, რუსეთის შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა 75,7 მილიონ ადამიანს შეადგენდა. ამ მხრივ, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში საკმაო მატებაა, რაც დეპოპულაციის ფონზე ერთი შეხედვით უცნაურადაც ჩანს. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, რადგან ამგვარი მოვლენა გამოიწვია ისევდაისევ იმიგრაციამ. რუსეთში, როგორც წესი, შრომისუნარიანი მოსახლეობა შედიოდა ამ პერიოდში, რის საშუალებაც როგორც აღვნიშნეთ უკვე აღარ არის, რაც ერთი ორად ზრდის ამ მხრივ რუსეთის პრობლემას. ამას შემდეგი მონაცემიც ცხადყოფს, რუსეთში საპენსიო და წინასაპენსიო ასაკშია მოსახლეობის 60 %-ზე მეტი, რაც სამომავლოდ შრომისუნარიანი მოსახლეობის სწრაფი ტემპებით შემცირებას ნიშნავს, ერთის მხრივ, და არამწარმოებლურ მოსახლეობაზე გაზრდილ დანახარჯებს მეორე მხრივ.

დემოგრაფიული პრობლემის გადაჭრის მეორე გზაც – იმიგრაციის სტიმულირება – ასევე საფრთხის შემცველია, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, რუსები, ვისაც სურდათ სამშობლოში დაბრუნება, უკვე დაბრუნდნენ. არარუსი მოსახლეობის ხარჯზე კი, რუსეთს შრომითი რესურსების მოზიდვის ორი რეალური წყარო გააჩნია, ეს არის შუა აზიის ქვეყნები და ჩინეთი. შუა აზიის საერთო მოსახლეობა შეადგენს დაახლოებით 60 მილიონ ადამიანს. სავარაუდოდ ყაზახეთიდან და თურქმენეთიდან ცოტა იქნება რუსეთში იმიგრირების მსურველი, ამ ქვეყნების საკმაოდ მკაფიო ეკონომიკური პერსპექტივების გამო. რჩება უზბეკეთი, ტაჯიკეთი და ყირგიზეთი 40 მილიონი მოსახლეობით. ამ რაოდენობიდან, არ არის გამორიცხული, რამდენიმე მილიონი რუსეთში მართლაც აღმოჩნდეს დროებით თუ მუდმივ მოსახლედ. რუსეთის მთავრობა ცდილობს წაახალისოს ეს პროცესი, თუმცა ეს, ჯერ ერთი, არ არის საკმარისი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტის მოსახდენად და, მეორე მხრივ, გაზრდის მუსულმანური მოსახლეობის ხვედრ წილს, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვნად შეცვლის რუსეთის დემოგრაფიულ სურათს. რაც შეეხება ჩინეთს და მის ხარჯზე შრომითი რესურსების დეფიციტის პრობლემის გადაწყვეტას, ეს არის ის “ტროას ცხენი” რაც ჩემის აზრით შიგნიდან ააფეთქებს რუსეთს.

ჩინელების იმიგრაცია რუსეთში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო. სადღეისოდ არსებობს სხვადასხვა მონაცემი, რომელიც ასახავს ჩინელების რაოდენობას რუსეთში და ისინი საკმაოდ დიდ დიაპაზონში – 1,5 მილიონიდან 15 მილიონამდე მერყეობს. თვით რუსულ წყაროებშიც კი, ვერ მოიძიებ მეტ-ნაკლებად შეჯერებულ მონაცემს, რისი მიზეზიც არის ის, რომ ამ ქვეყნის სპეცსამსახურები ასაიდუმლოებენ რეალურ მაჩვენებლებს, რაც მართლაც საფრთხის შემცველ ვითარებაზე მიუთითებს. რომ დავეყრდნოთ მინიმალურ მონაცემსაც კი, (თუმცა თვითმხილველების მონათხრობით გაცილებით დიდ რაოდენობასთან უნდა გვქონდეს საქმე) შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩინელებმა რუსეთში იმიგრირებისათვის უკვე შექმნეს მყარი ბაზები და ამ პროცესს უკვე ვედარაფერი შეაჩერებს, შესა-

გაგრძელება მე-15 გვერდზე

მე-14 გვერდიდან

ძლებელი იქნება მხოლოდ ტემპების მეტ-ნაკლები რეგულირება. საფრთხის მაშტაბებზე, რომ აღარაფერი ვთქვათ ჩინეთის სხვა შესაძლებლობებზე, მისი დემოგრაფიული პოტენციალიც მეტყველებს, ამ ქვეყნის მოსახლეობა 2009 წლის ივლისის ოფიციალური მონაცემებით 1,33 მილიარდ ადამიანს შეადგენს, არის მოსაზრება, რომ ჩინეთში გატარებული დემოგრაფიული პოლიტიკის გამო აქ დაახლოებით 300-400 მილიონი ადამიანია აღურიცხავი, რომელთაც საერთოდ არ გააჩნიათ პასპორტი და შესაბამისად ოფიციალურ მონაცემებშიც არ ხვდებიან. უახლოეს წლებში ოფიციალური რაოდენობის 1 %-მაც რომ გადაწყვიტოს რუსეთში მოხვედრა, ეს დაახლოებით 13 მილიონი ადამიანია და ამ დანაკლისს ჩინეთი ბუნებრივი მატების ხარჯზე 1,5 წელიწადში აინაზღაურებს. თუ აღნიშნულს დავუმატებთ ჩინეთის მთავრობის მიერ უკანასკნელ წლებში გატარებულ პოლიტიკას, რაც ემიგრაციის მხარდაჭერას (მათ შორის ფინანსურადაც) და ჩინელი ეროვნების ადამიანების მთელ მსოფლიოში დაცვას გულისხმობს, ცხადი ხდება, რომ ჩინური დემოგრაფიული ექსპანსია სულ უფრო გაიზრდება. უპირველესი მიზანი მსგავსი დემოგრაფიული შეტევისა კი არის რუსეთი, რასაც მრავალი წინაპირობა გააჩნია. მაგალითად, პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ ის, რომ ჩინეთსა და რუსეთს გააჩნიათ დაახლოებით 4,3 ათასი კმ საერთო საზღვარი, რომელიც რუსეთის მხრიდან თითქმის დაუცველია, რაც არნახულად ზრდის ამ უკანასკნელში არალეგალურად შეღწევის შესაძლებლობებს. მეორე ფაქტორი რუსეთის ტერიტორიაზე მოსახლეობის მეტად არათანაბარი განაწილებაა. ციმბირში, რომელიც წარმოადგენს ჩინეთის დაინტერესების ობიექტს, ცხოვრობს მთელი რუსეთის მოსახლეობის მეოთხედზე ნაკლები, მაშინ როდესაც მას უჭირავს სახელმწიფოს მთლიანი ფართობის სამ მეოთხედზე მეტი. გამომდინარე აქედან, შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ჩინეთისათვის არ იქნება განსაკუთრებული პრობლემა აქ დემოგრაფიული უპირატესობის მიღწევა. ამის მატერიალური რესურსები, რომ გააჩნიათ ამას ქვემოთ შევეხებით.

კიდევ უფრო ცუდი ვითარებაა რუსეთისათვის შორეულ აღმოსავლეთში სადაც მხოლოდ 8 მილიონი რუსეთის მოქალაქეა დარჩენილი. მესამე ფაქტორია ჩინეთის ტერიტორიული პრეტენზიები რუსეთის მიმართ, რასაც საკმაოდ მყარი ისტორიული საფუძველი გააჩნია. მართალია, ამ ორ ქვეყანას შორის 2008 წელს მოხდა საზღვრის ოფიციალური დემარკაცია, მაგრამ ჩინეთის პოლიტიკურ და სამხედრო წრეებში ამას უფრო ტაქტიკურ, დროებით ნაბიჯად აფასებენ. ჯერ კიდევ 1926 წელს ჩინეთმა შესთავაზა რუსეთს საზღვრების აღდგენა ნერჩინსკის ხელშეკრულების შესაბამისად. ხოლო 1964 წელს მან ოფიციალურად განაცხადა, რომ რუსეთის მიერ ჩინეთისათვის არამართლზომიერად იყო ჩამოცილებული 1,54 მილიონი კმ². მსგავსი პრეტენზიები, თუმცა არაოფიციალურად, მაგრამ მაინც გაისმის თანამედროვე ჩინეთში. მეოთხე ფაქტორი არის რესურსები. მართალია, ჩინეთს ამა თუ იმ ფორმით ტერიტორიული პრეტენზიები გააჩნია მის თითქმის ყველა მოსაზღვრე სახელმწიფოსთან, მაგრამ იგი პირველ რიგში ყურადღებას, რომ რუსეთს დაუთმობს ამის გარანტიას სწორედ რესურსების გეოგრაფიული განაწილება იძლევა. რუსეთის გარდა, ჩინეთის არცერთი მოსაზღვრე ქვეყანა არ ფლობს მნიშვნელოვან წიაღისეულ რესურსებს (განსაკუთრებით ენერგორესურსებს). რაც შეეხება ტერიტორიას, ეს სახელმწიფოები იმდენად მჭიდროდ არიან დასახლებული, რომ ამ მხრივაც იკარგება მიმზიდველობა. ციმბირი კი უმდიდრესი მხარეა როგორც წიაღისეულით, ასევე ეს არის ნაკლებად დასახლებული უზარმაზარი არეალი, რომლის დიდი ნაწილი დაფარულია ტაიგით, რაც რუსეთს ხდის მსოფლიოში ყველაზე მნიშვნელოვან ტყის რესურსის მფლობელადაც. მეხუთე ფაქტორია XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში ჩინეთის გარშემო შექმნილი კეთილსასურველი ვითარება. მან 1999 წელს საბოლოოდ გადაჭრა ჰონკონგის პრობლემა, რაშიც უდიდესი როლი შეასრულა ჩინეთის მთავრობის მიერ გატარებულმა ბრძნულმა პოლიტიკამ სახელწოდებით "ერთი ქვეყანა ორი სისტემა", აღნიშნული პოლიტიკის უმთავრესი სამიზნე იყო არაიმდენად ჰონკონგი, არამედ ტაივანი. შედეგიც ისტორიული მასშტაბით საკმაოდ მცირე დროში დადგა, 2008 წელს ტაივანში გაიმარჯვა ოპოზიციურმა პოლიტიკურმა ძალამ "გომინდანმა", რომელიც ჩინეთთან დაახლოების მომხრეა, ეს მაფიქრებინებს, რომ ჩინეთი ტაივანის პრობლემას სამხედრო ჩარევის გარეშე მოაგვარებს, შედეგად მის განკარგულებაში აღმოჩნდება დიდი პოტენციალის მქონე ეკონომიკა და რაც უფრო მნიშვნელოვანია თანამედროვე ტექნოლოგიები.

მსოფლიოში სადღეისოდ არ არსებობს ისეთი სამხედრო ძალა, რომელიც პირდაპირ სამხედრო საფრთხეს წარმოადგენს ჩინეთისათვის. მას რამდენიმე წლის წინ შეეძლო გაეყინა სამხედრო ხარჯები და ამით არაფერი დაეკლო თავდაცვისათვის, გამომდინარე აქედან, რუსეთის ხელმძღვანელობისათვის დამაფიქრებელი უნდა იყოს ის პოკლიტიკა, რასაც ბოლო წლებში მიმართავენ ამ მხრივ "ცისქვეშეთში". კერძოდ, სტოკჰოლმის მშვიდობის პრობლემების კვლევის ინსტიტუტის მონაცემების თანახმად, ამ ქვეყანამ 2006-2007 წლებში 62%-ით შეამცირა შეიარაღების იმპორტი, რამაც განსაკუთრებით დააზარალა რუსეთის სამხედრო სამრეწველო კომპლექსი. ამგვარი ხისტი ნაბიჯი აშკარად მიუთითებს ჩინეთის საჭვო განზრახულობათა შესახებ, რადგან ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩინეთმა ხელი აიღო ქვეყნის მილიტარიზებაზე, რასაც ადასტურებს სამხედრო ხარჯების უსწრაფესი ზრდის ტენდენცია. კერძოდ, ჩინეთმა 2008 წელს სამხედრო ხარჯები გაზარდა 17,6%-ით, ხოლო 2009 წელს კი გაიზრდება 14,9 %-ით, ანუ აბსოლუტურ მაჩვენებლებში ოფიციალური მონაცემებით მიაღწევს 70 მილიარდ დოლარს, თუ დოლარის პარიტეტულ მსყიდველობით ძალას და იმ ფაქტსაც თუ გავითვალისწინებთ, რომ დეკლარირებული გაცილებით ნაკლებია რეალურ სამხედრო ხარჯებთან შედარებით, ეს თანხა რამდენიმეჯერ დიდი იქნება. ჩემს სამეცნიერო ნაშრომში "საქართველოს გრძელვადიანი პოლიტიკური პერსპექტივები გეოეკონომიკური ცვლილებების ფონზე" გაკეთებული პროგნოზის თანახმად "2014 წლისათვის ჩინეთის მშპ იქნება 11,8 ტრილიონი დოლარი, 2019 წლისათვის 17,3 ტრილიონი, 2024 წლის დასაწყისში კი 25,4 ტრილიონი. თუკი ჩინეთმა ამ პერიოდში მოაგვარა ტაივანის პრობლემა, მაშინ მისი ეკონომიკური პოტენციალი კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახდება. 2008 წლის მონაცემებით ტაივანის მშპ 757 მილიარდ დოლარს შეადგენდა". ახლა დავუშვათ, რომ ჩინეთის სამხედრო ხარჯები დარჩება მშპ-სთან იგივე პროპორციით (4,3 %) როგორც ეს 2006 წელს იყო. მივიღებთ, რომ 2014 წლისათვის ჩინეთის რეალური სამხედრო ხარჯები, იქნება დაახლოებით 507 მილიარდი დოლარი, 2019 წლისათვის 744 მილიარდი, ხოლო 2024 წლის დასაწყისისათვის კი დაახლოებით 1,1 ტრილიონი დოლარი. ანუ რუსეთისათვის ეკონომიკური განვითარების ყველაზე ოპტიმისტური სცენარის სავარაუდო მონაცემებს თუ დავეყრდნობით, ჩინეთის სამხედრო ხარჯები 2024 წლისათვის იქნება რუსეთის მშპ-ს 1/3-ზე მნიშვნელოვნად მეტი. და ეს მხოლოდ ორდინალურ პირობებში. ვითარების გამწვავების შემთხვევაში ჩინეთს გაცილებით მეტი შანსი ექნება სამხედრო მიზნებისათვის რესურსების მობილიზებისათვის. თავი რომ დავანებოთ ჩინელი ერის ტრადიციებს, რაც სახელმწიფოსადმი უსიტყვო მორჩილებას და მსახურებას გულისხმობს ინდივიდუალური მოთხოვნილებების იგნორირების ხარჯზეც კი, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ჩინეთში არის დიქტატურა, მკაცრად ცენტრალიზებული სახელისუფლებო ვერტიკალით, ამ პირობებში კი გაცილებით ადვილია მიმდინარე მოხმარების შეზღუდვა და რესურსების სამხედრო მიზნებისათვის გადასროლა. ჩემი აზრით, ექსტრემალურ პირობებში ჩინეთისათვის არ იქნება არავითარი პრობლემა სამხედრო მიზნებისათვის მიმართოს მშპ-ს 20%, რაც 2014 წლისათვის იქნება 2,36 ტრილიონი დოლარი. 2019 წლისათვის 3,46 ტრილიონი დოლარი, ხოლო 2024 წლისათვის კი 5 ტრილიონი დოლარი, ეს მაჩვენებლები არსებითად მეტია ვიდრე ამავე პერიოდის რუსეთის მთლიანი საპროგნოზო მშპ.

რა შეუძლია დაუპირისპიროს ყოველივე ამას რუსეთმა? მისი სამხედრო ბიუჯეტი დოლარის პარიტეტული მსყიდველობითი ძალის გათვალისწინებით შეადგენს დაახლოებით 52 მილიარდ დოლარს. მაგრამ ამ თანხის დიდი ნაწილი (ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით 40 %-მდეც კი. . .) არამიზნობრივად იხარჯება. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც ერთი ფაქტი: რუსეთის შეიარაღებული ძალების ფორმას ცნობილი დიზაინერის იუდაშკინის ფირმა ამზადებს, რომლის ერთი კომპლექტი 50 000 რუბლი ანუ 1582 აშშ დოლარი ღირს, მსგავსი საჭვო გარიგების მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება. რუსეთის სამხედრო სამრეწველო კომპლექსმა უდიდესი დარტყმა განიცადა 80-90-იან წლებში., რაც, სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, მხოლოდ აწი იჩენს თავს. მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ აქ თითქმის შეწყდა კვლევები და ახალი თაობის იარაღზე მუშაობა. ისეთი ტექნოლოგიატევად და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებით, როგორიც არის საჰაერო თავდაცვა, ანუ იქ, სადაც თვით რუსებიც რომ თვლიან თავის თავს ლიდერად, 1994-2007 წლამდე საერთოდ არ მიწოდებულა ახალი ტექნიკა. უკანასკნელ ორ წელიწადში, საჰაერო თავდაცვის ძალებმა მიიღო უახლესი რუსული კომპლექსის C-400-ის მხოლოდ ორი დივიზიონი, რაც საკმარისია მხოლოდ ისეთი ქვეყნის ტერიტორიის დაცვისათვის, როგორიც არის სერბია. რუსეთს პრობლემები აქვს შეიარაღებული ძალების სხვა სახეობებშიც. საჰაერო ძალების შესახებ არაფრის თქმა არ ღირს რადგან ამ მხრივ აშშ-ს უიმედოდ რომ ჩამორჩნენ ეს ჯერ კიდევ კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ გააცნობიერა და დაიწყო საჰაერო თავდაცვის და წყალქვეშა ატომური ფლოტის გაძლიერება, მაგრამ რუსეთს პრობლემები აქვს ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებითაც, როგორიც არის სტრატეგიული კონტინენტური ბალისტიკური რაკეტები. ამ მხრივ ყველაზე თანამედროვე ტოპოლები შეიარაღებაში დადგა 1985 წელს. რაც შეეხება უახლეს კვლევებს, აქ ერთგვარი კომიკური ვითარებაც შეიქმნა, რუსეთის შეირაღებული ძალების მესვეურებმა ჯერ იყო და მიიღეს გადაწყვეტილება სტრატეგიული შეიარაღების "ბარკის" შექმნაზე, მაგრამ მას შემდეგ, რაც სამუშაოები ამ მიმართულებით 70 %-ით უკვე შესრულებული იყო, მაგრამ სამი გამოცდა კრახით დამთავრდა. მათ შეაჩერეს მასზე მუშაობა და გადაერთვნენ სტრატეგიული რაკეტის "ბულავას" შექმნაზე, რომლის მრავალი გამოცდა უკანასკნელ წლებში ასევე კრახით დასრულდა, რამაც გამოიწვია, ამ პროექტის პასუხისმგებელის გადადგომა 2009 წელს. რუსეთის სტრატეგიული ძალების ყველაზე ძლიერი ნაწილი იყო საზღვაო ფლოტი და განსაკუთრებით წყალქვეშა ფლოტი. მაგრამ ამ მხრივაც უკვე საგანგაშო ვითარებაა, ბოლო 10 წლის განმავლობაში რუსეთის სამხედრო საზღვაო ფლოტის სიმძლავრე შემცირდა 60 %-ით. და ბოლოს სტრატეგიული შეიარაღების უდიდესი ნაწილის საგარანტიო ვადა იწურება 2010-2015 წლებში. მათ განახლებას კი უდიდესი სახსრები სჭირდება. საერთოდ არ ღირს საუბარი ცოცხალ ძალაზე და ჯარში არსებულ მორალურ მდგომარეობაზე.

ზემოთ გაკეთებული ანალიზი არ ნიშნავს, რომ ჩინეთი ემზადება რუსეთზე სამხედრო შეტევისათვის, ეს ამ ქვეყანას არაფერში სჭირდება. დრო მასზე საუკეთესოდ მუშაობს. ჩინეთი თანდათანობით გააქტიურებს დემოგრაფიულ და ეკონომიკურ ექსპანსიას რუსეთში და სამხედრო მუქარას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გამოიყენებს. რუსეთი ამ მხრივ კრიტიკულ ვითარებაში აღმოჩნდება 2014 წლის შემდეგ, ხოლო ჩინეთი შეეცდება მასთან ურთიერთობა მოაგვაროს 2024 წლამდე, რადგან ამ პერიოდის შემდეგ მას შეიძლება წარმოეშვას მნიშვნელოვანი ეკონომიკური პრობლემები რესურსების მწვავე დეფიციტის გამო, რამაც ქვეყნის დეზინტეგრაციაც შეიძლება გამოიწვიოს. 2014-2024 წ.წ. პერიოდში დადგება ის მომენტი, როდესაც რუსეთში ჩინური მოსახლეობა გადააჭარბებს რუსეთის მთელი მოსახლეობის 10 %-ს, ანუ იმ კრიტიკულ ზღვარს, როდესაც ეთნიკური ან სხვა სახის უმცირესობა აქტიურად იწყებს პოლიტიკური პრეტენზიების დაფიქსირებას. ჩინელების უდიდესი ნაწილი იცხოვრებს სწორედ აღმოსავლეთ ციმბირში, სადაც დიდი ალბათობით მოსახლების უმრავლესობა იქნებიან. აქედან ტერიტორიულ პრეტენზიამდე და კონფლიქტამდე კი დიდი მანძილი არ არის. ყოველ შემთხვევაში, რუსეთს 2014 წლის შემდეგ სულ უფრო მეტი ყურადღების დათმობა მოუწევს აღმოსავლეთის მიმართულებისათვის, რაც პირდაპირპროპორციულად შეამცირებს საქართველოზე დაწოლას. ჩემი აზრით, ვითარების ზემოთ აღწერილი სცენარით განვითარების შემთხვევაში, რუსეთს სრული კატასტროფის თავიდან ასაცილებლად ორად ორი გზა დარჩება: პირველი, ჩინეთს დაუთმოს საკუთარი ტერიტორიის დიდი ნაწილი და, მეორე, ალიანსი შექმნას დასავლეთთან. პირველი ვარიანტი არ იქნება პრობლემის საბოლოოდ მოგვარება. მეორე კი მას მისცემს საშუალებას განვითარდეს როგორც ნორმალური ევროპული სახელმწიფო, რაც ჩვენთვის მეტად ხელსაყრელია.

სააკაშვილი რომ რუსეთის სამსახურში არ იდგეს, ნოღაიდელი უკვე დაჭერილი ეყოლებოდა

ინტერვიუ ნ. ნათაძესთან

„საქართველო“: როგორ აფასებთ ნოღაიდელის „ვაჟკაცურ“ გამოსვლას, არჩევნების გამყალბებლებს ხელებს დაგამტვრევთო?

ნ.ნ.: ეს არის უბადრუკი კომედია, რომელიც რუსეთის აგენტებს შორის თამაშდება, როლების წინდაწინ განაწილებით და მოდებილო მაყურებელზე გაანგარიშებით. უფრო კონკრეტულად რომ გითხრათ, ეს არის რუსული ტაქტიკის მხოლოდ ერთი მომენტი, რომელიც უნდა განვიხილოთ სხვა მომენტებთან კომბინაციაში. ნოღაიდელს უთხრეს: „რიხიანად გამოდი, დაეშუქრე. შენი მიზანია შექმნა შთაბეჭდილება, რომ დღეს-ხვალ ხელისუფლება უკვე შენი, ანუ ჩვენი იქნება“. ფსიქოლოგიური მომენტი ამისათვის შესაფერისად ჩათვალეს. უფრო ზუსტად: ასეთი განცხადება აგენტურის მიერ, დღეს-ხვალ მოსალოდნელი გამარჯვების სიმულაცია ამ მომენტისათვის სასარგებლოდ ჩათვალეს.

„საქართველო“: რით დაასაბუთებთ ამას?

ნ.ნ.: კონტექსტით. ძალთა განლაგებითა და მათი წონით. ჯერ ძალებზე მოგახსენებთ. ნოღაიდელის ძალები ნოლია. რუსული ფულის გარდა მას არაფერი გააჩნია. რაიონ-რაიონ ქირაობს ვიღაცა არარაობებს, რომ პრაქტიკული მუშაობის ილუზია შექმნას. ისინი ძალა არ არიან. აქედან დასკვნა: მაშასადამე, თუ ნოღაიდელს რაღაცით აიმედებენ, ეს რაღაცა სხვა ვერა იქნება რა, თუ არ რუსეთის სპეცსამსახურთა უკვე დიდი ხნის შექმნილი და ორგანიზებული შეიარაღებული ძალა. სხვათა შორის, არც დღევანდელ და არც იმის წინა რუსულ ადმინისტრაციას საქართველოში, შევარდნაძის სახით, ამ ძალისათვის ხელი არ უხლია. ანუ: თუ ნოღაიდელის სახელით (მე არ ვამბობ „ნოღაიდელის ხელით“, ვამბობ „სახელით“, რადგან არავითარი ხელი ამ უბადრუკს არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს). თუ ნოღაიდელის ხელით რაღაცა ქმედებებს აპირებენ, ეს, პრაქტიკულად, მხოლოდ რუსული, უფრო კონკრეტულად, — „ბრუს“ რაზმების ძალით შეიძლება მოხდეს.

ახლა რაც შეეხება კონტექსტს. ანალოგიური ფაზი-ფუხი ანალოგიურივე ფიზიკური ნულოვანობის პირობებში — ვგულისხმობ სამხედრო თვალსაზრისით ნულოვანებას, გვესმის — ქ-ნ ნინო ბურჯანაძის პირიდანაც, ოღონდ უფრო რბილად, როგორც მანდილოსანს შეშვენის. რამდენიმე თვის წინ ანალოგიური მოტივი გაჟღერდა ერთი შეუდარებლად უფრო სოლიდური პოლიტიკური ჯგუფის პირიდანაც, მაგრამ იქაც უფრო რბილი ფორმით. ეს გვაფიქრებინებს, რომ ფიზიკურ-ქუჩურ ქმედებებს, ალბათ შეიარაღებულს, ტერორისტულის ჩათვლით, რუსეთი მართლა აპირებს. საკითხავია ოღონდ: აპირებს ხელისუფლების რეალურად შეცვლის ამოცანით თუ მხოლოდ „რევოლუციის“ სიმულაციის ამოცანით, რათა შემდგომი უფრო რეალური ნაბიჯების შესაძლებლობა შექმნას? მე უფრო ალბათად მეორე ვარიანტი მიმაჩნია. მე საქმე ასე წარმომიდგენია: ამ კონკრეტულ ღონისძიებას — „რევოლუციებისა“ და „ვაჟკაცობების“ სიმულაციას — პროგრამა-მაქსიმუმად აქვს ქაოსის მოწყობა ან მისი შთაბეჭდილების შექმნა. უფრო კონკრეტულად გეტყვით — სისხლიანი და უმართავი (თითქოს უმართავი!) სიტუაციის შექმნა, როცა პირდაპირ და გამოკვეთილად იბადება ასეთი აზრი და პოზიცია: „რა ვქნათ, ეს ხალხი, ეს საწყალი ქართველები ერთმანეთს ხოცავენ, თან ადამიანის უფლებებს არღვევენ, თან უმცირესობათა უფლებებს ლახავენ, თან აკრძალულ იარაღს ხმარობენ“ (რუსული აგენტები სადმე გაუშვებენ მხუთავ ან მომწამლავ გაზს. ვინ დაუშლის?) „აბა, ჩქარა, ვუშველოთ, ვინც ახლოს ვართ!“ ამით არა მხოლოდ ჩარევის, არამედ სასწრაფო ჩარევის მოჩვენებითი აუცილებლობა იქმნება. ვინ არის ყველაზე ახლოს? რუსეთი, რომლის ჯარი აქვე, ახალგორში დგას. ეს პირდაპირი ჩარევა, ანუ რუსეთის რეგულარული ძალებით ჩარევა, მისი მგეგმავების აზრით, მხოლოდ ასეთ პირობებში უნდა მოხდეს. ანუ მხოლოდ სისხლიანი უმართავი ქაოსის ფონზე! ამას იმიტომ ვფიქრობ, რომ დღეს სადღაც მიმალული და ხვალ ქართველივე „რევოლუციის“ დროშით გამოსული „ბრუ“-ს რაზმები ამ ამოცანას ვერ გასწვდებიან. ამას სჭირდება რეგულარული ძალა თავისი ავიაციითა და ტანკებით. აქ, როგორც გითხრით, რუსს უნდება შესაძლებლობა თქვას: „არიქა, ყველაზე ახლოს მე ვარ, ამ საწყალ ქართველებთან, რომლებიც ძალიან მიყვარან, ამიტომ პირველ ყოვლისა მე უნდა ვუშველო“. ამას, ცხადია, არავინ დაიჯერებს. რუსს საერთაშორისო საზოგადოებრიობა თავისი ამა თუ იმ საერთაშორისო ორგანიზაციის პირით ეტყვის, გაერო, ევროკავშირი თუ სხვა იქნება ეს, სულ ერთია: „შენ ნუ შეწუხდები. სწრაფი რეაგირების ძალები არ გვაკლია და თბილისში მათ შენზე ადრე დავსვამთო“. ამიტომ პუტინს მოპატიჟება სჭირდება, როგორც რუსეთის მე-11 არმია მოპატიჟა შულავერის მთავრობის სახელით ცნობილმა ნაძირალების ჯგუფმა ფილიპე მახარაძის და მისთანების სახით 1921 წელს. სხვათა შორის, ამ მოწვევას ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რაც უნდა არალეგიტიმური იყოს მომწვევი ჯგუფი. მე კარგად მახსოვს, 1968 წელს რომ რუსეთის ჯარები ჩეხოსლოვაკიაში შეიჭრა, მაშინ დასავლეთის ხმებში ძალიან ინტენსიურად ტრიალებდა ასეთი კონსტატაცია: „განმეორდა საქართველოს სცენარი 1921 წლისა და უნგრეთის სცენარი 1956 წლისა, მაგრამ არსებითი განსხვავებით: საქართველოში რუსული არმია კომუნისტების ჯგუფმა მიიწვია სპეციალური მჩაგვრელი ხელისუფლებისაგან გასათავისუფლებლად, უნგრეთში — იანოშ კადარმა და მისმა ამფსონებმა, ჩეხოსლოვაკიაში კი რუსებმა ასეთი მომწვევი ვერ იშოვეს“. ამიტომაც პუტინს გულით უნდა ეწადოს, რომ საქართველოში ასეთი ჯგუფი შექმნას. შემთხვევითი არ არის მისი სიტყვები პრიმაკოვის დაბადების დღეზე, რუსეთ-საქართველოს უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად „საჭიროა საზოგადოებრივმა ჯგუფებმა იმოქმედონო“, ანუ დაახლოებით ისეთმა გონებრივად და, მით უმეტეს, ზნეობრივი განვითარებით ჩამორჩენილმა პირებმა, რომელნიც დღეს პუტინის პურმარილზე მღერიან და ჭიქებს უჭახუნებენ. ვისგან იგეგმება ასეთი ჯგუფის, უფრო ზუსტად კი, ჯგუფების შექმნა? ვიღაცეებისგან, რომელთა შორის აუცილებლად ცნობადი სახეებიც, ე.წ. „ლამაზი“ სახეები უნდა იყონ შერეულნი: ზოგი პოეტობის მოსიმულანტე, ზოგი — მეცნიერობის, ზოგი ხელოვანობისა და ასე შემდეგ. არსებითია, რასაკვირველია, ასეთი ჯგუფისათვის ან ჯგუფებისათვის ლამაზი სახელების შერჩევაც. დარქმევენ, მაგალითად, „ეროვნულ ერთობას“, „ქართველთა საყოველთაო ყრილობას“, „ერის გარდარჩენის ლიგას“ ან სხვა რასმე ამდენადვე მიმზიდველს. თუ ყურადღებით მიმოიხედავთ გარშემო, ასეთ ინიციატივებს დღესაც შეამჩნევთ. ის, რომ ეს ჯგუფები, მოსახლეობის აზრის გამომხატველობის თვალსაზრისით, სრულებით არალეგიტიმურნი იქნებიან, ანუ, უბრალოდ, თვითმარქვია ნაძირალების ხროვა იქნებიან, ამ გეგმის განხორციელების შეუძლებლობას არ ნიშნავს. ეს ამ პირდაპირ ძალადობას რუსეთის მხრიდან მაინც მისცემს მისთვის სასურველ კოსმეტიკას, რასაც სიამოვნებით „გადაყლაპავს“ ის, ვისაც ამ წუთში და ამ სეკუნდში საქართველოს პრობლემაში ენერგიული ჩარევა მაინცდამაინც არ ენატრება.

„საქართველო“: ეს ცალკე საკითხია. როგორ ფიქრობთ, რა როლს თამაშობს ამ პროცესში საქართველოს მოქმედი პრეზიდენტი და მისი პოლიტიკური ჯგუფი?

ნ.ნ: სააკაშვილი რომ რუსეთის პირდაპირ სამსახურში არ იდგეს, მას ნოღაიდელი უკვე რამდენიმე დღის დაპატიმრებული ეყოლებოდა. შესაძლოა — დაახლოებით ამავე პოზიციის უფრო ადრე გამამჟღავნელებიც ორივე სქესისა. მე მგონი, რუსეთის კონკრეტული ამოცანა ამ ოპერაციაში, რომელიც ახლა ხორციელდება, არის მხოლოდ ეს, რაც მოგახსენეთ. მისი გადამწყვეტი ეტაპი, ანუ რუსეთის არმიის ამოქმედება, პუტინის ანგარიშით, ამ ყალბი „რევოლუციის“ დაწყებისა და რუსეთის „მიწვევის“ შემდეგ უნდა დადგეს. თვითონ სააკაშვილის წილი ამ ოპერაციიდან სავარაუდოდ ის არის, რომ მას ამით შესაძლებლობა ეძლევა, სცენიდან წავიდეს წყნარ ემიგრაციაში, როგორც „ოკუპანტის მიერ დევნილი ხელისუფალი“, იმის ნაცვლად, რომ სამუდამოდ იჯდეს საქართველოს რომელიმე ციხეში, როგორც სახელმწიფო მოღალატე და მკვლელობათა კულტივატორი.

სხვათა შორის, არის ერთი საინტერესო დეტალიც. ნოღაიდელი, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრად ყოფნის დროს ჯერ კიდევ ოროსანი მოწაფის მეტყველება ჰქონდა, თავის ფახი-ფუხში იმოწმებს მოქალაქეთა წმინდათაწმინდა უფლებას, რომ ტირანი დაამხონ. საიდან იცის მან ამ უფლების არსებობა, რომელიც მაღალი აზროვნების მონაპოვარია ეთიკის, პოლიტიკის, იურისპრუდენციის დარგში? სავარაუდოა, რომ ეს ცნობა მას რუსებმა მიაწოდეს და პროგრამაში შეუტანეს. მაგრამ მიაწოდეს შეცდომით. ეს უფლება არის ხალხის უფლება ტირანის მიმართ და არა ავანტურისტისა და უცხო აგენტის უფლება ხალხის მიმართ, რომ მოუმზადებელ „რევოლუციაში“ ჩაითრიოს მასა და უცხო ძალის დაკვეთით მართვადი „უმართავი სიტუაცია“ მოაწყოს. ასეთი „რევოლუციისათვის“ კაცობრიობის ეთიკურ, პოლიტიკურ და იურიდიულ აზრს ერთადერთი საზღაური — სასჯელის უმაღლესი ზომა — ეგულება.

„საქართველო“: დავუბრუნდეთ ზემოთქმულს. თქვენ შიშობთ, რომ საქართველოს საქმისათვის ხელის განძრევა მეტისმეტად ბევრს ეზარება?

ნ.ნ.: მე ამ თემაზე მაინცდამაინც პესიმისტი არ ვარ. ვფიქრობ, რომ პუტინი თავისათვის მეტისმეტად ოპტიმისტია. რუსეთის ხელისუფლებას, რომელსაც რუსეთის მასა სულწაღებული ტაშს უკრავს, როგორც „მაგარ ხელს“ და ჩეჩნების მუსრის მსვრელს, მე მგონი, ჰორიზონტი ძალიან აკლია. მათ იმედი აქვთ, რომ რუსეთი ოდესმე შეძლებს მსოფლიოში ძალით მეორე-მესამე სახელმწიფოს სტატუსის დაბრუნებას. ეს შეცდომაა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პუტინი და მისი კოლეგა კაციჭამიები იმედოვნებენ, რომ, მართალია, მსოფლიო ძალას ვერ აღიდგენენ, მაგრამ თავის ახლომახლოში თარეში მაინც დიდწილად შერჩებათ, მათი პროგნოზი მაინც შეცდომაა. დღეს დასავლეთის ძალა რუსეთისა და მისი პოტენციური მოკავშირეებისას — თუნდ მათზე დიდისა და თუნდ მათზე პატარისას — შეუდარებლად აღემატება. მაგრამ მთავარი ამ შემთხვევაში არის ის, რომ რუსებისას აღემატება ჩვენი რეგიონისადმი, — კავკასიისადმი და შავი ზღვისადმი — დასავლეთის დაინტერესების ხარისხიც. რუსეთს უნდა, რომ ეს სივრცეც, ისევე როგორც მთელი შუა აზია, მსოფლიოს ჩაუკეტოს. იცხოვროს და იარსებოს ყოველგვარი კონკურენციისა და მეტოქეობის გარეშე, რომელშიც იგი მსოფლიოს ზეგანვითარებულ ნაწილს ვერასოდეს ვერც მოუგებს, ვერც გაუთანაბრდება (ისტორიის პერსპექტივის გასაღები სწორედ ამ ფაქტში დევს). ეს არ მოხდება და ვერ მოხდება. მსოფლიო განვითარება ამის საპირისპირო გზით მიდის და წავა. იზოლირებულ სივრცეს ვერავინ შექმნის. შესაბამისად, რუსეთის ბოგინსაც თავის „ახლო საზღვარგარეთში“ თავისი საზღვარი აქვს. მისი მიღწევები შეიძლება კიდევ ერთხანს ცოტა უფრო გაიზარდოს, ვიდრე დღეს არის, მაგრამ ძალიან მცირე ხნით. რუსეთის მონაპოვარი პირწმინდად და გარდაუვალად შექცევადია. მსოფლიო მას პირველხარისხოვანი და მსოფლიოსთვის საშიში ზესახელმწიფოს სტატუსში არავითარ შეთხვევაში აღარ დააბრუნებს. სხვა თუ არაფერი, მისი მოსახლეობაა 142 მილიონი (აშშ-სი 2-ჯერ მეტი), ისიც — მეხუთედად არარუსი ამ მოსახლეობის ქმედითობის ხარისხი დასავლეთთან შედარებით დაბალია. არც ერთ სფეროში კონკურენციის მომგები რუსეთი არ არის. ვინც თვალღიაა მსოფლიოში, იმან ეს იცის, ვინც არა — არ იცის. პოლიტიკურმა ელიტამ ეს ყველაფერი იცის, ამიტომ კანონზომიერია, რომ რუსეთის აგენტურულ სამსახურში საქართველოში დღეს მხოლოდ, ან თითქმის მხოლოდ ჰირიზონტის არმქონე პირები დგებიან. მათი სამსახურის ფსიქოლოგიურად აუცილებელი პირობაა ის, რომ მათ რუსეთი გამარჯვების გზაზე მდგომი ჰგონიათ, რაც, როგორც ვთქვით, შეცდომაა.

„საქართველო“: მაგრამ დედამიწაზე ხომ ჩინეთიც არსებობს. მისი რესურსები ულეველია.

ნ.ნ.: დიახ, მისი რესურსი უზარმაზარია. მას შინაგანი განვითარების ძალიან დიდი პერსპექტრივა აქვს წინ იმის წყალობით, რომ მისი შრომითი რესურსები ჯერ კიდევ მრავალი წლის მანძილზე სოფლის მოსახლეობის ძალიან დიდი მასების ურბანიზაციის პერსპექტივას შეიცავს. მისმა ეკონომიკამ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ერთ სულ რამდენსამე წელიწადში უნდა მიაღწიოს შეერთებული შტატების 1900 წლის მოცულობას. ზრდის ტემპი შეუდარებლად უფრო მაღალი აქვს, ვიდრე აშშ-ს (დროდადრო 10%-საც კი აღემატება. ეს გიგანტური ტემპია). მაგრამ ჯამში დასავლეთს, სამხრეთ ამერიკის ჩათვლით, მაინც ვერ უგებს ვერც დღეს და ვერც პერსპექტივაში. ამიტომ რუსული პოლიტიკის პირველი ნომერი ოცნება — რომ ჩინეთთან და ისლამური ქვეყნების დიდ ნაწილთან ერთად დასავლეთზე უფრო ძლიერი გახდეს ან გაუტოლდეს, — დღეს მის პოლიტიკაში გადავდებულია, განჭვრეტად მომავალში ეს არ მოხდება. ამიტომ რუსეთის დღეს მოქმედი ოცნებაა ის, რომ დასავლეთს მოკავშირედ მიეტმასნოს „ჩინური საშიროების“ წინააღმდეგ. ვერც ეს მოხდება, ვინაიდან რუსეთისგან მომდინარე საშიშროების საწინააღმდეგოდ დასავლეთი მის სიტყვას არ დაიმყარება, რაგინდარა ხელშეკრულებებით შემაგრებულს (დღეს ეს უკვე ცნობილია). დასავლეთისთვის თავდაცვის ყველაზე საიმედო საშუალებაა, რომ შუა აზიაში ჰქონდეს მყარი და მეგობრული პოზიცია, რაც მას საშუალებას მისცემს ფხიზლად უდარაჯოს შესაძლებელი ორმხრივი სამხედრო ალიანსის განვითარებას ამ ორს (რუსეთსა და ჩინეთს) შორის. ეს არის, სხვათა შორის, იმის ძირითადი მიზეზიც, რომ დასავლეთის ინტერესს ამიერკავკასიისადმი ვერ შეედრება ხარისხით რუსეთის ინტერესი, რომელიც მხოლოდ კონსერვატიულად (ჩაკეტვისკენ მიმართულად) და მსოფლიო განვითარების ბუნებრივი მიმართულების წინააღმდეგაა მიმართული.

„საქართველო“: ყოველ შემთხვევაში, ერთი ცხადია. ამ ურთულეს მდგომარეობაში საქართველოს სჭირდება უმაღლესი ხარისხის ხელისუფლება და უმაღლესი ხარისხის მოსახლეობა. ისტორია გვეუბნება, რომ ერთიც და მეორეც საუკუნეთა მანძილზე გვკავდა. ამ მწარე თემაზე რა აზრისა ხართ!?

ნ.ნ.: ხელისუფლება რა არის, ყველამ ვიცით,. ამაზე სიტყვის გაგრძელება არ ღირს. რაც შეეხება მოსახლეობას, ქართველ მოსახლეობაში, ჩემი შთაბეჭდილებით, სხვა ქვეყნებთან შედარებით განუზომლად მაღალია იმათი პროცენტი, ვინც მზადაა, თუ საკმარისად დააფინანსებენ, მოსახლეობის დანარჩენი ნაწილი ავტომატით დახოცოს ან გაზით ამოგუდოს, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მრბეველი და მკვლელი რაზმების დაკომპლექტება ამ პირობებში არავის გაუჭირდება. ფულის გამღებიც საკმარისზე მეტია, ვინაიდან საქართველოს არშედგომაში, როგორც სახელმწიფოსი, მეტისმეტად ბევრნი არიან დაინტერესებულნი საქართველოს გარეთ. მიუხედავად ამისა, ეს სამწუხარო მდგომარეობა, რომ ქართველი ხალხი დეგრადირებულია, ჩემის ხედვით, მაინც წარმავალია. ჩვენ მდგომარეობაში არაერთი დღესდღეობით კეთილდღიანი და წარმატებული ერი ოთხ ფეხზე ივლიდა ორის ნაცვლად. ერის ხარისხობრივი რეგენერაცია მე რეალურ პერსპექტივად მესახება. მაგრამ ბუნებრივი გარჩევა მოსახლეობაში, ჩემის აზრით, მაინც მოხდება. ზოგი ერთგულებას აირჩევს, ზოგი ორგულობას. პირველთა რიცხვი და, მით უმეტეს, ქმედუნარიანობა, როგორც ისტორია გვასწავლის, ყველგან და ყოველთვის სჯობნის მეორეებისას. ჩვენც, თუ მეტისმეტად არ დავექვემდებარეთ უცხო ქვეყნის მიერ მართული ხელისუფლების პოლიტიკას, საქართველოს ყოველმხრივ ნგრევას — რუსეთის დავალებით, მაგრამ „დასავლური ღირებულებების სახელით“, — უნდა გავიმარჯვოთ და გადავრჩეთ.

„საქართველო“: როგორ ფიქრობთ, სჭირდება თუ არა ამ მხრივ კორექცია დასავლელების პოლიტიკას საქართველოს შინაგანი საქმეების მიმართ?

ნ.ნ.: რა თქმა უნდა, სჭირდება. შესაძლებელიც არის. საქართველოს განხილვა, როგორც განვითარებადი ქვეყნისა, რეალისტური არ არის. შესაბამისად, იგი არც ამოცანისადმი ადეკვატურია. ზოგჯერ ეს მანკიერი მიდგომა საქართველოს პრობლემებისადმი შედარებით უწინარია, ზოგჯერ, როგორც იტყვიან — ყვირის. მაგალითად, მეცნიერებისა და განათლების დანგრევა, ანუ იმ სიტუაციის შექმნა, რომ საქართველოს აღარ ჰყავდეს საკუთარი ექსპერტი სპეციალისტები ფუნდამენტური მეცნიერების მსაჭიროებელ თუნდაც პრაქტიკულ დარგებში და საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მცირდებოდეს სტუდენტთა კონტიგენტიც და სპეციალობათა სპექტრიც, ისეთი დივერსიაა ერისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელზედაც მეგობარი ქვეყნის კონსულტანტს, რომელიც საქართველოშია დასაქმებული, მეგობრული და თავაზიანი, მაგრამ პირუთვნელი შენიშვნა ჰმართებს. რადგან ხომ ცხადია, რომ ვერავითარი ლოგიკა ვერ დაგიწყებთ მტკიცებას, რომ უმუშევარი და ოთხმოცლარიან პენსიაზე მჯდარი პენსიონერის ყოლა სჯობია იმავე ოთხმოც ლარზე მჯდომი მომუშავე პროფესორის ყოლას, ან უმაღლესგათლებული დიასახლისის ყოლა არ სჯობია უსწავლელისას.

გაზეთ „საქართველოს“ ახალი და ძველი ნომრების შეძენა შეიძლება რედაქციაში

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5
ტელ: 93-15-89, 93-17-10

შპს გაზეთი „საქართველო“ რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444
გაზეთის ინდექსი 66447

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს.